ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველაფერი სპორტზე

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 079 (12 454) 4 აპრილი პარასკევი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## რონალდინიო მილანს ელაპარაკება

იხილეთ » 8-9

## იდეალური პრემია

იხილეთ » 9





# ფაჩულია პირველად NBA-ს პლეიოფში

ზაზა მოედანსა და დეფილეზე

» 13

## ბაიერნმა საქმე გაირთულა



უეფას თასი » 15

## პეკინის პრელუდია



ძიუდოისტები ევროპის ჩემპიონატის წინ » 11

## ხალხის მასების შემოქმედება



» 3

# აიაქსში ქართველს მწვანე აუნთეს

## ზაქარია ბეგლარიშვილი კრუიფის კლუბშია

17 წლის ქართველი გამთამაშებელი, რუსთავის "ოლიმპისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი ზაქარია ბეგლარიშვილი ამსტერდამის "აიაქსში" მოეწონათ და მალე კონტრაქტს გაუფორმებენ.

ეს სასიხარულო ამბავი შოთა არველაძემ გვაცნობა, რომლის რეკომენდაციითაც, ამსტერდამელებმა ქართველი ბიჭი მიიწვიეს და გასინჯეს: *"ბეგლარიშვილი "აიაქსში" ერთი კვირა ვარჯიშობდა და გაგიჟდნენ, ისე მოეწონათ. მითხრეს, რომ მალე კონტრაქტის გაუფორმებენ. ვინ თქვა, რომ ტალანტები არ გვეზრდება? აგერ ყენია იზრდება, თარგამაძე, ბეგლარიშვილიც გამოჩნდა. მას "აიაქსში" გაზრდიან და მჯერა, უახლოეს პერიოდში საქართველოს ნაკრებს დიდ სარგებლობას მოუტანს."*

ზაქარია ბეგლარიშვილი თბილიში გუშინ გამთენიისას დაბრუნდა და გავესაუბრეთ.

**- ზაქარია, როგორც ჩანს, მოსალოცად გაქვს საქმე.**

- დიდი მადლობა, დიახ, ასეა. კონტრაქტის გაფორმება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

**- აბა, თბილისში რატომ დაბრუნდი?**

- ვიზას ვადა გაუვიდა და დროებით ამიტომ დავბრუნდი. 30 აპრილს 18 წლის გავხდები და მაისისთვის დამიბარეს. თუმცა თამაშთან ერთად, სწავლაც მომიწევს. ახლა მხოლოდ გერმანული ვიცი.

**- ქართველმა გულშემატკივარმა შენზე ბევრი არაფერი იცის და მოდი, თავი წარუდგინე.**

- 6 წლიდან პაატა მეტრეველთან ვვარჯიშობდი. როდესაც "ოლიმპის" საფეხბურთო აკადემია ჩამოყალიბდა, მას შემდეგ აქ ვვარჯიშობ. ბოლოს რუსთავის "ოლიმპში" გადამიყვანეს და ბოლო ორი თამაშია, ახალგაზრდულ ნაკრებში მიმიწვიეს.

**- ლატვიასთან ახალგაზრდულში რომ არ იყავი?**

- ზუსტად ამ დროს ჰოლანდიაში უნდა წავსულიყავი და პეტარ სეგრტს ვთხოვე, გავეშვი. ძალიან კარგი ადამიანი აღმოჩნდა, შენ თუ "აიაქსში"' ჩარიცხვის შანსი გაგაჩნია, ხელს როგორ შეგიშლიო.

**- ნახე ამსტერდამული კლუბი, იქაურ თანატოლებს დააკვირდებოდი და საინტერესოა, გეგულება ისეთი ქართველი ფეხბურთელები, "აიაქსში" მწვრთნელს თავს რომ მოაწონებენ?**

- ეჭვიც არ მეპარება, რომ ასეთი კიდევ ბევრი მოიძებნება. ტრაბახით არ ვამბობ, ტექნიკით ყველას ვაჯობე, მაგრამ ისინი 6 წლიდან ამ კლუბში იზრდებიან და ესაა მათი დიდი უპირატესობა. ეს ბავშვები სისტემაში მოხვდნენ და გაზარდეს.

**- როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდი?**

- ძალიან გახარებული ვარ. მწვრთნელიც, დირექტორიც, ყველა კმაყოფილი დარჩა და სხვაგვარად არც იქნებოდა.

**- როგორც ვიცით, ამსტერდამში შოთას რეკომენდაციით მოხვდი.**

- დიახ, ასეა და მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვიქნები.

**- გაგიჭირდა იქაურ ვარჯიშებთან შეგუება?**

- ნამდვილად არ გამჭირვებია.

**- დუბლებში ივარჯიშებ თუ ძირითადში?**

- ერთი წელი დუბლებში ვივარჯიშებ, თამაშებსაც იქ ჩავატარებ და მერე ვნახოთ.

**- სხვა რა ვარიანტები გქონდა?**

- ვარიანტები ადრე შემომთავაზეს, მაგრამ არ გამოვიდა. თუმცა ჩემთვის "აიაქსი" თავიდანვე პირველი და უალტერნატივო კლუბი იყო. ძალიან მიხარია, რომ ჩემი იქ გადასვლა გადაწყვეტილია.

**მერაბ მამულაშვილი**

# ცხადაძემ, ფოგთსს არაფერი შემოუთავაზებიაო

აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციით, ბაქოს "სტანდარდის" მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** აზერბაიჯანის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მიიწვიეს.

გუშინ კახა ცხადაძეს დავუკავშირდით და მან ეს ინფორმაცია უარყო: *"შესაძლოა, გერმანიაში რომ ვთამაშობდი, აქედან დაასკვნეს, რომ ფოგთსი სამუშაოდ მიწვევდა. არ დავმალავ, მანამდე ფოგთსს ნამდვილად დავუკავშირდი. აზერბაიჯანელებმა მთხოვეს და მათ დავეხმარე. თუმცა მიწვევა არ მიმიღია. "სტანდარდში"' ვრჩები და სამუშაოს შეცვლას ჯერ არ ვაპირებ"* - გვითხრა კახამ.

კახა ცხადაძეს გუშინ გვიან ვესაუბრეთ და საკმაოდ ვრცელი, საინტერესო და საყურადღებო ინტერვიუ გამოვიდა. შეიძლება ითქვას, სკანდალურიც. თუმცა მას სრულად შაბათს შემოგთავაზებთ.

ცხადაძე ისაუბრებს იმაზე, თუ რას შეეწირა საქართველოში, რატომ არ მისცეს მუშაობის საშუალება და რითი გააოცეს აზერბაიჯანელებმა.

**მერაბ მამულაშვილი**



კახა ცხადაძე

ინტერვიუ

# ფედერაცია ქართულ ფეხბურთს

## ტოპმიოლერზე ხელების შეწმენდა და



მიხეილ ყაველაშვილი და იოზეფ ბლატერი

**ქართულ ფეხბურთში ყოველთვის ყველაფერი ტროპიკული ხის ჭრილივით (შედარებას ვაჟა ჩხაიძეს დავესესხები) ერთფეროვანი გახლდათ - კარგიც, ცუდიც და ბოროტიც, პრეზიდენტობის კანდიდატების ბრძოლის მეთოდები და ა.შ. ჩუმად გაყვანა და ჩურჩულით მიზნის მიღწევა მიღებული საშუალება იყო. მიხეილ ყაველაშვილი სხვა ტალღაზეა:**

- ევროპაში ზარებით საქმის კეთება, შინაური, ახლობელი არ იციან. საქმის კეთება ჩვენთანაც სურთ, მაგრამ ყველაფერი უკულმაა - ჯერ ახლობლები, მეგობრები და შემდეგ საქმის ინტერესი. "ჩვენი ფეხბურთი" სწორედ ამ არანორმალური მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობს.

ჩემი მეგობარიც არ მჭირდება, თუკი საქმეს გამიფუჭებს. დროა, საქართველოში ამ მენტალიტეტით ვიცხოვროთ.

**- მიშა, მოდით, ტოპმიოლერის გადაყენებაზე ვისაუბროთ.**

- ამაზე საუბარი აღარც მსურს და არც ღირს. გაგვახარეს, გერმანელი გავუშვითო, მაგრამ სხვა რა გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ? ჩაგდებული ციკლის შემდეგ, მისი დატოვება სირცხვილი იყო. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ. აქ დგება ადამიანების ჯგუფის და არა მხოლოდ ნაკრების მწვრთნელის პასუხისმგებლობის საკითხი.

ჩვენი ფეხბურთის ბოლოდროინდელი ჩავარდნაც აქედან იღებს სათავეს. ჩამოყვანის დღიდან გვესმოდა, რომ ძალიან მაგარი სპეციალისტი დავითანხმეთო. მაშინ ინტერვიუში ვისაუბრე, მთავარი არა მწვრთნელის სახელი, არამედ, მისი დამოკიდებულებაა, რა მიზნები დაუსახეს, რა პასუხისმგებლობა დაეკისრება და ა.შ. ისიც არ ვიცოდით, რა ვადით უფორმებდნენ კონტრაქტს, რას სთხოვდნენ და ა.შ. ტოპმიოლერმა არაფერი იცოდა საქართველოზე, მის ფეხბურთზე და გაუგებარია, ფედერაცია მოკლე დროში რას სთხოვდა.

მისთვის გადახდილი თანხა კი, აშკარად გაბერილი იყო. ფეხბურთში არაფერი იმალება, მით უფრო შვეიცარიაში. იქ იციან ამა თუ იმ მოთამაშისა და მწვრთნელის რეალური ფასი. ჩემი მეგობრებისა და ნაცნობებისგან ბევრჯერ მსმენია რჩევით, ხუმრობით და ირონიითაც, რომ ტოპმიოლერს ამდენს მხოლოდ საემიროებსა და ყატარში მისცემდნენო. ყველა გაოცებული იყო - უზარმაზარი თანხა ტოპმიოლერის კვალიფიკაციას არ შეესაბამებოდა. ეს ხალხი კი ტრანსფერებში კარგად ერკვევა. ჩემი მეგობრების ირონია მესმოდა და თან გულს მტკენდა, ფედერაციის გადაწყვეტილებების გამო საქართველო სასაცილო რომ გახადეს.

ჩვენთან ფეხბურთი ყველას უყვარს, მაგრამ პროფესიონალიზმის, ანალიზის და სწორი გადაწყვეტილებების დეფიციტია. ტოპმიოლერის გადაყენებამაც ეს გამოაჩინა. ახლა პასუხისმგებლობა მისმა ჩამომყვანებმა უნდა აიღონ.

ვთქვათ და გამოუცდელობის გამო, თავიდან შეცდნენ. მუშაობის პროცესში შეიძლებოდა შენიშვნით, რჩევით, მითითებით ტოპმიოლერის დახმარება. იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ფედერაციას ფეხბურთისგან შორს მდგომი ადამიანები მართავენ და პასუხისმგებლობა მათ უნდა დაეკისროთ და არა მხოლოდ ტოპმიოლერს. ნორმალურ ქვეყანაში ასეც იქნებოდა, მაგრამ ჩვენთან ყველაფერი სხვაგვარადაა.

განსხვავებული აზრი და კრიტიკა მტრობა ჰგონიათ. ჩვენთან კი არა, ევროპაში ნებისმიერ წარმატებულ მწვრთნელს, გუნდსა და ფეხბურთელს ყოველ ნაბიჯს უმოწმებენ, რადგან მედიისა და საზოგადოების სიფხიზლე განვითარების წინაპირობაა. კრიტიკა არ შეიძლება მოგვწონდეს ან არ მოგვწონდეს. უბრალოდ, ის საჭიროა და ამას ყველა უნდა შეეგუოს. სიმართლის მიჩქმალვამ სადამდეც მიგვიყვანა, ყველა ვხედავთ.

ქართული ფეხბურთის განვითარება მხოლოდ ნაკრებზე არაა დამოკიდებული. სხვა მნიშვნელოვანი სფეროებიცაა. დღეისათვის კი ნაკრებში და ყველა მიმართულებით უდიდესი უფსკრულია. ამაზეც პასუხი ფედერაციამ უნდა აგოს.

**- ქართული ფეხბურთის დაქცევა ხომ წლებია, გრძელდება.**

- მერე, ვინ დააჩქარა? თავად ამბობენ, რომ ფედერაცია ერთი გუნდია. ჰოდა, პასუხიც ერთად აგონ. პასუხი უნდა აგონ იმისთვის, რასაც ერთი თვის წინათ ამბობდნენ - შედეგის მიუხედავად, ტოპმიოლერის მუშაობით კმაყოფილები იყვნენ და ნაკრები სწორი გზით მიდიოდა. გაუგებარია, როდესაც უსუსური ნაკრები გვყავს, როგორ შეიძლება მწვრთნელის მუშაობა წარმატებულად მონათლო? ეს ხალხისა და გულშემატკივრების შეურაცხყოფაა. ასეთი ცინიზმისა და არაპროფესიონალიზმის გამო, პოსტებზე დარჩენის მორალური უფლებაც არ გააჩნიათ.

**- იქნებ ცინიზმი არაფერ შუაშია და მართლა ფიქრობენ, რომ ტოპმიოლერი წარმატებით მუშაობდა?**

- მაშინ არაპროფესიონალები არიან. როდესაც ფედერაციის პრეზიდენტი ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე აცხადებს, რომ 2010 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ვითამაშებთ, ეს ცინიზმია და სხვა არაფერი.

**- რა არის ამაში ცინიკური? ცუდი მიზანია?**

- ის, რომ საქართველოს ნაკრები ჩავარდნილი ციკლის შემდეგ, თამაშის დღევანდელი ხარისხით, არეული გუნდითა და რესურსებით, მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად მზად არაა. თანაც, ეს ახალკაცმა განაცხადა წილისყრამდე, როცა მეტოქეები უცნობი იყო. თორემ ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრაზე მთელი საქართველო ოცნებობს.

ამ განცხადებაში გამოვლენილი ზერელე დამოკიდებულება უკვე აუტანელი ხდება. მივხვდით, რომ სხვა გზა არაა, ფედერაციის არასწორი ნაბიჯები ყოველდღე უნდა ვამხილოთ. სამწუხარო ისაა, რომ თავად ყოველდღე კრიტიკის უამრავ მიზეზს იძლევიან. მათი საქმიანობის შედეგად, ფეხბურთი კრიზისიდან კომაში მოხვდა და ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა სწორედ ამის გამო გახდა აუცილებელი.

**- რა აზრი აქვს რიგგარეშე ყრილობას, თუკი გავლენიანი სამთავრობო წრეები დელეგატებზე გავლენას მოახდენენ და ფედერაციაში სასურველ ხალხს მოიყვანენ?**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

მიხეილ ყაველაშვილთან

# აბორტისთვის სწირავს

## ვითარებიდან მშრალად გამოძრომა სურთ




- ძალიან მიხარია, რომ ამ კითხვას მისვამთ. მსურს, მივმართო ჩვენს საზოგადოებას, ვისაც ფეხბურთზე გული შესტკივა - "ჩვენი ფეხბურთი" დაარსდა არა იმისთვის, რომ პოლიტიკურ ძალებს ჩუმად გაურიგდეს და ძველი ფავორიტების ადგილი დაიკავოს. ჩვენ აპოლიტიკური ძალა ვართ, ბრძოლას ღიად ვაწარმოებთ და სამართლიანობის პრინციპებს ვიცავთ. ჩვენი ბედი ისევ ჩვენს ხელშია. ამას თითოეული ადამიანი უნდა მიხვდეს.

თუკი გულშემატკივართა უდიდესი არმია გაერთიანდება, მაშინ ფედერაციას რიგგარეშე და, რაც მთავარია, სამართლიანი არჩევნების გამართვას ვაიძულებთ. თუ არ იქნება სამართლიანობა, ხალხი ამ მდგომარეობას არ შეეგუება. ჩვენ ვიცით, რა ქვეყანა ვართ, რას წარმოვადგენთ, ღირსება გაგვაჩნია და შეგვიძლია, ვითარება სასიკეთოდ შევცვალოთ. ხალხმა უნდა გააცნობიეროს საკუთარი ძალა და რა შეუძლია ერთიანობას.

როდესაც არჩევნები დაინიშნება, მერე ხალხი საკუთარ არჩევანს ობიექტურად გამოავლენს. ჩვენი გუნდი ამ ყრილობისთვის სერიოზულად ემზადება. ძალიან ახლო ურთიერთობა გაგვაჩნია ევროპაში ცნობილ ჯგუფთან, რომელიც თანამედროვე ფეხბურთში უდიდესი გავლენით სარგებლობს. თუმცა ჯერ ამ ჯგუფის სახელს ვერ დაგისახელებთ.

მათი რჩევებითა და დახმარებით, ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე ვმუშაობთ. გვქონდა რამდენიმე შეხვედრა, ვიყავით "გრასჰოპერსში", "ციურიხში", ურთიერთობა საინტერესო მიმართულებით ვითარდება. მე და ლევან ყიფიანი კიდევ ვაპირებთ ჩასვლას და ქართული ფეხბურთისთვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს წამოვწევთ.

მთავარია, საზოგადოება გააქტიურდეს. უნდა დაინიშნოს არჩევნები, რომელშიც ხალხი საკუთარ არჩევანს გააკეთებს და სასურველ პრეზიდენტს აირჩევს. საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას მხოლოდ ასეთი ადამიანი იგრძნობს. არ იქნება ზერელე, ცინიკური დამოკიდებულება და ჩაგდებული ციკლის შემდეგ, ნაკრებში მწვრთნელის მიერ გაწეულ მუშაობას დადებითად არ შეაფასებს.

იგივე საზოგადოება მერე ვალდებულიც იქნება, ფედერაციის ყოველი ნაბიჯი და გადაწყვეტილება გააკონტროლოს. ვიმეორებ, ამის გარანტია მხოლოდ სამართლიანი არჩევნებია. დღეს კი სამართლიანობის განცდა დაკარგულია.

**- ფედერაცია რიგგარეშე ყრილობის დანიშვნას არ აპირებს. თუკი მათ პოზიცია არ შეიცვალეს, ასეთ შემთხვევაში, რას აპირებთ?**

- ფეხბურთში ჩახედულმა ყველა ადამიანმა იცის, რომ ბავშვთა ფეხბურთში კატასტროფაა, ნაკრებები უსუსურად თამაშობენ, ეროვნულ ჩემპიონატში საშინელი დონეა. ახლა სურთ, ხელები მხოლოდ ტოპმიოლერს შეაწმინდონ და თავად ვითარებიდან მშრალად გამოძვრნენ.

ხალხის ყურადღების სხვა საკითხზე გადატანის კიდევ ერთი მცდელობა, ნაკრების ახალი მწვრთნელობის კანდიდატურებზე ატეხილი აჟიოტაჟია. ჩამოთვალეს მოურინიო, ვან გაალი, პეკერმანი, ოლსენი, ფინკე და ამით ამბობენ, ხედავთ, რა კარგად ვმუშაობთო. ნებისმიერი მენეჯერი იტყვის, რომელი მწვრთნელია თავისუფალი და რომელია მზად, საქართველოში იმუშაოს.

მოურინიოსა და ვან გაალის დასახელებით ხალხს გულს ვერ მოულბობენ. მთავარია, რომ ფეხბურთის ფედერაციაში დილეტანტები მუშაობენ და კატასტროფული ვითარება მათი მიზეზით შეიქმნა. სიმართლის დამალვა სურთ, მაგრამ არაფერი გამოუვათ - ხალხმა ყველაფერი იცის, ჩვენი გზა კი სიმართლის სამსახურია.

ფედერაციის ხელმძღვანელთა ხელში ნიჭიერ ბავშვებს წინსვლის გზა ესპობათ, რაც ქართული ფეხბურთის აბორტის ტოლფასია.

თუკი რიგგარეშე ყრილობას არ დანიშნავენ, ერთ მშვენიერ დღეს ხალხში დაგროვილი აგრესია სტადიონზე, ან ფედერაციასთან სტიქიურად გადმოხეთქავს და მერე რა მოხდება, ამის გათვლა შეუძლებელია. ამიტომ, ფედერაციის ხელმძღვანელები კარგად უნდა დაფიქრდნენ და რიგგარეშე არჩევნები დანიშნონ. ჩვენ აგრესიულები არ ვართ და გვსურს, ქართულ ფეხბურთში ცივილური ურთიერთობები დამკვიდრდეს.

**- ახლა ბევრი საუბრობს, რომ ხელისუფლება ნოდარ ახალკაცის ჩანაცვლებას უფრო მისაღები ტიპაჟით აპირებს.**

- მე არ ვიცი, ვინ რას აპირებს, მაგრამ ხელისუფლების ჩარევა ყოველთვის მიუღებელია. ისინი ფეხბურთს კანონების შემუშავებითა და ფინანსებით უნდა დაეხმარონ. ეს ჩვენი ფეხბურთის ინტერესს პასუხობს. სხვაგვარი ჩარევა მიუღებელია.

**- შოთა არველაძის საპრეზიდენტო ამბიციებზე რას იტყვით?**

- შოთას პრეზიდენტობა 2011 წლის არჩევნებისთვის სურს, ახლა კი 2008 წელია, სამი წელია დარჩენილი და ფეხბურთი უნდა გადავარჩინოთ. თუკი სამართლიანი არჩევნები ჩატარდება, რატომაც არა, მიიღოს მონაწილეობა.

**მერაბ მამულაშვილი**



# ხალხის მასების შემოქმედება



ერთი კვირის ათასი წვრილმანი

დავით თავართქილაძე

ელექტრონების მოწესრიგებული მოძრაობა ქმნის დენს, პოტენციალთა სხვაობა იწვევს ძაბვას, ქმედება უდრის უკუქმედებას — ბოლო თვეებში ქართულმა ფეხბურთმა იმდენი გადაიტანა, ფიზიკის კანონები ხან წაღმა დააყენა, ხან - უკუღმა.

ფეხბურთი და სახელმწიფო ვითომ გაერთიანდნენ, მაგრამ ქართული ფეხბურთი დენს ჯერ მხოლოდ საკუთარ თავს ურტყამს.

ბევრია უკმაყოფილო. დაპირისპირებულ მხარეებში სხვაობა მართლაც მნიშვნელოვანია და სიტუაცია იწვევს დაძაბულობას. ძაბვა ნელ-ნელა მატულობს, ამას ხელს ეროვნული ნაკრების შედეგებიც უწყობს. სხვაობაა შინაგან ინტელექტში და კიდევ ამიტომაცაა, დაპირისპირება მაღალი ძაბვით რომ მუშაობს.

ცუდმა და ჯიუტმა ქმედებამ



გამოიწვია უკუქმედება — კლაუს ტოპმიოლერი გაუშვეს და მის დამნიშნავ-მხარდამჭერთ არანაირი არგუმენტები აღარ შერჩათ თავის მართლებისთვის.

ბევრმა შეცდომამ აქტუალური გახადა ფეხბურთის ფედერაციის რიგარეშე არჩევნების გამართვა. მაინც ვინ გამოდის ასპარეზზე? არიან ისეთებიც, ცოტა ხნის წინათ ფედერაციის აღმასკომის წევრები რომ იყვნენ და ნაკრების მთავარ მწვრთნელად გაიოზ დარსაძეს რომ დაუჭირეს მხარი, გუშინ თუ გუშინწინ კი ტოპმიოლერს და ფედერაციის ხელმძღვანელობას აკრიტიკებდნენ, ხოლო დღეს რიგარეშე ყრილობის მოწვევავს ემხრობიან.

ახალკაც-ტოპმიოლერი ვლადიმერ გუცაევმაც გააკრიტიკა. საამისო მიზეზს რა გამოლევს, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, გუცაევი ნაკრების მთავარი მწვრთნელი რომ იყო, რა კრიტერიუმით ხვდებოდნენ ეროვნულ გუნდში ისეთი ფეხბურთელები, რომელთა სანაკრებო კვალიფიკაცია ძალიან დიდი ეჭვს იწვევდა. გუცაევის დროს ნაკრებში თამაშობდა ერთი ისეთი მარცხენა ნახევარმცველიც, ოსური "ალანიის" სამატჩო განაცხადშიც რომ არ შეჰყავდათ.

ძალიან გულმავიწყია ჩვენი საზოგადოება და რეპუტაცია მისთვის აბსოლუტურად არაფერს წარმოადგენს, მთავარია სტატუსი - რას წარმოადგენს ესა თუ ის ადამიანი ამ დროისთვის.

კარგი საქმის საკეთებლად არ არის აუცილებელი, იყო ფედერაციის პრეზიდენტი. ურიგო არ იქნება, თუ ახალკაცის ოპონენტები უფრო ამით მოგვაწონებენ თავს, ვიდრე სხვისი კრიტიკით. მე იმაზე უკეთესი ვიქნები — მხოლოდ ეს არ გამოდგება მყარ არგუმენტად რიგგარეშე ყრილობის მოსაწვევად, უფრო მეტია საჭირო, ანუ კარგი საქმის კეთება.

ახლა ახალი მწვრთნელია მოსაძებნი ეროვნული ნაკრებისთვის. გვარიანად რთული საკითხია. კარგი მწვრთნელი ცოტა არ არის, მაგრამ ძნელია მწვრთნელის შერჩევა საქართველოს ნაკრებისთვის, ძალიან სპეციფიკური გუნდისთვის.

ვითარებამ მოიტანა და ფოლკერ ფინკე შეიქნა ერთობ საინტერესო კანდიდატურა ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარსარდლობისთვის. ის სახალხო ტიპი ჩანს, ალბათ, არ იუკადრისებს საქართველოში ცხოვრებასა და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე სიარულს.

ტოპმიოლერი კი... აქაც წესი და კანონი ამოქმედდა, თორემ ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს შერჩებოდა ის ქართულ ნაკრებს. ის არ მოუხსნია არც ფედერაციას და არც ხელისუფლებას.

რევოლუციას ვერ მოახდენს ვერც მიშა, ვერც ეროსი, ვერც ნოდარი და ვერც ვერავინ. რევოლუცია ხალხის მასების შემოქმედებაა და ამიტომაც აქვს საშიში ძალა — ასე წერია სახელმძღვანელოებში და მითუმეტეს ამერიკასა თუ ჰაიდელბერგში ნასწავლი მოხელეებისთვის ეს კარგად არის ცნობილი.

გაჩნდა შიში და ტოპიც გაუშვეს.

ამ ორომტრიალში კი ბევრმა დაიჯერა, რომ შოთა არველაძე მართლა აპირებს ფედერაციის პრეზიდენტობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. XX ტური. წინათქმა

# სტაბილურობა და სათასო მზადება

**4 აპრილი. პარასკევი**

ბათუმი-დინამო
ზესტაფონი-სიონი
ამერი-სპარტაკი
ლოკომოტივი-ოლიმპი

**5 აპრილი. შაბათი**

მესხეთი-ბორჯომი
მგლები-დილა
ვიტ ჯორჯია-მერანი *Live მზეზე*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 19 | 17 | 0 | 2 | 47:10 | 51 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 19 | 16 | 1 | 2 | 37:10 | 49 |
| 3. ზესტაფონი | 19 | 14 | 3 | 2 | 40:10 | 45 |
| 4. ამერი | 19 | 11 | 2 | 6 | 34:21 | 35 |
| 5. ოლიმპი | 19 | 9 | 4 | 6 | 17:15 | 31 |
| 6. ბორჯომი | 19 | 8 | 4 | 7 | 24:22 | 28 |
| 7. მესხეთი | 19 | 7 | 4 | 8 | 17:23 | 25 |
| 8. მგლები | 19 | 7 | 3 | 9 | 16:20 | 24 |
| 9. სიონი | 19 | 6 | 5 | 8 | 21:24 | 23 |
| 10. მერანი | 19 | 5 | 1 | 13 | 11:32 | 16 |
| 11. სპარტაკი | 19 | 4 | 4 | 11 | 8:21 | 16 |
| 12. ლოკომოტივი | 19 | 3 | 5 | 11 | 11:26 | 14 |
| 13.ბათუმი | 19 | 3 | 3 | 13 | 9:33 | 12 |
| 14. დილა | 19 | 1 | 5 | 13 | 8:35 | 8 |

ლიდერებმა წინა ტურში გამოცდა წარმატებით ჩააბარეს და სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში ცვლილებები არ მომხდარა. დღეს და ხვალ ჩემპიონობის მაძიებლებს შედარებით იოლი დაპირისპირებები ელით. ასე რომ, მათი წაფორხილება კიდევ უფრო ნაკლებადაა მოსალოდნელი. საინტერესო კიდევ ისაა, როგორ წარმოაჩენენ თავს თასის ნახევარფინალში გასული გუნდები.

### 16:00 ბათუმი-დინამო

4 აპრილი. ბათუმი. ადელი.
პირველ წრეში: 0:7

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბათუმი: სტურუა, თურმანიძე, კ. მახარაძე, თედორაძე, მაკარიანი, ოქრუაშვილი, ცანავა, ქებაძე, ბაბუნაშვილი, გაგა ჩხეტიანი, გ. ნოდ. ჭელიძე

დინამო: ოვონო, შ. კაშია, კრშკო, გ. კაშია, გველესიანი, ხმალაძე, დილმელაშვილი, ოდიკაძე, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი, აკირემი

დისკვალიფიკაცია: ზელიჩი, ვანაძე

არბიტრი: ო. ხეცაძე

"ბათუმს" ჯერ კიდევ აქვს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსი, მაგრამ აჭარულმა კლუბმა წარმატებისთვის მომდევნო ტურებში უნდა იბრძოლოს. თუ საოცრება არ მოხდა, დღეს "დინამო" დაგეგმილ სამ ქულას მოიპოვებს.

### 16:00 ზესტაფონი-სიონი

4 აპრილი. ზესტაფონი. ცენტრალური.
პირველ წრეში: 2:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ზესტაფონი: ჭანტურია, ს. თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე, რ. ონიანი, ნ. კვასხვაძე, ყონატასი, ხიდეშელი, ვიეირა, ბ. გოცირიძე, ბიტოო

დისკვალიფიკაცია: კესანი

სიონი: ბობღიაშვილი, ქურასბედიანი, ბოიომო, გ. ოქროპირიძე, კობაური, გ. ნუგ. ჭელიძე, ბ. ნოზაძე, შავგულიძე, სანიკიძე, შ. ჯიქია, ჩასემი

დისკვალიფიკაცია: ზ. ჭელიძე

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

ბოლო მატჩებში "ზესტაფონმა" დაამტკიცა, რომ კრიზისი დაძლია. ფეროელები ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებენ. მართალია, **მახარაძის** გუნდმა ჩემპიონატში პოზიციები დათმო, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს ოქროს შანსი. შუა კვირაში "დინამო"-"ზესტაფონის" სათასო მატჩიცაა, ასე რომ, იმერლებს ძალების რაციონალური განაწილება მართებთ.

### 16:00 ამერი-სპარტაკი

4 აპრილი. თბილისი. ამერი.
პირველ წრეში: 1:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ამერი: ნადირაშვილი, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, შალამბერიძე, დიდავა, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დავითაშვილი, რ. გოცირიძე

სპარტაკი: ქვილითაია, ხაჭაპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი, ბახტურიძე, დარბაიძე, თარხნიშვილი, ძარია, დათუნაშვილი, ხიდეშელი, მ. ღონღაძე

დისკვალიფიკაცია: ტყეშელაშვილი

არბიტრი: მ. ურუშაძე

"ამერისთვის" ჩემპიონატს პრაქტიკული მნიშვნელობა ფაქტობრივად, აღარ დარჩა. არაა გამორიცხული, "ბორჯომთან" სათასო ორთაბრძოლის წინ, **გიორგი ჩიხრაძემ** რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენოს. ბუნებრივია, გლდანელები დღესაც გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. ქუთაისელებს კი უმაღლესში დასარჩენად გააფთრებით მებრძოლ "სპარტაკს" უფრო მეტად სჭირდება.

### 16:00 ლოკომოტივი-ოლიმპი

4 აპრილი. თბილისი. მ. მესხი.
პირველ წრეში: 0:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

ლოკომოტივი: მ. ალავიძე, ფარულავა, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ქუხილავა, გულორდავა, ზ. ჩხეტიანი, გილაური, ქუცურუა, დარასელია, დ. ჩაგელიშვილი

ოლიმპი: შეყრილაძე, ორბელაძე, მახვილაძე, სილაგაძე, კახელიშვილი, სტეფანიშვილი, ხუბუა, ჯოჯუა, დევდარიანი, გენაძე, ომელიანოვი

დისკვალიფიკაცია: გაბედავა

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

"ლოკომოტივი" სახიფათო ზონიდან ამოსვლას ლამობს და ექსჩემპიონის წინააღმდეგ გამარჯვებისთვის იბრძოლებს. შესაძლოა, რკინიგზელთა რიგებში ეროვნული ნაკრების წევრი **ლევან ცქიტიშვილი** ვიხილოთ. "ოლიმპისთვის" კი სეზონმა ყოველგვარი აზრი დაკარგა, **ანატოლი პისკოვეცის** წასვლის შემდეგ, რუსთაველები კიდევ უფრო უხარისხო ფეხბურთს თამაშობენ.

### 16:00 მესხეთი-ბორჯომი

5 აპრილი. ახალციხე. ცენტრალური.
პირველ წრეში: 0:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

მესხეთი: სომხიშვილი, ლ. მერებაშვილი, ნადირაშვილი, თ. ღონღაძე, ლეკიშვილი, რაქვიაშვილი, კ. ხანიშვილი, მ. თაყაძე, გვირჯიშვილი, კოშკაძე, გ. სუდაძე

ბორჯომი: სეფიაშვილი, გივი ჩხეტიანი, კაკუბავა, გუგავა, გურული, ვ. ბოლქვაძე, ქავთარაძე, თედიაშვილი, ფეიქრიშვილი, ჩირიკაშვილი, მეგრელაძე

დისკვალიფიკაცია: ქარქოზაშვილი

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

3 აპრილს პროფესიული ფეხბურთის ლიგის და ფეხბურთის ფედერაციის სტადიონების შემმოწმებელმა კომისიამ მონახულა ახალციხის "მესხეთის" სტადიონის მინდვრის საფარი და გადაწყდა, რომ კლუბი საშინაო მატჩებს ამიერიდან არა ბორჯომში, არამედ კვლავაც ახალციხეში გამართავს.

დერბი ყოველთვის საინტერესოა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ "მესხეთსა" და "ბორჯომს" კონკრეტული ამოცანები აღარ ამოძრავებთ. თავს განსაკუთრებით ბორჯომელები დაზოგავენ, წინ ხომ "ამერთან" გასამართი ნახევარფინალური შეხვედრაა.

### 16:00 მგლები-დილა

5 აპრილი. ზუგდიდი. თუთბერიძე.
პირველ წრეში: 3:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

მგლები: ქალდანი, ზ. ექონია, ყვანია, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ხოხონიშვილი, ვართაგავა, დ. ქირია, ჭკადუა, წურწუმია, კრასოვსკი

დილა: ცერცვაძე, ბერიანიძე, გვეტაძე, ლაცაბიძე, ვარდოსანიძე, სადალაშვილი, რატიანი, შატაკიშვილი, ხულთანიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი, გ. მიქაძე

დისკვალიფიკაცია: *ხორგუაშვილი (მთ. მწვრთნელი), ხაჭაპურიძე (მწვრთნელი), საყვარელიძე, ნ. ნოზაძე, ლ. რეხვიაშვილი, ბალიაშვილი*

არბიტრი: ლ. სილაგავა

გასულ ტურში "დილამ" შინ "ლოკომოტივთან" ბოლო წამებზე გაუშვა ხელიდან გამარჯვება, რასაც მსაჯთა შეურაცხყოფა და ლამის ნახევარი გუნდის დასჯა მოჰყვა. ნათელია, რომ გორელები უმაღლესში ველარ დარჩებიან. ზუგდიდელებს თავი ქუდში აქვთ, შესაბამისად, ეს ტურის ყველაზე უმნიშვნელო მატჩია.

### 16:00 ვიტ ჯორჯია-მერანი

5 აპრილი. მცხეთა. არმაზი.
პირველ წრეში: 3:0
*პირდაპირი რეპორტაჟი მზეზე*

**სავარაუდო შემადგენლობები**

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, ბეჭვაია, გ. მელქაძე, ლუჭაშვილი, სახოკია

დისკვალიფიკაცია: კლიმიაშვილი

მერანი: დგებუაძე, ლოლაძე, სარალიძე, თავბერიძე, ქემაშვილი, ფირანიშვილი, ჯანგიძე, ბაკურაძე, კობერიძე, ფურთუხია, ი. შენგელია

დისკვალიფიკაცია: თევდორაძე

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

წინა ტურში "ვიტ ჯორჯიამ" ბორჯომში ურთულესი ბრძოლა მოიგო და წესით, დღეს ნაკლებ წინააღმდეგობას უნდა გადააწყდეს. თავის მხრივ, "მერანს" დასაკარგი არაფერი აქვს და მასპინძლებს შეძლებისდაგვარად შეეწინააღმდეგება. "ჯორჯიას" გამარჯვებათა სერია კი უკვე 13 მატჩს შეადგენს. ამ შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს "მზის" ეთერით იხილავთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# შეგონება ხელისუფლებას: მთავარი სახსრები კი არა, კადრებია

## უფრო მეტი, ვიდრე სოვეტსკი სპორტი





ალექსანდრე რონდელს ოთახში ლესლი ნილსენის ფოტო უკიდია

გახსოვთ ფილმი NAKED GUN? ჩვენი რესპონდენტი გარეგნობით სწორედ "შიშველი პისტოლეტის" მთავარ გმირს, მსახიობ ლესლი ნილსენს ჰგავს და კაბინეტში გაკრული აქვს კიდეც ამ ფილმის აფიშა.

ალექსანდრე რონდელი საქართველოში სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ხელმძღვანელია. ის ადრე ფეხბურთის კოლორიტული გულშემატკივარი გახლდათ, ბოლო დროს კი სტადიონზე აღარც დადის.

რონდელს საქმიანი ურთიერთობა აქვს სახელისუფლებო წრეებთან და მასთან ამ მიმართულებით გვსურდა ინტერვიუს წაყვანა, თუმცა დიალოგი მაინც უფრო ზოგადი გამოდგა.

ერთიც - რონდელი 60-იან წლებში საფეხბურთო მიმომხილველიც კი იყო, თანაც, გაზეთ "ლელოში"...

მოკლედ, ის საკმაოდ საინტერესო კაცია...

**- ხმა მიგიწვდებათ ხელისუფლების წარმომადგენლებთან. რა დისკუსია გაქვთ ხოლმე მათთან ფეხბურთზე?**

- მაქვს ურთიერთობა მინისტრებთან და მათთან მისაუბრია ფეხბურთზე. თუმცა არანაირი რჩევები არ მიმიცია მათთვის - ქართული გუნდების თამაშებზე აღარ დავდივარ, მიმაჩნია, რომ საყურებელი ბევრი არაფერია.

**- ეს მხოლოდ თქვენი სუბიექტური აზრია. საინტერესოა, რა უთხარით ხელისუფლების წარმომადგენლებს ფეხბურთის ფედერაციის შარშანდელი არჩევნების შემდეგ?**

- იმ მოვლენების მონაწილე არ ვყოფილვარ, ყველაფერი სხვათა მონაყოლიდან შევიტყვე. ძალიან განვიცადე ის, რაც გია ნემსაძეს დაემართა, ის ჩემი მეგობარია, თუმცა მასთან ამ საკითხზე ჯერაც არ მისაუბრია.

**- პრესაში და მათ შორის "ლელოშიც" უფრო ოპოზიციურ რესპონდენტებთან გვიწევს საუბარი. თქვენ, ასე თუ ისე, ახლოს ხართ სახელისუფლო წრეებთან და როგორ ფიქრობთ, ხელისუფლების მიერ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის დანიშვნა რამდენად გამართლებულია?**

- არ ვთვლი საკუთარ თავს ხელისუფლებასთან დაახლოებულად, უბრალოდ, ხმა მიმიწვდება მათთან. საქართველოში ახლა ასეთი ვითარებაა - საქმეს აბარებენ ახალგაზრდა, ნიჭიერ ხალხს, ახალი კადრებისგან ელიან რაღაც საინტერესოს და ახალს. ზოგ სფეროში ეს ამართლებს, ზოგში - ვერა. ფეხბურთი უზარმაზარი მეურნეობაა და მასში საქმიანობა ადვილი არ არის. სახელმწიფო ახლა ფეხბურთს მნიშვნელოვნად ეხმარება, მაგრამ ამ სფეროში მხოლოდ სახსრები კი არ არის მთავარი, არამედ კადრები და იმ მახინჯი პრაქტიკის მოსპობა, რომელიც ქართულ ფეხბურთშია. საქართველოში ვერა და ვერ შეიქმნა ფეხბურთის განვითარების ახალი სისტემა.

**- საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა ალბათ მალე ამოქმედდება, მანამდე კი გაურკვევლად რჩება ერთი საკითხი - რა კრიტერიუმით იხელმძღვანელა ხელისუფლებამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის დანიშვნისას?**

- კრიტერიუმი ზოგადად რთული საკითხია. დღეს ფეხბურთი არ არის პრიორიტეტი სახელმწიფოსთვის - აფხაზეთი, ცხინვალი, რუსეთი, ნატო, ეკონომიკა - ყოველივე ამის ფონზე ფეხბურთი სახელმწიფოსთვის არ არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა. როცა ვილაცას ავალებენ, მიხედონ ფეხბურთს, იმედი აქვთ, რომ ამას გააკეთებენ, თუმცა გაოცებული ვარ, რომ ქართულ ფეხბურთში წინსვლა ჯერაც რომ არ ჩანს.

**- როგორ ფიქრობთ, ქართული ფეხბურთის წარუმატებლობაში რა პასუხისმგებლობა აკისრიათ ფეხბურთელებს? ადამიანური რესურსით ქართული ფეხბურთი ნამდვილად არ არის ისეთი მაჩანჩალა, როგორც ეს ჩვენი ნაკრების და კლუბების შედეგებიდან ჩანს...**

- ქართველ ფეხბურთელებს წარმატებისკენ ბევრი რამ აბრკოლებთ. ჩვენს ახალგაზრდა მოთამაშეებს არ აქვთ სათანადო თვითდისციპლინა, აკლიათ თავდადება, არ მუშაობენ მიზანმიმართულად. როცა ქართველი ახალგაზრდები საერთაშორისო ასპარეზზე გადიან, ნათლად ჩანს, რომ იმ დონეზე სულ სხვა გამოცდილებაა საჭირო. ჩვენთან კი ფეხბურთელის აღზრდის სისტემა არ არსებობს, 14-15 წლის ქართველი ფეხბურთელები ისეთ დონეზე ვერ ემზადებიან, რომ ცოტა ხანში საერთაშორისო სარბიელზე შეძლონ რაიმე წარმატების მიღწევა.

**- თბილისის "დინამოს" დიდი გულშემატკივარი იყავით. რატომ აღარ დადიხართ "დინამოს" თამაშებზე?**

- უწინდელი ხარისხი აღარ არის. ადრე განსაკუთრებული პენი იყო "დინამოს" თამაშზე წასვლა. რამდენიმე ხნის წინათ მივედი სტადიონზე და მოხულიგნო ხალხს, ლანძღვა-გინებას წავაწყდი - არ მომეწონა ასეთი სიტუაცია. თბილისელი მაყურებელი ადრე ძალიან კარგად ერკვეოდა ფეხბურთში, ობიექტურობით გამოირჩეოდა, დღეს კი ასე აღარ არის. ის კი არა, ნაკრების თამაშის ტელევიზორში ყურებაც მიჭირს, ნაინფარქტალი ვარ და საქართველოს ნაკრების თამაშის ყურებისას სულ იმას ვფიქრობ, გული არ გამისკდეს.

**- თუ არ ვცდები, თქვენ ხართ პირველი ქართველი ჟურნალისტი, სახელიანი ევროპული გუნდის მთავარ მწვრთნელს ინტერვიუ რომ ჩამოართვა...**

- 1966 წლის გაზაფხულზე თბილისში გლაზგოს "სელტიკი" ჩამოვიდა კიევის "დინამოსთან" სათამაშოდ. საბჭოთა დროს არაერთხელ მომხდარა, რუსული თუ უკრაინული გუნდები ევროტურნირების საშინაო მატჩებს უამინდობის გამო თბილისში რომ მართავდნენ. "ლელოში" შტატგარეშე ჟურნალისტად, ჰონორარზე ვმუშაობდი სტუდენტობისას და ასპირანტობისას. "ლელოს" მაშინდელმა რედაქტორმა მიხეილ კაკაბაძემ დამავალა, "სელტიკის" მწვრთნელ ჯოკ სტეინთან ინტერვიუს გაკეთება. სტეინი იმავდროულად შოტლანდიის ნაკრებსაც თავკაცობდა. მაშინ ინგლისურს, ასე ვთქვათ, ვამტვრევდი, მაგრამ ასეთ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი. "სელტიკი" თბილისში "ინტურისტში" ცხოვრობდა. როცა იქ მივედი, ერთმა შოტლანდიელმა მკითხა, ვინ ხარ, ვის ეძებო. ავუხსენი, აქაური სპორტული გაზეთიდან ვარ, რომლის ტირაჟი დაახლოებით სამასი ათასია-მეთქი. ის კაცი "სელტიკის" პრეზიდენტი აღმოჩნდა და ჩვენი ტირაჟის ამბავი რომ გაიგო, მყისვე დაუძახა სტეინს და სთხოვა, ჟურნალისტს საფუძვლიანად ესაუბრეო. სტეინი მართლაც ვრცლად მესაუბრა, კიევის "დინამოსთან" მატჩზე კი მითხრა, ისეთი ბიჭები მყავს, არ წააგებენო - "სელტიკმა" 1:0 მოიგო.

**- ზოგადად, როგორი იყო თქვენი საფეხბურთო ჟურნალისტობა 60-იან წლებში?**

- ვუსმენდი უცხოურ რადიოსადგურებს, ვყიდულობდი იმ უცხოურ პრესას, რაც იმ დროისთვის ხელმისაწვდომი იყო საბჭოთა თბილისში, მაგალითად "დოიჩე სპორტ ეხო", "უმანიტე"... რადიოთი და გაზეთებით მოპოვებული მასალებით ვაქვეყნებდი სტატიებს უცხოურ ფეხბურთზე. მაშინ "ლელოში" საბჭოთა კავშირის მასშტაბით ყველაზე მეტი იწერებოდა უცხოურ ფეხბურთზე, უფრო მეტიც კი, ვიდრე "სოვეტსკი სპორტში".

**დავით თავართქილაძე**

# მეტი დრო სპორტ ტაიმს!

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი2"-ის ეთერით ამ კვირას "სპორტ ტაიმის" მეოთხე გადაცემა გავა. გადაცემისადმი ინტერესი ნელ-ნელა მატულობს და თავად თოქ შოუც უკეთესი ხდება. საინტერესოა, რა ჩაიფიქრეს გადაცემის ავტორებმა და რას გვპირდებიან სამომავლოდ...

**ლაშა დვალიშვილი** - "თიბისი სტუდიამ" ძალიან კარგი საქმე წამოიწყო. ჟურნალისტს შეუძლია იყოს ერთ არხზე და სხვა არხზე მომუშავე კოლეგასთან ერთად ჩინებული პროექტი განახორციელოს. მე და დიმას კარგა ხნის წინათ გვქონდა იდეა, ერთობლივი გადაცემა გაკეთებულიყო. თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო, არ ხერხდებოდა. "თიბისი სტუდიის" მეშვეობით კი ჩანაფიქრი განვახორციელეთ.

**დიმიტრი ობოლაძე** - ჩვენი გადაცემა ნებისმიერი ევროპული ქვეყნისთვის აბსოლუტურად მისაღები, სასარგებლო და საჭიროა. სპორტის დეპარტამენტი ნარკოტიკების წინააღმდეგ იწყებს აქციას და ამ თემას სიამოვნებით დავუთმობთ დროს. ჩვენი მეოთხე გადაცემა კვირას, 6 აპრილს სწორედ ნარკოტიკების საწინააღმდეგო აქციას დაეთმობა.

იდეაში გვინდოდა "სპორტ ტაიმი" მთლიანად სპორტული თოქ შოუ ყოფილიყო, მაგრამ, ამ ბოლო ხანს ჩვენს ფეხბურთში მოვლენები ისეთი სისწრაფით განვითარდა, რომ ეს გახდა მთავარი თემა.

დღეისთვის ეს თოქ შოუ ისეთი არაა, როგორიც ჩაფიქრებული გვქონდა. ამის მიზეზი მრავალია - შოუ პირდაპირი არაა, ეთერში ჩანაწერი გადის. გადაცემისთვის ცოტა დროა, ჩვენი დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მოწვეული სტუმრები სიმართლეს ბოლომდე არ ამბობენ. არაერთი მიზეზის ჩამოთვლა შეიძლება. თუმცა, ერთი რამ აშკარაა, შოუ ნელ-ნელა იხვეწება და უფრო და უფრო უკეთესი ხდება.

არ გვინდა სტუდიაში წივილ-კივილი იყოს, გვინდა, მხარეებმა კონსტრუქციულად, არგუმენტებით ისაუბრონ.

ყველამ ვიცით, რომ ჩვენს ფეხბურთში არაერთი პრობლემაა, მაგრამ მხოლოდ იმის თქმით, პრობლემებიაო, არაფერი გამოვა, რეალურად უნდა ვთქვათ რაშია გამოსავალი, ალტერნატივა მოვნახოთ. გვინდა, ჩვენი შოუ სწორედ ამ ინტერესს ემსახურებოდეს. მაყურებელი რომ უყურებს, სხვა არხზე არ გადართოს.

**ლ.დ.** - ჩვენთანაც ისეთი სიტუაციაა, რაც საქართველოსა და აქაური თოქ შოუებისთვისაა დამახასიათებელი. კადრს მიღმა ყველა ბევრს საუბრობს, მაგრამ საბოლოო ჯამში, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ყველას პირში წყალი აქვს ჩაგუბებული. საბოლოო ჯამში კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოსდა ყველა ერთ აზრზეა. რეალურად სტუმართა შორის განწყობა სტუდიაში შესვლამდე სხვაა, მაგრამ გადაცემის ჩაწერის დაწყებისთანავე კარდინალურად განსხვავებული იცვლება. ისეთი ვითარებაც ყოფილა, მოწვეულ სტუმარს დიმა ობოლაძისთვის უთხოვია - მოდი მე ამას არ ვიტყვი, შენ თქვი, დაიწყე და აგყვებიო. აბსურდულია. რატომ უნდა ვთქვა მე, გადაცემის წამყვანმა, როცა შენ იწყებ ამ თემას? ყველა ერიდება მწვავე და არგუმენტირებულ საუბარს, არ ვიცი ეს რატომ ხდება, მაგრამ ფაქტია, უმეტესად ზედაპირული საუბარი მიდის, ასე კი ბევრი არაფერი გამოვა.

**დ.ო.** - იმიტომ რომ ის იმის ახლობელია, მეგობრის ბავშვობის ძმაკაცია, ნათლულია თუ ნათლია და ა. შ.

**ლ.დ.** - გვინდა წამოიჭრას ის საკითხები, რომელსაც დღემდე ტაბუ ადევს ან დახურულია. ის თემები, რომელზეც ვიწრო წრეებში კი, მაგრამ ლიად არ საუბრობენ.

**დ.ო.** - ბულვარული გადაცემის გაკეთებაც არაა პრობლემა, იმან ეს თქვა, ამაზე ამას ამბობენ და მსგავსი ჭორები. თუმცა ვფიქრობ, ეს არასერიოზული იქნება.

გასაგებია, რომ საპარლამენტო არჩევნები გვიახლოვდება და ეთერის უმეტესი ნაწილი პოლიტიკას ეთმობა. თუმცა იმედია არჩევნების შემდეგ მაინც ჩვენს გადაცემას გაცილებით დიდი დრო დაეთმობა. თუნდაც, გვიან ღამით იყოს, როცა ყველა პოლიტიკური გადაცემა დასრულდება, მაგრამ გვქონდეს პირდაპირი ეთერი და არ გვქონდეს მხოლოდ 42 წუთი საეთერო დრო.

**- ალბათ, ისიც პრობლემას გიქმნით, რომ სპორტი და ფეხბურთი ჩვენში პოლიტიზებულია...**

**დ. ო.** - დიახ, ეგ სამწუხაროა, მაგრამ ოფიციალურად ჩვენი სპორტი პოლიტიზებული არაა. რა თქმა უნდა, ესეც გარკვეულ ბარიერს ქმნის. გასაკვირია კიდევ ერთი, ზოგჯერ სტუმარი ისეთ რამეს ამბობს, პირს დააღებ, თანაც ამის თქმა ადრეც შეეძლო, მაგრამ რატომღაც არ თქვა. მაგალითისთვის ტოპმიოლერის ხელფასს მოვიყვან.

**ლ. დ.** - პირადად მე საერთოდ არ მაინტერესებს, თუ რა ხელფასი აქვს ტოპმიოლერს. ეს ჩემი საქმე არაა. მე შედეგს ვუყურებ. ზოგი მოთხოვნა თუ კითხვა არასწორადაა დასმული. რატომ იღებს ტოპმიოლერი ამხელა ხელფასო. ეს ჩვენი საქმე არაა. იღებს? აილოს, მაგრამ შედეგი მოთხოვე. ბევრჯერ ხდება, რომ სტუდიაში სტუმარი ჩამოუყალიბებელი მოთხოვნებით მოდის. არსებითზე ნაკლებადაა ხოლმე საუბარი და ეს ცუდია.

**დ. ო.** - ამ ცოტა ხნის წინათ მოძრაობა "ჩვენი ფეხბურთი" ჩამოყალიბდა. "პრაიმ ტაიმში" ველოდი, რომ მხარეები რაღაც კონსტრუქციულს იტყოდნენ და არა იმას, ტოპმიოლერს ხელფასი რამდენი აქვსო. ეს არასერიოზულია. ტოპმიოლერს შედეგი რომ არ აქვს და უნდა გადადგეს, სტადიონი არ გვაქვს და ბავშვთა ფეხბურთში პრობლემებია ეს ყველამ ვიცით...

**- როგორიც ჩაფიქრებული გქონდათ "სპორტ ტაიმი", დღეს ეს ჩანაფიქრი რამდენი პროცენტითაა განხორციელებული?**

**დ. ო.** - ალბათ, ჯერ მხოლოდ 20 პროცენტით. პირდაპირ ეთერში მალე გავალთ და გადაცემა მერე ბევრად საინტერესო და რეიტინგული იქნება. იქნება ჩართვა მაყურებელთან. ტელეფონით რომ დარეკავს მაყურებელი და პირდაპირ ეთერში ჩაერთვება, უფრო მოურიდებლად და მწვავედ იტყვის სიმართლეს, ვიდრე ის, ვინც სტუდიაში ზის.

**ლ. დ.** - ბევრმა სპორტსმენმა დაგვირეკა უცხოეთიდან, ყველა უკმაყოფილოა იმით, რომ საეთერო დრო ცოტაა. ყველას მოთხოვნა ერთია, მეტი საეთერო დრო მოგვცენ.

**დ. ო.** - ყველა სტუმარი ყოველთვის უკმაყოფილოა და ყველა ერთს გეუბნება - მე ცოტა დრო მომეციო.

**- ალბათ, კარგი იქნება, თუ "სპორტ ტაიმის" საეთერო დრო ფეხბურთის მატჩის ხანგრძლივობისა, 90 წუთი იქნება...**

**დ. ო.** - თუნდაც 90 წუთი იყოს, ჩინებული იქნება. ისიც აღსანიშნავია, რომ სპორტულ სამყაროში მოსაუბრის პრობლემაა. ცოტაა ისეთი, რომელიც სტუდიაში სტუმრობასა და ეთერში გამოჩენაზეა თანახმა.

**ლ. დ.** - ჩინებული წამოწყება აქვს "კოლხიდას", ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირებასა და მიმოხილვას ვგულისხმობ. პირდაპირ ეთერში რომაა ტურის ცენტრალური მატჩი, ფეხბურთელებიც უფრო მონდომებულები არიან, ნაკლებად ან თითქმის აღარ იგინებიან, მსაჯიც ნაკლებ შეცდომას უშვებს... ჩვენი ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელები უფრო ნათლად ჩანს... ამას ბევრი პლუსი აქვს.

**დ. ო.** - უბრალოდ, რომ ავიღოთ. მეორე წრის სასტარტო ტურში "დინამო"-"ოლიმპის" მატჩი, ჩინებული სანახავი იყო.

**ლ. დ.** - მართალია, დაბალი დონისაა ჩვენი ჩემპონატი, მაგრამ ჩვენია, უნდა მოვეფეროთ, კარგად შევფუთოთ და დონეც აიწევა. სწორედ ასე მოხდა რუსეთშიც, პრესამ და მასმედიამ აამაღლა რუსეთის ჩემპიონატის დონე, გაიზარდა ინტერესი და ფულიც ჩაიდო.

**- ალბათ, უახლოეს გადაცემას რაგბისაც დაუთმობთ. 12 აპრილს რუსეთი-საქართველოა...**

**დ. ო.** - - დიახ, ეს თემა 13 აპრილის გადაცემაში გვექნება.

მართალი გითხრათ, ამ გადაცემის დაწყება სარისკო იყო. რასაც ველოდით, ის რისკი მართლაც არის... მეტი საეთერო დრო და პირდაპირი ეთერი გვჭირდება. ეს საკითხი განხილვის სტადიაშია და მჯერა, დადებითად გადაწყდება.

**დავით ცაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. გამოხმაურება

# ვენგერი ვინკს აკრიტიკებს

## ჰოლანდიელმა არბიტრმა ჰოლანდიელი თავდამსხმელის უხეშობა ვერ დაინახა

"ლივერპულთან" ნამატჩევს (1:1) **არსენ ვენგერმა** ჰოლანდიელი არბიტრი **პეტერ ვინკი** გააკრიტიკა. "არსენალის" თავკაცი გაოცებული იყო, რატომ არ დანიშნა ჰოლანდიელმა რეფერიმ 11-მეტრიანი, როდესაც მისმა თანამემამულე **დირკ კუიტმა ალექსანდრ გლები** წააქცია: *"აშკარა პენალტი იყო. ეს ყველაფერი მსაჯის თვალწინ მოხდა. პირველად არ ვხდებით ასეთი შეცდომის მსხვერპლი. ის (ვინკი) მოვლენათა ეპიცენტრთან ხუთ იარდში იდგა. გულწრფელად გითხრათ, გაუგებარია, როგორ ვერ დაინახა წესების დარღვევა."*

საკამათო ეპიზოდი 66-ე წუთზე მოხდა. ანგარიში1:1 იყო. "არსენალის" ბელორუსი ნახევარმცველი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა. კუიტმა მას ხელზე მოქაჩა და წააქცია. ვინკმა თამაშის გაგრძელების ნიშანი მისცა. კუიტმა განაცხადა, რომ ვინკმა სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო: *"მის (გლების) მაისურზე არ მომიქაჩავს. პენალტი არ იყო, თუმცა მას ძალიან ჰგავდა."* "ლივერპულის" თავდამსხმელს პროვოკაციული შეკითხვაც დაუსვეს — ვინკმა იმიტომ ხომ არ დაგინდოთ, რომ ისიც ჰოლანდიელიაო. კუიტმა მიუგო: *"ასეთი განცხადებები უმართებულო და არაკორექტულია. დიახ, მე ვიცნობ პიტერ ვინკს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნაცნობობის გამო, სამსახური გამიწია."*

**რაფა ბენიტესმა** თქვა: *"საკამათო ეპიზოდი რამდენჯერმე ვნახე. გადაჭრით ვერ გეტყვით, იყო თუ არა პენალტი."* ვენგერმა მატჩის ფრედ დასრულებაში მხოლოდ მსაჯი არ დაადანაშაულა. მან აღიარა, რომ "არსენალს" უკეთ თამაში შეეძლო: *"ანგარიში გავხსენით. საპასუხო გოლი ძალიან მალე გაგვიტანეს. ვიგრძენი, რომ ფეხბურთელები ანერვიულდნენ. ზომაზე მეტადაც კი. ვფიქრობ, ხელფასს არ გვიხდიან ისეთი თამაშისათვის, როგორიც დღეს ვაჩვენეთ. ჩვენ უფრო მეტი მომენტი გვქონდა. მთელი მეორე ტაიმი მეტოქის ნახევარზე გავატარეთ. ასეთი მატჩის ფრედ დასრულება გულდასაწყვეტია."*

დასასრულს შეგახსენებთ, რომ მომდევნო ხუთი დღის განმავლობაში "არსენალი" "ლივერპულს" კიდევ ორჯერ შეხვდება: ამ უქმეებზე პრემიერლიგის კალენდარულ მატჩში და მომავალ კვირას, ლიგის განმეორებით მეოთხედფინალში.



დირკ კუიტი ალექსანდრ გლებს აქცევს, მაგრამ პენალტი არ ინიშნება

# დაუჯერებელი მარცხი

## გრანტმა ლიგაში პირველად წააგო, ინგლისელმა თურქების შემადგენლობაში გაიტანა

**ავრამ გრანტმა** ჩემპიონთა ლიგაში პირველი მარცხი იწვნია. სტამბოლში სტუმრობამდე მის შეგირდებს ევროპულ სარბიელზე ერთხელაც არ წაეგოთ და 11 საათის განმავლობაში არ გაეშვათ გოლი. "ფენერთან" თამაში ისე დაიწყო, როგორც ლონდონელებს სურდათ: მე-13 წუთზე **დეივიდმა** ავტოგოლი გაიტანა და სტუმრები დააწინაურა. ანგარიში მთელი ერთი საათის განმავლობაში შენარჩუნდა. "არისტოკრატები" მეტოქეს გასაქანს არ აძლევდნენ. მაგრამ მომდევნო 15 წუთში "ფენერმა" ორი გოლი მაინც გამოაცხო და სენსაციურად გაიმარჯვა.

ნამატჩევს გრანტმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ. სამი, ან ოთხი გოლი უნდა გაგვეტანა. შემდეგ ჩაგვეძინა და გაგვითანაბრეს. 1:1-ზეც შეგვეძლო წინ გასვლა. სანაცვლოდ 30 მეტრიდან მეორე გოლი მივიღეთ. განმეორებითი შეხვედრა ნერვიულ ატმოსფეროში ჩაივლის. სახლში თამაში ჩვენს შანსებს ერთი-ორად გაზრდის. ჩემი გუნდი იმსახურებდა, რომ "ფენერბაჰჩესათვის" სტუმრადაც მოეგო. არ მჯერა, რომ ეს ვერ მოვახერხეთ."* ის, რომ შედეგი სენსაციური იყო, "ფენერის" თავკაცმა **ზიკომაც** არ უარყო: *"ისინი, ვინც პირველ ტაიმს უყურა, ვერ იფიქრებდნენ, რომ "ჩელსის", შეიძლება, წაეგო. შესვენების შემდეგ შესანიშნავად ვითამაშეთ და ისტორიულ შედეგს მივაღწიეთ. განმეორებითი მატჩისათვის დიდი შემართებით მოვემზადებით."*

თურქთაგან ერთი გოლი **კოლინ კაზიმ რიჩარდსმა** გაიტანა. "მირორის" მიმომხილველმა შენიშნა, რომ ის ერთი იყო იმ ორ ინგლისელ ფეხბურთელს შორის (**უეინ რუნის** შემდეგ), რომელმაც მეოთხედფინალში გამოიჩინა თავი. მოგეხსენებათ, ამ რაუნდში ოთხი ინგლისური კლუბი ასპარეზობს, მაგრამ ინგლისელმა სხვა ქვეყნის კლუბის სახელით შეაგდო. რიჩარდსი ბრიტანეთის მოქალაქეა. 22 წლის ფეხბურთელი ლონდონში, თურქი დედისა და ინგლისელი მამის ოჯახში დაიბადა. ის "ბერიში", "ბრაიტონსა" და "შეფილ იუნაიტედში" ასპარეზობდა. გასულ ზაფხულს მან "ფენერბაჰჩეს" მიაშურა და თურქეთის ნაკრებში გამოსვლასაც დათანხმდა. მის აქტივში ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კეპია.




კოლინ კაზიმ რიჩარდსი და დეივიდი ჩელსის დამარცხებას ზეიმობენ

ბაიერნი

# კლინსმანი და ენკე: რა ხდება?

## რობერტი კლინსმანს უნდაო, რენზინგი ჭკუიდან შეიშლება...

"ჰანოვერმა" გუშინწინ წინასწარი კონტრაქტი გაუფორმა მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენლის, "კაიზერსლაუტერნის" მეკარე **ფლორიან ფრომლოვიტცს**, რომელიც 21 წლის გახლავთ. ფრომლოვიტცი "ჰანოვერს" უფასოდ მიაშურებს, რადგან ბეტცენბერგულ კლუბთან ხელშეკრულების ვადა ეწურება. ოფიციალური განცხადებით, ეს უკანასკნელი გამოცდილი **რობერტ ენკეს** შემცვლელი უნდა იყოს, მაგრამ ამასობაში გამოცემა "ბილდმა" სულ სხვა ინფორმაცია გაავრცელა: კერძოდ, თუ ჩვენს გერმანელ კოლეგებს დავუჯერებთ, 30 წლის ენკეს "ბაიერნმა" დაადგა თვალი. რობერტის ტრანსფერით **იურგენ კლინსმანი** ყოფილა დაინტერესებული. როგორც იცით, ზაფხულიდან კლინსი რეკორდმაისტერის თავკაცი გახდება და ამ პოსტზე **ოტმარ ჰიტცფელდს** შეცვლის.

მკითხველს კარგად მოეხსენება ის, რომ **ოლივერ კანი** კარიერას ამთავრებს. მისი შემცვლელი წესითა და რიგით **მიხაელ რენზინგი** უნდა გახდეს, რომელიც თავის რიგს დიდი ხანია ელოდება. "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** და გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** 23 წლის მეკარეს 2 წლის წინათ შეპირდნენ, როცა კანი წავა, "ბაიერნის" პირველი მეკარე გახდებიო. დაპირება დღემდე ძალაშია, მაგრამ სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ კლინსმანს განსხვავებული მოსაზრება აქვს.




რობერტ ენკე, შეიძლება, ბაიერნში ჩაირიცხოს

ენკე "ბაიერნში"? ეს რეალურია და ახლავე გეტყვით, რატომაც. გუშინწინ კლინსმანმა მიუნხენში, პრესას მეორე ასისტენტი (30 წლის **ნიკ თესლოფი**) და მეკარეების ახალი მწვრთნელი, 49 წლის **ვალტერ იუნგჰანსი** წარუდგინა. ეს ის ხალხია, ვინც ზაფხულიდან "ბაიერნს" კლინსმანთან ერთად გაწვრთნის. აღსანიშნავია, რომ იუნგჰანსი 1999-2001 წლებში ლისაბონის "ბენფიკაში" **იუპ ჰაინკესის** თანაშემწე გახლდათ. მაშინ პორტუგალიური გრანდის მეკარე და კაპიტანი რობერტ ენკე იყო...

ესეც არ იყოს, რამდენიმე დღის წინათ, ბავარიელთა შეფსკაუტი **პაულ ბრაიტნერი** არაოფიციალური ვიზიტით ჰანოვერში იმყოფებოდა და როგორც ჩვენი გერმანელი ჟურნალისტები იტყობინებიან, იქ სწორედ ენკეს შეხვდა. ესეც არ იყოს, ენკეს ძალიან უნდა, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე გახდეს. "ჰანოვერში" კი ეს ფაქტობრივად შეუძლებელია - "წითლებს" მიმდინარე სეზონში 42 გოლი აქვთ გაშვებული. ხოლო, თუ "ბაიერნში" გადავა, იდეალური შანსი ექნება, რომ მიზანს მიაღწიოს.

"ბილდი" ენკეს მრჩეველ **იორგ ნებლუნგს** დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ გამორიცხული არაფერია. რობერტს "ჰანოვერთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს...

**გოტფრიდ ლენცი**

არსენალი. ტრანსფერები

# იუვე ფლამინის არ წაიყვანს

## ალმუნიამ ახალი კონტრაქტი გააფორმა...

"იუვენტუსი" **მატიო ფლამინის** არ მიიწვევს. ეს განცხადება "არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** გააკეთა. ფრანგ ნახევარმცველს ლონდონური კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. მან ხელშეკრულების გაგრძელებისაგან თავი შეიკავა. "მეთოფეებმა" მას კვირაში 50 ათასი გირვანქა შესთავაზეს. როგორც ჩანს, ფეხბურთელი ფინანსურმა პირობებმა არ დააკმაყოფილა. გავრცელებული ინფორმაციით, ის ტურინში გააგრძელებს კარიერას. ვენგერი ამ ვარიანტს უარყოფს და ფლამინის შენარჩუნებას იმედოვნებს.

მოსიე არსენი თავსაც იზღვევს. მან "სენტ ეტიენის" ახალგაზრდა ნახევარმცველი **ლორიკ პერენი** ამოიღო მიზანში. ეს ბიჭი "იუვენტუსმაც" შენიშნა. 22 წლის პერენი 7 მილიონი ევრო ღირს. მისი კონტრაქტი 2010 წელს იწურება. "სენტ ეტიენის" ახალგაზრდა ვარსკვლავს შეუძლია, ფლამინის ადგილი დაიკავოს, თუ ეს უკანასკნელი სამსახურის შეცვლას გადაწყვეტს.

"არსენალმა" ბრაზილიელ ნახევარმცველ **ტიაგო ნევესსაც** დაადგა თვალი. 23 წლის ფეხბურთელი "ფლუმინენსეში" თამაშობს და 4 მილიონ გირვანქადაა შეფასებული. ტიაგომ 33 მატჩში 12 გოლი გაიტანა. ის ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში პეკინის ოლიმპიადაზე ითამაშებს. ოლიმპიადის შემდეგ კი, შეიძლება, "არსენალს" მიაშუროს. ტიაგო ნევესი **ჟილბერტო სილვას** შემცვლელად მოიაზრება. ჟილბერტოსთან დაკავშირებით უკანასკნელი ინფორმაცია ასეთია: ფეხბურთელი დღე-დღეზე ბრიტანულ პასპორტს აიღებს და შეიძლება, "ლივერპულს" ან "ტოტენჰემს" მიაშუროს.



მატიო ფლამინი

ამასობაში, "არსენალმა" ახალი კონტრაქტი გაუფორმა **მანუელ ალმუნიას**. ესპანელ მეკარეს სტაბილურად ჩატარებული სეზონი დაუფასდა. 30 წლის გოლკიპერმა **იენს ლემანი** ძირითადიდან ამოაგდო. ის ამბობს, რომ კარიერის დასრულებასაც ლონდონში აპირებს. კონტრაქტის დეტალები არ გახმაურებულა. სანდო წყაროს ინფორმაციით, სეზონის ბოლოს, ლემანი ფეხბურთიდან წავა. ალმუნიას გარდა, "არსენალს" ახალგაზრდა პოლონელი კარის დარაჯი **ლუკაშ ფაბიანსკი** ჰყავს.

და კიდევ, ვენგერის ყურადღება "ლიონის" 17 წლის ნახევარმცველმა **კლემან გრენიემაც** მიიპყრო. მას საფრანგეთის ჩემპიონებთან პროფესიული კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია. "მეთოფეები" მის მშობლებს შეეხმიანნენ. "ლიონმა" ამის შესახებ შეიტყო და თავადაც მოლაპარაკებები გააჩაღა. ფრანგებმა ინგლისელებს შეუთვალეს, რომ გრენიეს შეძენაზე არცკი იოცნებონ. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები არც ამ შემთხვევაში გახმაურებულა.

ლივერპული

# მასკერანო კიდევ ორ მატჩს გამოტოვებს

## სპეკულაციების თანახმად, პირლო, შეიძლება, ენფილდზე ვიხილოთ

**ხავიერ მასკერანოს** დისკვალიფიკაცია ორი მატჩით გაუგრძელეს. ერთი მატჩი მას ორი ყვითელი ბარათის მიღებისა და გაძევების გამო მიესაჯა, ხოლო დამატებით ორი მატჩი - მსაჯისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და კამათისათვის. საფეხბურთო ასოციაციამ ის 15 ათასი გირვანქითაც დააჯარიმა. ამას დავუმატოთ ორი კვირის ხელფასი, 100 ათასი გირვანქა, რომელიც ფეხბურთელს "ლივერპულმა" ჩამოაკლო. სასჯელის გამო მასკერანომ გასულ უქმეებზე გამართული ლივერპულური დერბი (1:0) გამოტოვა. ის ვერც "არსენალთან" ითამაშებს და ვერც "ბლექბერნთან" 13 აპრილის მატჩში. "ლივერპულს" ჯერ არ გადაუწყვეტია, გაასაჩივროს თუ არა განაჩენი. კლუბის ოფიციალურ განცხადებასა და პირადად მასკერანოს წერილში, რომელიც მან ასოციაციასა და პირადად არბიტრ **სტივ ბენეტს** გაუგზავნა, მომხდარი ინციდენტის გამო სინანულია გამოთქმული.

"ლივერპულის" თემას მოსალოდნელი ტრანსფერებით გავაგრძელებთ. **რაფა ბენიტესი** მორიგ საკადრო რევოლუციას ამზადებსო, ვკითხულობთ "მირორში". სპეკულაციებს თუ დავუჯერებთ, მომავალი სეზონიდან "ენფილზე", შეიძლება, **ანდრეა პირლო** ვიხილოთ. პირლო **ჩაბი ალონსოს** ადგილს დაიკავებსო, გვაუწყებს იგივე წყარო. ამ უკანასკნელს მადრიდის "რეალი" ეპატიჟება და მზადაა, 12 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. თუ ორ გრანდს შორის გარიგება შედგება, შეიძლება, "ლივერპულს" მიაშუროს ახალგაზრდა ესპანელმა ნახევარმცველმა **რუბენ დე ლა რედმა**. ეს უკანასკნელი "ხეტაფეში" თამაშობს. მადრიდელებმა ის აგვისტოს ტრანსფერებისას გაყიდეს, მაგრამ კონტრაქტში ჩაიწერა პუნქტი, რომლის თანახმადაც, "რეალს" უფლება აქვს, დე ლა რედი ზაფხულში გამოისყიდოს. რუბენის შეთავაზების შემთხვევაში, "ლივერპული" 12 მილიონის ნაცვლად, 7.8 მილიონ გირვანქას მიიღებს. დანარჩენი თანხა, ახალგაზრდა ფეხბურთელით დაიფარება. მოსალოდნელ ტრანსფერებს არცერთი კლუბი არ გამოხმაურებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# პარი სენ ჟერმენი ცეცხლის ხაზზე

## დედაქალაქელებს რასისტული ინციდენტიდა აკლდათ

გასულ უქმეებზე "პარი სენ ჟერმენმა" საფრანგეთის ლიგის თასი მოიგო. მან ფინალში "ლანსი" დაამარცხა, 2:1. დედაქალაქელებმა თამაშის მინურულს დანიშნული საეჭვო 11-მეტრიანით გაიმარჯვეს, მაგრამ მისი გულშემატკივრების მიერ გამოკიდულმა რასისტულმა პლაკატმა ეს ამბავი მთლიანად დაჩრდილა.

"პარი სენ ჟერმენს" უსიამოვნებები ადრეც ჰქონია, მაგრამ სკანდალი, რომელიც რამდენიმე გუშემატკივრის საქციელს მოჰყვა, ყველაზე მასშტაბურია კლუბის 38-ნლიან ისტორიაში, იმდენად მასშტაბური, რომ მან პრეზიდენტ **ნიკოლა სარკოზის** ყურადღებაც მიიპყრო. რა თქმა უნდა, მიიპყრობდა: მოსიე სარკოზი "სტად დე ფრანსზე" იმყოფებოდა და საკუთარი თვალით იხილა წარწერა, რომელიც ძირეულად ეწინაალმდეგება იმ ფასეულობებს, რომელზეც მეხუთე რესპუბლიკაა აშენებული. პრეზიდენტმა სასწრაფოდ მისი ჩამოხსნა ითხოვა. თამაშის შემდეგ კი "ლანსის" ხელმძღვანელობას შეხვდა.




პედოფილებო, უმუშევრებო, უჯიშოებო - მივესალმებით შტიებს პარიზში: სკანდალური პლაკატი პირველი და მეორე იარუსებს შორის, რომელმაც საფრანგეთში ნამდვილი ვნებათაღელვა გამოიწვია

ამხელა შესავლის შემდეგ უპრიანი იქნებოდა, პლაკატის შინაარსზეც გვეთქვა ორიოდ სიტყვა. *"პედოფილებო, უმუშევრებო, უჯიშოებო - მივესალმებით "შტიებს" პარიზში,"* - აი, სიტყვები, რომელმაც საფრანგეთში ნამდვილი ვნებათაღელვა გამოიწვია. შტი ჩრდილოეთ საფრანგეთში მცხოვრები ხალხის მეტსახელია. ისინი ორ რეგიონში: ნორდ პა დე კალესა და პიკარიში ცხოვრობენ და თავის დიალექტზე მეტყველებენ. ამ დიალექტს პიკარი ჰქვია. ზოგიერთი ენათმეცნიერი პიკარს ცალკე ენად განიხილავს. მას მეზობელ ბელგიაში, ვალონიის მოსახლეობის ერთი ნაწილიც ფლობს. უფრო მეტიც, ვალონიაში ამ ენას ოფიციალური, რეგიონული ენის სტატუსი აქვს მინიჭებული. საფრანგეთში პიკარის აღიარებაზე უარი განაცხადეს. მეხუთე რესპუბლიკაში მხოლოდ ერთი სახელმწიფო ენა, ფრანგულია აღიარებული.

ქალაქი ლანსი პა დე კალეს რეგიონში მდებარეობს. ლანსელ სტუმრებს მათი ქვეყნის დედაქალაქში წარმომავლობის გამო შეურაცხყოფა მიაყენეს. სტუმართა თავკაცმა **ჟან-პიერ პაპენმა**, რომელიც თავადაც ჩრდილოეთი საფრანგეთიდანაა, სინანულით აღნიშნა: *"ჩვენს ხალხს არ სჭირდება იმის შეხსენება, რომ მათ რეგიონში პრობლემებია. მატჩისას, რომელიც ნამდვილი სანახაობა უნდა ყოფილიყო, დაგვცინეს და შეურაცხყოფა მოგვაყენეს."* მავანი გულშემატკივრის გამო "პარი სენ ჟერმენს" მთელი სიმკაცრით მოუწევს პასუხისგება. მოგეხსენებათ, კლუბების მოვალეობაა, სტადიონებზე წესრიგის დამყარება და საკუთარი ფანების კონტროლი. "პარი სენ ჟერმენს", რომელსაც პრობლემები ამ ინციდენტის გარეშეც არ აკლდა, სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევს.

რაც შეეხება პრობლემებს, საკმარისია თვალი შევავლოთ საფრანგეთის ჩემპიონატის ცხრილს, რომ მაშინვე ყველაფერი დღესავის ნათელი გახდება. ამბიციური "პარი სენ ჟერმენი" პირველი ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატია. 31 ტურის შემდეგ (დედაქალაქელებს ერთი თამაში თადარიგში აქვთ) კლუბს მხოლოდ 7 მოგება და 32 ქულა აქვს. ის ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფება და უსაფრთხო ზონისაგან სამი ქულა ჰყოფს. პარიზელები ულიტურ დივიზიონში 1974 წლიან ასპარეზობენ. ისინი ასეთ კრიზისულ მდგომარეობაში არასოდეს ყოფილან.

პსჟ-ს აღმავლობა 1990-იან წლებს უკავშირდება. კლუბი ტელეკომპანია "კანალ პლუსმა" შეიძინა და მასში მილიონობით დოლარი ჩადო. "პარი სენ ჟერმენმა" ძლიერი ფეხბურთელები შეიძინა და დიდი ხნის განმავლობაში ფრანგული ფეხბურთის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. მან ორჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, შვიდჯერ ქვეყნის თასი და 1996 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასი დაისაკუთრა. იმავე პერიოდს უკავშირდება პარიზელი ხულიგნების ასპარეზზე გამოსვლაც. მათი საქციელის გამო კლუბს არაერთხელ მოუხდა თავის მართლება და ჯარიმების გადახდა.

ბოლო ინციდენტს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისია კიდევ მიუბრუნდება. მიმომხილველთა ერთი ნაწილი არ გამორიცხავს, რასისტული გამოხტომის გამო, კლუბს ქულებიც კი ჩამოაკლონ. თუ ეს ასე მოხდება, პარიზელებს კიდევ უფრო გაუჭირდებათ გასავარდნი ზონიდან ამოსვლა. მოსალოდნელ სანქციასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

რეალი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# დიეგოს მამა, მადრიდს ურჩევს

## მიატოვიჩის ერთ-ერთი ფავორიტი მირკო ვუჩინიჩიცაა

ესპანეთის ჩემპიონატის დასრულებამდე რვა ტურით ადრე, "რეალი" პრიმერა დივიზიონის უპირველეს ფავორიტად რჩება. **ბერნდ შუსტერმა** ბოლო ინტერვიუში განაცხადა, ჩვენთვის ახლა მთავარი საზრუნავი დარჩენილი რვა ფინალის მოგებააო. მართლაც, გერმანელ სპეციალისტსა და მის შეგირდებს ამაზე დიდი საქმე ვერ ექნებათ. სამაგიეროდ, კლუბის ხელმძღვანელობას უფრო მრავალმხრივი სამუშაოს შესრულება უწევთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დატვირთული გრაფიკი **პრედრაგ მიატოვიჩს** აქვს. გენერალური დირექტორი ერთბაშად რამდენიმე სატრანსფერო მოლაპარაკებას აწარმოებს. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დაიწერა, რომ მადრიდელებს დიეგოს გადაბირება სურთ. გუშინ, "დიარიო სპორტში" ბრაზილიელი ფეხბურთელის მამის განცხადება გამოქვეყნდა: *"ჩემს შვილთან დაკავშირებით ყოველდღე უამრავი სპეკულაციური სტატია იბეჭდება, თუმცა, ვერ უარვყოფ, რომ გასული დღეების განმავლობაში რამდენიმე გრანდის კონკრეტული წინადადება მივიღეთ. საუკეთესო პირობებს მადრიდის "რეალი" გვთავაზობს. ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, პრედრაგ მიატოვიჩმა დამირეკა და მითხრა, მზად ვარ, ნებისმიერ დროს შევხვდეთო. სამეფო კლუბის გენერალურ დირექტორს დროის დაკარგვა არ სურს და ძალიან უნდა, უახლოეს მომავალში წინასწარი კონტრაქტი მაინც გავაფორმოთ. ჩემი შვილი ახლა ძალიან დაკავებულია, მაგრამ დროს აუცილებლად გამოვნახავთ, ერთ საღამოს მშვიდ ატმოსფეროში დავსხდებით და ყველაფერს ავწონდავწონით. ჩემი აზრით, დიეგოსთვის "რეალზე" კარგი გუნდის გამონახვა შეუძლებელია. კლუბისა და მისი საფეხბურთო გემოვნება, ფაქტობრივად, იდენტურია. ასე რომ, მას ამ გუნდში გადასვლას ვურჩევ."*




დიეგო მადრიდულ ვარიანტს სერიოზულად განიხილავს

მიატოვიჩიც ბანალური მიზეზის გამო ჩქარობს. მას კონკურენტების ეშინია და არ უნდა, რომ დიეგო "არსენალმა" ან "იუვენტუსმა" გადაიბიროს. ლონდონური და ტურინული კლუბი ბრაზილიელ ფეხბურთელს არანაკლებ საინტერესო პირობებს სთავაზობს.

ესპანური პრესის მტკიცებით, "რეალის" გენერალური დირექტორი **მირკო ვუჩინიჩი** მენეჯერებთანაც ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. მადრიდული გრანდის ხელმძღვანელობა ამ ფეხბურთელით სამეფო კლუბისა და "რომას" განმეორებით შეხვედრაში მოიხიბლა. მართლაც, რომაელებმა გამარჯვებას სწორად ვუჩინიჩის აქტიური თამაშის წყალობით შეძლეს. მირკო შეცვლაზე შევიდა და **ჯერ პეპეს** აჰკიდა წითელი ბარათი, შემდეგ კი გამარჯვების გოლი შეაგდო. ბუნებრივია, მადრიდელები ისეთი გულუბრყვილოები არ არიან, რომ არჩევანი ერთი მატჩის ანალიზის შემდეგ გააკეთონ. ვუჩინიჩს ისინი სხვა შეხვედრებშიც აკვირდებოდნენ და საბოლოოდ, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჩერნოგორიელ ფორვარდს "სანტიაგო ბერნაბეუზე" შესაძლებლობების გამომჟღავნება არ გაუჭირდება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ლეგენდა

# დი სტეფანოს მარადიული ნაში

## ფოტო, რომელმაც ისტორიაში დაიდო ბინა



ალფრედო დი სტეფანო და მისი ლეგენდარული ფოტო

გუშინ, "დიარიო ასის" რედაქციაში, ძალიან თბილი საიუბილეო საღამო გაიმართა. მადრიდული გაზეთის მთავარმა რედაქტორმა **ალფრედო დი სტეფანოს** პატივსაცემად მრავალი სტუმარი დაპატიჟა. ეს ღონისძიება **აგუსტინ ვეგას** მიერ გადაღებულ ლეგენდარულ ფოტოს 50 წლისთავს მიეძღვნა...

ზუსტად 50 წლის წინათ, წვიმიან საღამოს, დონ დი სტეფანომ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში ბუდაპეშტის "ვასასის" წინააღმდეგ უმნიშვნელოვანესი გოლი შეაგდო. სარბენ ბილიკზე ჩასაფრებულმა 22 წლის აგუსტინ ვეგამ მარადიული წამი დაიჭირა და უკვდავი ფოტო გადაიღო. აღსანიშნავია, რომ მაშინ სენიორ ვეგა დამწყები ფოტოგრაფი იყო. იმ შეხვედრაზე კომპანია "ალბერტო და სეგოვიას" დირექტორმა პრაქტიკანტის სტატუსით მიავლინა. მაგრამ განგებამ ისე ინება, რომ პრაქტიკანტის მიერ გადაღებული ფოტო ისტორიის განუყრელი ნაწილი გახდა. სურათი თავად დი სტეფანომაც უზომოდ შეიყვარა. ლეგენდარულმა არგენტინელმა აღნიშნული ფოტო ბიოგრაფიული წიგნის - "გმადლობ, დედას" ილუსტრირებისთვის გამოიყენა. გარდა ამისა, მისი მოთხოვით, სამეფო კლუბმა დი სტეფანოს ქანდაკებაც ამავე ფოტოს მიხედვით დაამზადა. შეგახსენებთ, სკულპტურის პრეზენტაცია თებერვალში მოეწყო.

დონ ალფრედო 50 წლის წინანდელ შეხვედრას დღემდე ძალიან თბილად იხსენებს: *"დაუვიწყარი საღამო იყო, სტადიონი პირთამდე იყო გადაჭედილი. უნგრელები მედგრად გვებრძოდნენ, მაგრამ მათი წინააღმდეგობა მაინც გავტეხეთ. ღმერთის დახმარებით, ძალიან მნიშვნელოვანი ბურთი შევაგდე და უდიდესი ბედნიერება ვიგრძენი. იმ წამს, რა თქმა უნდა, ვერ წარმოვიდგენდი, რომ გენიალური ფოტოგრაფი აგუსტინ ვეგა მითვალთვალებდა. მეორე დღეს უკლებლივ ყველა გაზეთმა მის მიერ გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა. გაოგნებული დავრჩი და გადავწყვიტე, ეს კაცი გამეცნო. მას შემდეგ დიდი მეგობრობა გვაკავშირებს. ვფიქრობ, ამ ფოტომ ჩემს პოპულარობას სერიოზულად შეუწყო ხელი".*

რა თქმა უნდა, საინტერესოა თავად სენიორ აგუსტინ ვეგა იმ დღეს როგორ იხსენებს. "დიარიო ასმა" მისი განცხადებაც შემოგვთავაზა: *"ეს ფოტო სრულიად შემთხვევით გადავიღე. პრინციპში, სპორტული ფოტოკორესპონდენტის პროფესიული ცხოვრება ყოველთვის შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. აქეთ-იქეთ ყურება რომ დაიწყო, ვერაფერს გადაიღებ. მთელი მატჩის განმავლობაში აპარატი თვალზე უნდა გქონდეს მიდებული. მაშინ სულ რაღაც 22 წლის ვიყავი და პროფესიული საიდუმლოებების შესახებ ბუნდოვნად მსმენოდა. და მაინც, მე ეს ფოტო გადავიღე. როცა რედაქციაში მივედი და მასალა ჩავაბარე, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მას გამოაქვეყნებდნენ. თუმცა, მეორე დღეს ყველა გაზეთის პირველ გვერდზე ჩემს მიერ გადაღებული სურათი დაიბეჭდა. გამოგიტყდებით, ამ ფოტოზე 50 წლის შემდეგაც უდიდესი მოთხოვნაა. უამრავი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები გვიკავშირდებიან და გარკვეული თანხის სანაცვლოდ სურათის გამოქვეყნების უფლებას გვთხოვენ. ჩვენც ყოველთვის სიამოვნებით ვთანხმდებით. როგორც ხედავთ, დონ ალფრედოს წყალობით, ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამიუმჯობესდა."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

### ბარსა რასინგს გარაის დაუბრუნებს

სამი თვის წინ "ბარსელონის" პრესსამსახურმა დიდი ზარ-ზეიმით გვამცნო, რომ კატალონიურმა კლუბმა სანტანდერის "რასინგიდან" **ესეკილ გარაი** გადაიბირა. მაშინ გარიგების დეტალებზეც ამომწურავად დაიწერა. თითქოს "ბარსამ" არგენტინელი მცველის სანაცვლოდ, 18 მილიონი ევრო გადაიხადა და 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. გუშინ კი გაირკვა, რომ გარაი კარიერას "კამპ ნოუზე" არ გააგრძელებს. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, კატალონიელებმა კონტრაქტი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაწყვიტეს და გარაი "რასინგს" დაუბრუნეს. რა თქმა უნდა, სამხრეთამერიკელისთვის მსოფლიო ფეხბურთის გრანდში მოხვედრის შანსის დაკარგვა ძალიან მტკივნეული იქნებოდა, მაგრამ ესეკილი მშვიდად უნდა იყოს. კანტაბრიელების მტკიცებით, "რასინგში" ის დიდხანს მაინც არ დარჩება. არგენტინელს ახლა თურმე მადრიდის "რეალი" ეპატიჟება. დედაქალაქელები მზად არიან, 20 მილიონი ევრო გადაიხადონ და გარაი 5 წლით ჩაიგდონ ხელში.

### ატლეტიკო: ტიაგო მაქსის სანაცვლოდ

მუ "ატლეტიკოს" იუვენტუსელი **ტიაგო მენდეშის** შეძენა უნდა, **მაქსი როდრიგესს** უნდა გამოეთხოვოს. ტურინელები პორტუგალიელი ნახევარმცველის სანაცვლოდ არგენტინელი თავდამსხმელის დათმობას ითხოვენ. ამ ინფორმაციას "ტუტოსპორტი" ავრცელებს. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა. იმასაც გეტყვით, რომ მადრიდულმა კლუბმა "ხეტაფესა" და ნიგერიის ნაკრების თავდამსხმელ **უჩე იკეჩუკვუს** დაადგა თვალი. 24 წლის ფეხბურთელი 5.5 მილიონი ევრო ღირს.

# რონალდინიო მილანს ელაპარაკება

## ბრაზილიელი ვარსკვლავის ძმა გალიანის მილანურ რესტორანში შეხვდა



რონალდინიოს ტრანსფერის შესახებ სპეკულაციები არ წყდება

**ისევ რონალდინიო და ისევ სპეკულაციები. თუმცა, ბრაზილიელი ფეხბურთელის ძმისა და ადრიანო გალიანის შეხვედრის ფაქტი სპეკულაცია ნამდვილად არ გახლავთ. "ლა გაძეტა დელო სპორტმა" საინტერესო სტატია გამოაქვეყნა, სადაც ეწერა, რომ რობერტო დე ასისი და "მილანის" მმართველი ერთ-ერთ მილანურ რესტორანში შეხვდნენ ერთმანეთს. მათი საუბრის თემა ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. ბუნებრივია, ისინი რონალდინიოს "როსონერიში" გადასვლის შესაძლებლობას განიხილავდნენ. როგორც ჩანს, იტალიურ გრანდს მასთან თანამშრომლობის სურვილი ჯერაც არ დაუკარგავს. არადა, 14 იანვარს თვით სილვიო ბერლუსკონიმ გამოაცხადა, რომ გაუჩოსთვის აღარ იბრძოლებდნენ.**

თითქმის სამი თვის შემდეგ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამ ხნის განმავლობაში **რონალდინიოს** ესპანურ პრესაში, ფაქტობრივად, ყოველდღე აკრიტიკებენ. ბევრს საუბრობენ იმის შესახებაც, რომ სამხრეთამერიკელს უშუალოდ ბარსელონაშიც უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს. თუ ეს სიმართლეა, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ამ ბიჭს კლუბზე გული აუცრუვდა. მნიშვნელოვანია, 27 მარტს რონალდინიოს მიერ გაკეთებული განცხადებაც. ფეხბურთელმა ბრაზილიური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში გარკვევით თქვა, მომავალშიც უპატივცემულოდ თუ მომეპყრობიან, ქუდს დავიხურავ და სხვა გუნდში გადავბარგდებიო. სხვათა შორის, მუქარის ტონი **რობერტო დე ასისის** განცხადებებსაც არ აკლდა. ფეხბურთელის ძმა კიდევ უფრო კატეგორიულად ამბობდა, მეტის მოთმენას აღარ ვაპირებთ და უახლოეს მომავალში ახალ გუნდს ვიპოვითო.

მოგეხსენებათ, "მილანი" თავის დროზე ბარსელონელ კოლეგებს ტრანსფერის სანაცვლოდ, არც მეტი, არც ნაკლები, 125 მილიონ ევროს სთავაზობდა. **ჟოან ლაპორტამ** მაშინ რონალდინიოს გაყიდვა არ ისურვა და მოლაპარაკება ჩაშალა. მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ, "მილანს" ბრაზილიელი ფორვარდის იაფად ხელში ჩაგდების რეალური შანსი მიეცემა. ფიფას რეგლამენტის მე-17 პუნქტის თანახმად, ერთ კლუბში სამი სეზონის გატარების შემდეგ, მხარეებს კონტრაქტის ცალმხრივად განყვეტის უფლება აქვთ. ბუნებრივია, სანაცვლოდ გარკვეული თანხა უნდა იქნეს გადახდილი. იმ შემთხვევაში, თუ "მილანმა" რონალდინიოს გადაბირება ამ მეთოდით მოინდომა, იტალიურ მხარეს "ბარსას" ანგარიშზე არა 125 მილიონის, არამედ სულ რაღაც 16 მილიონი ევროს გადარიცხვა მოუწევს. "როსონერის" ფინანსურ შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ მათ ამ ფულის გადახდა ნამდვილად არ გაუჭირდებათ.




როგორც გითხარით, რონალდინიოს ძმისა და გალიანის შეხვედრის ფაქტი "ლა გაძეტა დელო სპორტმა" გაახმაურა. "დიარიო მარკას" კორესპონდენტი **ხოსე ფელიქს დიასი** კი გვარწმუნებს, რომ რობერტო დე ასისი იმავე დღეს "ინტერის" მესვეურებსაც შეხვდა. ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად იცით, რონალდინიოს "ნერაძურიც" ეპატიჟება. ჩვენი ესპანელი კოლეგა ინფორმაციის მიმწოდებლის ვინაობას არ ამხელს, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ დე ასისი საკუთარი ძმის სხვა გუნდში გადაყვანაზე ინტენსიურად მუშაობს. ვიმეორებთ, გაუჩოს შეძენა მხოლოდ 16 მილიონ ევროდაა შესაძლებელი. ბუნებრივია, კატალონიური გრანდის მესვეურებს მისი ამ თანხად გასხვისება არ სურთ. ამიტომ "ბარსას" გენერალურმა დირექტორმა **ჩიკი ბეგირისტაინმა** გაუჩოს მენეჯერს ბარსელონაში ჩასვლა და პირადად შეხვედრა შესთავაზა. ბეგირისტაინს მისი გუნდის ვარსკვლავის ძმასთან ყველა საკითხის გარკვევა სურს. კატალონიურ პრესას თუ დავუჯერებთ, "ბარსას" დირექტორატი რონალდინიოს გაყიდვას არ აპირებს. გამოდის, შეხვედრის ერთადერთი მიზანი გაუჩოს შემორიგება და კარიერის "კამპ ნოუზე" გაგრძელებაა. ჯერჯერობით უცნობია, ბეგირისტაინის წინადადებას რობერტო დე ასისი როგორ შეხვდა. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბარსელონაში ის აუცილებლად ჩავა და კლუბის მაღალჩინოსნებს დაელაპარაკება.

რონალდინიოს პრესა მართლაც დაუნდობლად აკრიტიკებს, მაგრამ საბედნიეროდ, უკლებლივ ყველა თანაგუნდელი მის გვერდითაა და ყოველმხრივ ამხნევებს. ამჯერად, გაუჩოს დაცვა **ლეო მესიმ** ითავა. ახალგაზრდა არგენტინელს ბუენოს აირესის აეროპორტში "კლარინის" კორესპონდენტი შეხვდა და ინტერვიუ ჩამოართვა. აღსანიშნავია, რომ მათი საუბარი ძირითადად სწორედ რონალდინიოსა და მის პრობლემებს შეეხებოდა. აი, რა განაცხადა მესიმ: *"სამწუხაროდ, ადამიანებს უმადურობა გვახასიათებს. რონალდინიოს ჯადოსნური ფეხბურთი ყველას დაავიწყდა. ჟურნალისტებს რატომღაც აღარ ახსოვთ, რომ "ბარსელონამ" გასული წლების განმავლობაში ფენომენალურ წარმატებებს სწორედ მისი თამაშის წყალობით მიაღწია. გუნდმა პრიმერა დივიზიონში ზედიზედ რამდენჯერმე გაიმარჯვა. გარდა ამისა, ჩემპიონთა თასს დაეუფლა. გარწმუნებთ, რონალდინიოს გარეშე, ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა. ლანძღვა ძალიან იოლია, მით უმეტეს, თუ ობიექტურ გარემოებებს არ გაითვალისწინებ და სინდისი არ შეგაწუხებს. რატომ არ ესმით, რომ რონალდინიოს ტრავმები ჰქონდა. მართალია, მუხლის ჯვარედინი მყესები არ გაწყვეტია, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. ბოლო თვეების განმავლობაში ის სრული დატვირთვით ვარჯიშს ვერ ახერხებდა. ამიტომ პრინციპულ მატჩებს მაქსიმალურად მომზადებული ვერ ხვდებოდა. ჩემი აზრით, ამის გამო ადამიანი არ უნდა დაასამარო. გავა დრო და ის ხალხი, რომელიც ახლა გაუჩოს ლანძღვა-გინებას არ აკლებს, მას ხოტბას შეასხამს. ეჭვი არავის შეეპაროს, რონალდინიო კვლავ მსოფლიო ფეხბურთის ავანგარდში დაბრუნდება და ყველაზე პრესტიჟულ ტიტულებს მოიგებს. ჭკუას თუ არ მოვუხმობთ, ამ ტიტულებს ის სხვა კლუბს მოაპოვებინებს. ერთი სიტყვით, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ვარსკვლავს პატივი უნდა ვცეთ. თუ პატივს არ ვცემთ, გინებას მაინც ნუ დავუწყებთ."*

### ბოიანი, კატალონიის ახალი ვარსკვლავი

მესის განცხადების მიუხედავად, სპეციალისტების დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ რონალდინიოს მზე ჩაესვენა. ახლა მოდაში სხვა ფეხბურთელზე საუბარია. მისი სახელი, რა თქმა უნდა, **ბოიან კრკიჩია**. 17 წლის ფორვარდს უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მართლაც, ბოიანს ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში შევიდეს. კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობა ამ ყმაწვილს უდიდეს იმედებს უკავშირებს. ბუნებრივია, ჟოან ლაპორტას სურს, კრკიჩმა "კამპ ნოუზე" მრავალი წელი ითამაშოს. ამ მიზნით, პრეზიდენტი ფეხბურთელს კონტრაქტის გახანგრძლივებას სთავაზობს. ბოიანმა "ბარსასთან" პირველი შრომითი ხელშეკრულება 15 წლის ასაკში გააფორმა. ეს ნახევრად პროფესიული კონტრაქტი გახლდათ (ესპანეთის კანონმდებლობის მიხედვით, დამსაქმებელს ამა თუ იმ თანამშრომელთან, თუ მას 18 წელი ჯერ არ შესრულებია, სრულფასოვანი კონტრაქტის გაფორმების უფლება არ აქვს). ბოიანი შესანიშნავ სეზონს ატარებს. პრიმერა დივიზიონში მან 8 გოლის გატანა მოასწრო. კარგად იცით, "ბარსამ" ჩემპიონთა ლიგაში "შალკესაც" მისი გოლის წყალობით მოუგო. ბევრისთვის მოულოდნელად, კრკიჩმა ესპანურ გრანდში ადგილის დამკვიდრება შეძლო, მაგრამ იურიდიულად ის დღემდე "ბარსას" სათადარიგო გუნდის წევრად ითვლება. ბოიანს 18 წელი აგვისტოს ბოლოს შეუსრულდება და ლაპორტას სრულწლოვან ფორვარდთან პროფესიული კონტრაქტის გაფორმების შესაძლებლობა მიეცემა. პრეზიდენტი სწორედ ამ დღეს ელის. დირექტორატის მაღალჩინოსნები არ მალავენ, რომ კრკიჩს 10-წლიან ხელშეკრულებას შესთავაზებენ. ფინანსურ დეტალებს არ ახმოვანებენ, თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, ახალგაზრდა ფორვარდი კატალონიური გრანდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება.

ლაპორტას ახალი კონტრაქტის გაფორმება ერთი ბანალური გარემოების გამო ეჩქარება. ვუნდერკინდმა, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. თავად ბოიანის მამა აცხადებს, რომ რამდენიმე კვირის წინ მასთან "ჩელსის" ემისარი ფულით სავსე ჩემოდნით ჩავიდა. ლონდონური კლუბი მზად იყო ეს თანხა კრკიჩების ოჯახში მხოლოდ იმისთვის დაეტოვებინა, რომ ფორვარდთან წინასწარი ხელშეკრულება გაეფორმებინა. ცხადია, ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ბოიანს ფანტასტიკურ პირობებს შეუქმნიდნენ. მაცდუნებელი წინადადების მიუხედავად, მამამისმა "არისტოკრატებს" უარი განუცხადა და ფულით სავსე ჩემოდანი უკან გაატანა. ლაპორტა ერთგულებისთვის მადლიერია, მაგრამ ისიც კარგად მოეხსენება, რომ მშვიდად ყოფნის საშუალებას, მხოლოდ და მხოლოდ, ხანგრძლივმოქმედი კონტრაქტი მისცემს. როგორც ცნობილია, თავად კრკიჩს "ბარსას" გარდა სხვა არც ერთი კლუბის სახელის გაგონებაც არ სურს. ის ხომ ამ გუნდში აღიზარდა. როგორც ყოველთვის, ფეხბურთელის პოზიცია ამჯერადაც გადამწყვეტი იქნება. ასე რომ, აგვისტოში ახალი კონტრაქტის გაფორმებას უნდა ველოდოთ.

მანამდე კი ლაპორტა და მისი თანამშრომლები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ბოიანი პრესის წარმომადგენლებმა არ შეაწუხონ. ჩიკი ბეგირისტაინმა გუშინ პრესკონფერენციაზე პირდაპირ განაცხადა, ჩვენი ფორვარდისთვის ახლა ყველაზე დიდ საფრთხეს მასმედია წარმოადგენსო. კატალონიელებს არ სურთ, რომ 17 წლის ბიჭის პოპულარობამ ყოველგვარ დასაშვებ ზღვარს გადააჭარბოს. ამიტომ, ყმაწვილს ინტერვიუების მიცემა და სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობა აუკრძალეს. ბოიანს მხოლოდ მატჩისშემდგომი მოკლე კომენტარების გაკეთება შეეძლება. ამ აკრძალვას ის უსიტყვოდ დაემორჩილება.

### ანრი: სარფიანი კონტრაქტი სიეტლთან და ალვეში ბარსელონაში?

რონალდინიოს ამბავმა ჩრდილში მოაქცია ინგლისური სააგენტოების მიერ გავრცელებული არანაკლებ საინტერესო ცნობა. ის **ტიერი ანრის** მომავალს შეეხება. „სანის" ინფორმაციით, ფრანგ თავდამსხმელს ამერიკაში ეპატიჟებიან. სიეტლის საფეხბურთო კლუბი მზადაა, ანრის კვირაში 150 ათასი ევრო შესთავაზოს. ტიერის ბარსელონურ კონტრაქტში კიდევ სამი წელი აქვს დარჩენილი. მას კვირაში 128 ათას ევროს უხდიან. 30 წლის თავდამსხმელი კატალონიურ გრანდში გასულ ზაფხულს, 16 მილიონი გირვანქად გაიყიდა. მან 38 მატჩი ჩაატარა და 14 გოლი შეაგდო. სადებიუტო სეზონისთვის საკმაოდ ნორმალური შედეგია. სპეკულაციების თანახმად, ზაფხულის ტრანსფერებისას „ბარსელონაში" ძირეული ცვლილებები განხორციელდება. ანრიმ შესაძლოა, უფრო მშვიდ და უშფოთველ გარემოში გადაბარგება არჩიოს. სიეტლის კლუბის მფლობელია მილიარდერი **პოლ ალენი**. მოსალოდნელ ტრანსფერებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

ამასობაში, პოპულარულმა ესპანურმა გამოცემამ "დიარიო სპორტმა" მკითხველებს აუწყა, რომ მიღწეულია პრინციპული შეთანხმება „ბარსელონასა" და სევილიელ მცველ **დანიელ ალვეშს** შორის. ტაბლოიდის მტკიცებით, ბრაზილიელი ფეხბურთელი კარიერას „კამპ ნოუზე" გააგრძელებს. ის ხუთწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს. მომავალი გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია. დანიელ ალვეშს „სევილიიდან" აბარგება გასულ ზაფხულსაც სურდა. „ჩელსის" მასთან გასაფორმებელი კონტრაქტი გამზადებული ჰქონდა, მაგრამ სევილიელებმა ყველაფერი იღონეს მის ჩასაშლელად. კლუბის გადაწყვეტილებამ ფეხბურთელი ისე აღელვა, რომ ვარჯიშსა და თამაშზეც კი უარი განაცხადა. ალვეში გუნდში მხოლოდ **ანტონიო პუერტას** ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა.

იმავე "დიარიო სპორტში" ამოვიკითხეთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების მცველი **ხერარდ პიკეც** „ბარსელონაში" ჩაირიცხება. პიკეს ინგლისური კონტრაქტი 18 თვე აქვს დარჩენილი. ფეხბურთელმა ხელშეკრულების გაგრძელებაზე უკვე ორჯერ განაცხადა უარი. მას ესპანეთში დაბრუნება და კატალონიურ გრანდში თამაში სურს.

**ილია ნიკოლაიშვილი**



რომა

# იდეალური პრემია

**თუ სასწაული მოხდება და რომა მანჩესტერის ბარიერს მაინც გადალახავს, მოდელი საბრინა ფეხბურთელებისა და ჯალოროსის ფანებისთვის გაიხდის...**



საბრინა ფერილიმ იცის, როგორ უნდა რომაელთა მოტივირება

"რომას" ფეხბურთელები ამაზე უკეთეს პრემიას ვერ ინატრებდნენ. იტალიელი მოდელი **საბრინა ფერილი**, რომელიც 43 წლის გახლავთ, მზადაა, დედაქალაქური კლუბის ფეხბურთელებს, რომლებსაც "მანჩესტერთან" საშინაო მარცხის შემდეგ ნირი წაუხდათ, დამატებითი მოტივაცია შესძინოს. მოდელის დაპირება ასეთია: *"იმ შემთხვევაში, თუ "რომა" "მანჩესტერის" ბარიერს მაინც დაძლევს და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავა, მზად ვარ, სტადიონზე, ფეხბურთელებისა და ქომაგების წინაშე სტრიპტიზი ვიცეკვო,"* - თუნდაც მხოლოდ ამისთვის ღირს ბრძოლა...

საბრინას იდეამ აბსოლუტურად ყველა რომაელი აღაფრთოვანა, მაგრამ იმის შანსი, რომ "ჯალოროსის" ფანი შიშველი იხილონ, ძალიან მცირეა, რადგან იტალიურმა კლუბმა "მანჩესტერთან" პირველი შეხვედრა საკუთარ მოედანზე 0:2 დათმო. ცხადზე უცხადესია, რომ რომაელებს საპასუხო შეხვედრის მინიმუმ სამბურთიანი სხვაობით მოგება ძალიან გაუჭირდებათ.

მანკუნიანელთა ლიდერი **კრისტიანო რონალდო** დარწმუნებულია, რომ "რომას" ნახევარფინალში გასვლის შანსი აღარ აქვს. *"ჩემპიონთა ლიგის მოგება მინდა და ვოცნებობ იმაზე, რომ შემოდგომაზე ევროპისა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გავხდე. სურვილი იმდენად დიდია, რომ დღე და ღამე მხოლოდ ამაზე ვფიქრობ,"* – განუცხადა რონალდომ ჩვენს ინგლისელ კოლეგებს.




და მაინც, რამდენად რეალურია ის, რომ რომაელებმა საბრინას მომზადებული ცეკვა იხილონ? მოდელმა ერთხელ უკვე შეძლო "ჯალოროსის" ფეხბურთელების ჯეროვანი მოტივირება. ეს 2001 წელს მოხდა და მაშინ ფერილიმ რომაელთა საჩემპიონო ბანკეტზე (2001 წელს "რომა" იტალიის ჩემპიონი გახდა) დაპირებისამებრ გაიხადა, ოღონდ არა ბოლომდე. ახლა კი ფსონი გაზრდილია. 2001 წელს საბრინა 37 წლისა გახლდათ, დღეს კი 43-ისაა. თუმცა ასაკის გათვალისწინებით, დღესაც იდეალურად გამოიყურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასაწყისი №41)

# ხორხე ვალდანო

# საფეხბურთო ისტორიები



## ორი გზა ერთი მიზნისკენ

კოლუმბიელი მწვრთნელი **ფრანსისკო მატურანა**, რომელმაც თავისი გუნდი 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა და მხოლოდ ამისთვის იმსახურებს ქანდაკებას, ამბობდა: *"ფეხბურთი - ეს არის კოლექტიური ორგანიზებულობის და ინდივიდუალური შესაძლებლობების კომბინაცია"*. ფეხბურთის მთელი ევოლუცია ამ ფორმაში ხდება. ერთის მხრივ, პასები, "კედლები", სამკუთხედები, კვადრატები, სისტემები და მეორეს მხრივ - მარტოხელა გმირები, რომლებიც მწვრთნელების გათვლებს თავიანთი ტაქტიკური უდისციპლინობით ამსხვრევენ და ნარკოტიკულ თრობაში შეჰყავთ მაყურებელი. პირველი უფრო ახლო და გასაგებია ევროპელებისთვის, მეორე - სამხრეთამერიკელებისთვის: ინდივიდუალიზმი - ეს მათი სტიქიაა.

სწორი ნათქვამია: *"ყველა გატაცება გადამეტებაა"*. სამხრეთ ამერიკაში თავად ბურთი უფრო მეტ ინტერესს იწვევს, ვიდრე ფეხბურთი. ქუდს ვიხრი იმ ისტორიიის წინაშე, რომლის მოწმე თავად არ ვყოფილვარ, მაგრამ მომისმენია ადამიანებისგან, რომლებიც ასევე აღფრთოვანებული დარჩნენ ამ ამბით. 40-იან წლებში "რასინგის" ფლანგის მოთამაშემ, დალუნულფეხებიანმა **გარსიამ**, თავისი ეშმაკური მარცხენა ფეხით, მეკარის ჩათვლით მოწინაალმდეგის ნახევარი გუნდი მოატყუა და ბურთი ბადეში გაახვია. ამის შემდეგ, ყურადღება არ მიაქცია პარტნიორებს, რომლებიც ფეხბურთელის მკლავებში მოქცევას ცდილობდნენ. გარსია იმ ადგილას დაბრუნდა, საიდანაც საგოლე მარშრუტი დაიწყო, მიწას ფეხს უსვამდა და გაქუცულ მინდორს ამტვერებდა. რომ ჰკითხეს, რას აკეთებო, მან სრულიად სერიოზულად უპასუხა: *"კვალს ვშლი"*.

"ლოკო" ბერნაო, მარჯვენა ფლანგის ბატონ-პატრონი, იქვე, არგენტინაში, ოლონდ "ინდეპენდიენტეში" და გარსიას გოლიდან 20 წლის თავზე, მინდორზე უხასიათოდ გავიდა და პუბლიკამ სტვენა აუტეხა. ერთი ბიჭი, გადასალობ ბადეს აეკრა და შეეხვეწა: *"გვაჩვენე, რა შეგიძლია"*. ორი ბრწყინვალე გარღვევა და ანგარიში მაშინვე 2:0 გახდა. მაყურებელმა მრისხანება შეწყალებით შეცვალა. მაგრამ ბერნაო ამ აღფრთოვანების ტალღას სრულიად გულგრილად შეხვდა. თამაშის შემდეგ მან ბიჭს უთხრა: *"ეს შენთვის გავაკეთე, მეგობარო, დღეს ჩემთვის სხვები არ არსებობდნენ"*.

არსებობენ შემოქმედებითი გენიოსები, რომლებსაც ავტომატიზმამდე დაჰყავთ თავიანთი დრიბლინგი. მეორენი ტრიუკებს გზადაგზა იგონებენ. ესენი უფრო ნიჭიერები და მოხერხებულები არიან. ერთნი ბუნებით არიან დრიბლიორები, მეორენი - მსახიობები, რომლებიც **ჩაპლინის** თამაშით დაავადდნენ, მესამენი - სისწრაფის მართვის ოსტატები, მათი ილეთები, როგორც მძლოლების შემთხვევაში, ტემპის ცვლაზეა აწყობილი: ააჩქარე, დაამუხრუჭე, ისევ ააჩქარე... **იოჰან კრუიფი** უფრო ამ უკანასკნელთა რიცხვს განეკუთვნება. ერთ-ერთი მისი მეურვე, ჰოლანდიელთან დუელებს იხსენებდა და აღნიშნავდა, კრუიფი არ თაკილობდა ბინძურ ილეთებს - მალულ დარტყმებს და მისთანებს, მაგრამ უცებ ეს გახსენება მოულოდნელ მიმართულებას იღებს: *"იცით, რომ მას დიდი ოსტატის სუნი ასდიოდა. ჩაგირბენდა და კარგ არომატს დატოვებდა..."* არავითარი ეჭვი: ეს პარფიუმი დრიბლინგზე იყო გათვლილი.

მას შემდეგ, რაც ფეხბურთი დაავადდა, დრიბლიორები ნელ-ნელა გადაშენების გზას დაადგნენ. მხოლოდ ყველაზე მოხერხებულები და უნარიანები გადარჩნენ, ცალკეული ტალანტები დღემდე გვანებივრებენ ექსკლუზიური საჩუქრებით. მაშინვე მახსენდება ესპანელი **ბუტრაგენიოს** გაუთავებელი პაუზები და პორტუგალიელი **ფუტრეს** სლალომები. არ შეიძლება არ ახსენო დანიელი **ლაუდრუპის** ელეგანტური სვლები და ესპანელი **ხულიო სალინასის** ძალისმიერი დრიბლინგები, რომელიც პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით მიწაზე აწვენდა მეტოქეებს.

მათ, ვისაც საკუთარი თავის გამოცდა სურთ, ვთავაზობთ სავარჯიშოს სკამებით. ოღონდ ნუ დააწყობთ მათ ერთ ხაზზე, რათა ბურთის გარბენისთვის უფრო ფართო პანორამა გამოჩნდეს. და უფრო თამამად, რადგან ეჭვი - თქვენი შინაგანი მოწინააღმდეგეა. სკამები მორჩილად დგანან, მცველები კი, მკაცრები არიან და გჭირდებათ არა მხოლოდ მოხერხებულობა, არამედ ნებისყოფა, რათა კარის დაცვა განაიარალოთ.

ისევ ვუბრუნდები **გარინჩას**. ვხედავ "მარაკანას" კუთხეში გაქცეულ მეშვიდე ნომერს, რომელიც გვერდით ხაზზე წონასწორობას ინარჩუნებს და მეკარის მოედნისკენ ისწრაფვის. ერთი მეურვე უკვე გაზონზეა, შემდეგის ჯერია... და პუბლიკა მეცხრე ცაზეა.

## 4, 3, 2, 1: გ-ო-ო-ო-ლ!

10 წამი - ძალიან დიდი დროა გმირის ცხოვრებაში. **დიეგო მარადონამ** ადგილი მონიშნა და უცებ წინ საშიში ქურვივით გავარდა. ბურთით, სხეულითა და სისწრაფით, მან უსაქმოდ დატოვა ბრიტანეთის იმპერიის ხუთი ქვეშევრდომი და გაიტანა ყველასთვის დასამახსოვრებელი ბრწყინვალე გოლი. ეს მოხდა მექსიკაში, 1986 წელს, საფეხბურთო მოედანზე, არგენტინისა და ინგლისის შეხვედრაში, მეოთხედფინალურ ეტაპზე, რომლის შემდეგაც ნაგებული შინ მიემგზავრება. სიცხე, ნესტი, სიმაღლე, მილიონობით თვალი. დაძაბულობა, შიში. თუმცა რას გიხსნით - თქვენც ყველაფერი იცით.

ყველაფერი კი ასე დაიწყო. "ზანგმა" **ენრიკემ** მარადონა შეამჩნია და მოკლე პასი მიაწოდა - სუფთა ბიუროკრატიული გადაცემა იყო. მოგვიანებით გასახდელში, ის თავისი ასისტენტობის შესახებ ხუმრობდა: *"ასეთი პასის შემდეგ, გოლის არგატანა იქნებოდა?!"* მარადონამ ბურთი მერვე ნომრის პოზიციაზე, მეტოქის კართან ზურგით მდგომმა მიილო. ოთხივე მხარეს თითო ინგლისელი ედგა და ჯერ კიდევ საკუთარ ნახევარზე იმყოფებოდა. მიიღო, შემობრუნდა და ავტოსტრადაზე საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობა დაიწყო. ამ გზას მხოლოდ ნახევრადშეშლილი ან ნახევრადსულელი თუ გაკვალავდა. წინ 50 მეტრი, უამრავი მოსახვევი და ბრგე ტიპებია, თუმცა კეთილშობილები - მოკლედ, იწყება მოხერხებულობის სახელგანთქმული ანთოლოგია: სილამაზე, პანიკა და ბედნიერი ფინალი. ეს ეპიზოდი ათასჯერ მაქვს ნანახი. ათი წამი, ათი შეხება- გმირი "მეათე" ნომრით.

ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი **ანხელ კაპა** ამბობს: *"ფინიშზე მისული მძლეოსანი წერტილს სვამს; ფეხბურთელი კი, რომელიც სირბილს ასრულებს, მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს ჩანაფიქრის რეალიზაციას: მისთვის ბურთით და უბურთოდ სირბილი - საქმის ნაწილია"*. ამას მინდა დავამატო, რომ თუ გინდა ფეხბურთში პირველი მიხვიდე, სადლაც დამუხრუჭებაც უნდა შეგეძლოს. სხვა სიტყვებით, საჭიროა გონების სისწრაფე. სასურველია, თუ ეს სისწრაფეები ერთმანეთს შეერწყმება, მაგრამ არსებობენ გენიოსები ერთშიცა და მეორეშიც. მაგალითად, **ფრანსისკო ჰენტო** ფიზიკური სისწრაფით გამოირჩეოდა, **მიშელ პლატინი** - მენტალური. მარადონა - შერწყმის ეტალონი იყო. იმისთვის, რომ თავისი სისწრაფე გამოევლინა, მას ბურთი სჭირდებოდა: გამოაჩენდა მას, მალავდა, ისევ გამოაჩენდა და ისევ მალავდა და ასე მიიწევდა წინ. და რადგან, აქ არ მიდიოდა სირბილში შეჯიბრება, მოწინააღმდეგე ყოველთვის ნაგებული რჩებოდა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბევრი მოთამაშე, რომელთათვის ვარჯიშებზე ქრონომეტრი მოტივაციას არ წარმოადგენს, თამაშის დროს ყველაზე სწრაფები არიან.

ვილაცამ თქვა: *"სისწრაფე - ეს არის ღირსება, რომელიც ნაკლს წარმოშობს, რასაც ფაციფუცი და აჩქარება ჰქვია"*.

ლუის სესარ მეტონი ასეთ რეკომენდაციას გვაძლევს: *"ბურთით ვარჯიში ფეხბურთელს იმაში ეხმარება, რომ მან შესაბამისი მაქსიმალური სისწრაფე განსაზღვროს"*.



## პარადოქსების მეგობარი

საერთოდ, ფეხბურთი პარადოქსების მეგობარია. როცა მის სამყაროში ფიზიკური მომზადება შეიჭრა, ბევრმა ჩათვალა, რომ ეს დიდი და ძლიერი ფეხბურთელების მოთხოვნილებას გააჩენდა, რომლებიც მზად იქნებოდნენ შეტაკებებისთვის, ძალისმიერი ბრძოლისთვის. ამ პროგნოზების საწინააღმდეგოდ, თანამედროვე ფეხბურთმა უფრო ფართოდ გაუღო კარი პატარა ფეხბურთელებს, რომლებისთვისაც სხეული გზის გასაკაფ ძალას კი არ წარმოადგენს, არამედ იმ ადგილს, სადაც შეიძლება ბურთი დამალო და მას ათასგვარი მანიპულაციები ჩაუტარო.

როცა **რუი ბაროში** "იუვენტუსში" გამოჩნდა, კლუბის გულშემატკივრებს ვერ გაეგოთ, მისი პარამეტრების პატრონი რას მოახერხებდა დიდი ფეხბურთელების წინააღმდეგ. მაგრამ სოფელ სანტა-მარტადან გამოსულმა პორტუგალიელმა, რომელსაც ყველა ტრუსი დიდი ზომისა ჰქონდა, სეზონი 12 გოლით კლუბის საუკეთესო ბომბარდირის რანგში დაასრულა. ექვსი გოლით მეტი გაიტანა, ვიდრე **ლაუდრუპმა**, რვით მეტი, ვიდრე **ალტობელიმ** და 10-ით მეტი, ვიდრე **ზავაროვმა**. 58-კილოგრამიან და 160-სანტიმეტრიან სხეულში აკუმულირებული დიდი ძალის გამო, მას "ატომური ჭიანჭველა" შეარქვეს.

1989 წლის შემოდგომაზე, უეფას თასის ერთ-ერთ ეტაპზე ერთმანეთს "იუვენტუსი" და "პარი სენ-ჟერმენი" დაეჯახნენ და რუი ბაროში კვლავ შეხვდა **ტომისლავ ივიჩს**, პირველ მწვრთნელს, რომელმაც ფეხბურთელს "პორტუს" ძირითადი შემადგენლობის მაისური ანდო. იუგოსლაველი, რომელსაც ბევრ ცნობილ კლუბში უმუშავია, მათ შორის ჰოლანდიაში და საქმე დიდ ფეხბურთელებთან ჰქონია, ბარუშით იმედგაცრუებული არ დარჩენილა. გავეცნოთ მწვრთნელის რეზიუმეს: *"არ ვიცი ხვალ რა იქნება, მაგრამ დღევანდელ ფეხბურთში, სადაც ძალიან ბევრი ადამიანი ირევა მოედნის ცენტრში, ეს პატარა მოთამაშეები სივრცის დეფიციტის პრობლემას აგვარებენ. რუი ბაროშს წამში შეუძლია დამცველიდან შემტევად გადაიქცეს და პირიქით"*.

ამ პატარა გლადიატორების ფეხები სხვა არაფერია, თუ არა უდიდესი სისწრაფეების მართვის ბერკეტი, მათი დაბალი სიმძიმის ცენტრი მდგრადობას უზრუნველყოფს. ეს ბერკეტები ავტომატივით ირთვებოდა 0-დან 100-მდე და 100-დან 0-მდე, ხოლო ფეხბურთში მხოლოდ ფანტაზია და მობილურობა გვაკვირვებს ისე, როგორც რითმის ცვლის უნარი. ტანმაღალ გერმანიის ნაკრებში ძრავის როლს **ტომას ჰესლერი** თამაშობს, "კიოლნის" ფეხბურთელი 166 სანტიმეტრი სიმაღლით.

ესპანეთში, "რაიო ვალეკანოს" რამდენიმე სეზონი მოედნის ცენტრიდან თავდასხმამდე პატარა ფეხბურთელების ჯგუფი ჰყავდა. მხოლოდ **სოტო** აღწევდა 170 სანტიმეტრს, დანარჩენები სადღაც დაბლა იყვნენ გაჩხერილები: **ბერგი** (168 სმ), **ბოტელია** (167 სმ), **უგო მარადონა** (165 სმ) და **საბასი** (164 სმ). და იმისთვის, რომ ამ მინიატურულ არმიას თავი კომფორტულად ეგრძნო, მათ სათადარიგოთა სკამიდან ხელმძღვანელობდა **ფელინასი**, სიმაღლით... 162 სანტიმეტრი.

80-იან წლებში ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი **ლუის სუარესი**, როგორც ჩანს, ასევე არ ზომავდა ტალანტებს სანტიმეტრით. **მანოლო** და ბუტრაგენიო (ორივე 170 სმ) ყველაზე ხშირად ჩნდებოდნენ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში. ესპანელი დავითები გოლიათ მეტოქეებს "კედლების" ფართო რეპერტუარითა და ათასგვარი ფინტებით უპირისპირდებოდნენ. ისიც აღვნიშნოთ, რომ ლუის სუარესის განკარგულებაში იყო აგრეთვე **ელოი** (მაშინდელი "ვალენსიას" ყველაზე დაბალი მოთამაშე - 167 სმ) და **პარდესა** (ყველაზე დაბალი "სარაგოსაში" - 165 სმ), რომლებსაც დრო და დრო, აძლევდა თავის გამოჩენის საშუალებას.

"ცასთან ყველაზე ახლო" **ხულიო სალინასი**, თავისი 186 სანტიმეტრით, ნაკრების საშუალო სიმაღლეს ზემოთ სწევდა, მაგრამ ის უტყუარი წესიდან ერთი გამონაკლისი იყო: ესპანეთში საუკეთესო თავდამსხმელები შეიძლება კარგ სუნამოს შევადაროთ, რომელიც მთელს მსოფლიოში პატარა ფლაკონებში ისხმება.

**გია თვალაბეიშვილი**

(გაგრძელება იქნება)

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. 11-13 აპრილი

# ბორჯომი, მერე ლისაბონი, პეკინის პრელუდია


სიამის ტყუპები ბეთქილ ნავერიანი და ლომერ ჟორჟოლიანი


ირაკლი ცირეკიძე და ვალერი ლიპარტელიანი

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ დასკვნით შეკრებას ბორჯომში, სპორტკომპლექს "ოლიმპში" გადის. შეგახსენებთ იმ შემადგენლობას, რომელიც 11-13 აპრილს ლისაბონში, ევროპის პირველობაზე იჭიდავებს: ნესტორ ხერგიანი (60), ზაზა კედელაშვილი (66), დავით ქევხიშვილი (73), გიორგი ბაინდურაშვილი (81), ირაკლი ცირეკიძე (90), ლომერ ჟორჟოლიანი (100), ლაშა გუჯეჯიანი (+100). ცხადია, ყველა მათგანი შეკრებაზეა, სადაც, მთლიანობაში, 45 სპორტსმენი იმყოფება.**

გუშინ იქაურობას ზუსტად იმ დროს ვესტუმრე, როცა სპორტსმენები ვარჯიშს იწყებდნენ. სასტუმროდან დარბაზში ბოლო მონაწილენიც ჩამოდიოდნენ, თუმცა შესავლის უმალვე თვალში მძიმეწონოსანი **ზვიად ხანჯალიაშვილი** მომხვდა, რომელიც ტატამის განაპირას ჩვეულებრივ სამოსში გამოწყობილი კოჭლობით მიმოდიოდა... თურმე შეკრებაზე მუხლი უტკენია და სამდღიანი წოლის შემდეგ გუშინ პირველად წამომდგარა. რა ვიცი, ასე დავითარსეო, უამურად გაილიმა და შტანგას მიაშურა, რადგან ტატამზე ვარჯიში ჯერ არ შეუძლია.

ლიდერების ძებნაში დარბაზი მოვათვალიერე, თუმცა ყველა იქ იყო. ერთადერთი, მხოლოდ **ქევხიშვილი** არ ჩანდა... გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ მწვრთნელებმა დამამშვიდეს, ინდივიდუალური გრაფიკით ემზადება და ამიტომ არაა დარბაზშიო. მოგეხსენებათ, დავითს ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები აწუხებს, რის გამოც დიდ დატვირთვებს ერიდება. ამიტომ არც წონას აკლებინებენ და არც ტურნირებში გამოსულა, საევროპოდ კი ინდივიდუალურად ემზადება.

ძიუდოისტები დღეს საკონტროლო წვრთნებს ატარებენ, ამიტომ გუშინ შედარებით მსუბუქად ივარჯიშეს. ამაში რამდენიმე კომპონენტი შედიოდა - მოთელვა, სპეციფიკური ვარჯიშები სხეულის სხვადასხვა ნაწილების გასახურებლად - ფეხებისა თუ მკლავების ერთგვარი მასაჟი, ჰაერში ახტომები, ტატამზე წინ და უკან გორაობა, ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ კოტრიალი წელის გასავარჯიშებლად; ძუნძულით სირბილი, ჩოქბჯენში ჭიდაობა ანუ თავდაცვაზე ვარჯიში, შეტევითი სტილის დამუშავება, მცირე დატვირთვის ორთაბრძოლები ლიდერთა მონაწილეობით...

**ნესტორ ხერგიანი** წონას იკლებს და შედარებით თბილად ეცვა, ვარჯიშებში კი თავს, ჩვეულებრივად, არ ზოგავდა. **ზაზა კედელაშვილი** თითქოს იმდენად შესამჩნევი ფიგურა არ იყო, მაგრამ რაც იჭიდავა, თამამად და გახსნილად, შემტევ სტილში. ზედმეტი წონა მასაც აწუხებს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ დამძიმებული ჩანდა. **ირაკლი ცირეკიძეც** ჩვეულად, გულმოდგინედ ირჯებოდა. რაც მთავარია, მის მოძრაობებში ძალა, ჭიდაობისთვის მზადყოფნა იგრძნობოდა. გემახსოვრებათ მისი ჭიდაობა თბილისის ტურნირზე, სადაც შებოჭილად და მძიმედ მოძრაობდა. ახლა ასეთი მარწუხები არ ეტყობოდა და თვითონაც აღნიშნა, რომ თავს ნორმალურად გრძნობს. კიდევ ვიმეორებთ - ეს არ იყო სრული დატვირთვებით ჩატარებული ვარჯიში, მაგრამ მისი დასრულებისას დაღლა არ ეტყობოდა, როგორც **ლომერ ჟორჟოლიანსა** და **ლაშა გუჯეჯიანს**.

ჟორჟოლიანს შეკრებაზე მუხლი კი უტკენია, მაგრამ ნაკრების თავკაცი **შოთა ხაბარელი** ამბობს, რომ საშიში ტრავმა არაა და მომზადებაში ხელს სერიოზულად არ შეუშლის. ასევე წარსულს ბარდება გუჯეჯიანის კოჭის ტრავმა, თუმცა მას ზედმეტი წონაც აწუხებს. **გიორგი ბაინდურაშვილიც** გულმოდგინედ ვარჯიშობდა, მაგრამ თითქოს ცოტა შებოჭილად. ის ცხოვრებაშიც წყნარი პიროვნებაა, ძალიან მორიდებული ადამიანი და ეს თვისება ჭიდაობაშიც ეტყობა. ეს ჩემი პირადი აზრია და იქნებ ვცდები, მაგრამ ვფიქრობ, ჭიდაობისას მეტი სითამამე და აგრესია მართებს.

ამ მხრივ კიდევ უფრო მეტი პროგრესი ეტყობა ჟორჟოლიანს. ადრე თუ მის ჭიდაობასაც აკლდა სითამამე, თბილისის ტურნირზე ბევრად გახსნილად ჭიდაობდა. გუშინ იმითაც დაინტერესდა, ევროპაზე იჭიდავებენ თუ არა ებრაელი ევროპის ჩემპიონი **არიელ ზეევი** და გერმანელი ოლიმპიური პრიზიორი **მიხაელ იურაკი**, მერე კი იურაკს დაემუქრა კიდეც... ესეც პროგრესია მის მიდგომებში - ადრე ტიტულოვან მეტოქეებზე ასე თამამად არ ლაპარაკობდა, ახლა კი, ჩანს, თავადაც ირწმუნა, რომ მართლა შეუძლია ყველას დამარცხება.

დაბოლოს, ისევ ბაინდურაშვილზე, რომელსაც ერთ დამსახურებას ვერ დავუკარგავთ - მშრომელია და ადვილად ითვისებს ნასწავლს, რაშიც თბილისის ტურნირზეც დავრწმუნდი. მაშინ, როცა კი დაუჯერა ხაბარელს და მის რჩევას დაჰყვა, ყოველთვის გააკეთა ქულა. გუშინ ვარჯიშების სისტემებიდან გამომდინარე, მწვრთნელები მთლად ასე აქტიურნი არ ყოფილან, თუმცა რამდენჯერმე ხაბარელიც კი შევიდა ტატამზე და ახალბედებს პრაქტიკული გაკვეთილები ჩაუტარა.

**ბიძინა მოხევიშვილი** მთელი ვარჯიში ტატამზე იდგა და ფხიზლად ადევნებდა თვალს შეგირდებს, უქმად არც სხვები ყოფილან, თუმცა ყველაზე დიდ ჯაფაში მაინც **გურამ მოდებაძე** იყო. ლისაბონში მისი 4 შეგირდი იჭიდავებს: კედელაშვილი, ქევხიშვილი, ჟორჟოლიანი და გუჯეჯიანი. ამას ახალგაზრდული თუ ჭაბუკთა ნაკრების წევრებიც ემატებიან და შეკრებაზე წარმოდგენილ 45-კაციან შემადგენლობაში მისი მოსწავლეების დიდი ჯგუფია.

ვარჯიშმა თითქმის ორი საათი გასტანა, თუმცა მონაწილეთა უმრავლესობა მერეც დარბაზში დარჩა და ინდივიდუალურად გააგრძელა მზადება. ცირეკიძე და მისი ახალგაზრდა კონკურენტი **ვალერი ლიპარტელიანი** ვეება ბუშტს მიეტანნენ და კალათბურთის თამაში გააჩაღეს. ეს ბუშტი სავარჯიშო პროცესებში შედარებით ახალი ელემენტია - ორიოდ სეზონის წინ, იაპონელთაგან გადმოიღეს. სპორტსმენები მასზე უნდა შეხტნენ და წონასწორობა შეინარჩუნონ, რაც, დაგვეთანხმებით, ძალზე ძნელია. სამაგიეროდ, ამგვარი ვარჯიშები ავითარებს ფეხის კუნთებს, ხელს უწყობს კოორდინაციას. ამ საკმაოდ მძიმე, თუმცა კი გამძლე და ელასტიური ბუშტის დანიშნულებაც ესაა, თუმცა გუშინ მას ძიუდოისტები სხვა ფუნქციით - კალათბურთის სათამაშოდ იყენებდნენ, რითაც ცირეკიძე და ლიპარტელიანი გვარიანად გაერთნენ. მათ ურთიერთობას არაფერი ეტყობა კონკურენციის - პირიქით, ყველაფერში მეგობრული დამოკიდებულება გამოსჭვიოდა, მაგრამ მათი ღლაბუცი მაინც მენიშნა - ამ ოლიმპიურ ციკლში თუ არა, გაისად ისინი მძაფრ ბრძოლას გააჩაღებენ ნაკრებში ლიდერობისთვის.

დარბაზში დარჩენილთა უმრავლესობა ასე ცალკეულ ჯგუფებად დაიყო და თავისთვის ვარჯიშობდა. ტატამის ერთ კუთხეში უცებ შეიკრიბა "სვანური დაჯგუფება" - ჟორჟოლიანმა თავისივე ბიძაშვილი **ბეთქილ ნავერიანი** დაიმარტოხელა და სხვადასხვა სახის გდებებში ვარჯიშობდა, გუჯეჯიანი კი იქვე იდგა და უმცროს მეგობრებს პრაქტიკული თუ თეორიული რჩევებით ეხმარებოდა. თუმცა გუჯეჯიანი დარიგებებს არც სხვებისთვის იშურებდა, რაც ძალზე სასიამოვნო ფაქტი იყო. საერთოდ, დარბაზში ახლაც ისეთივე ულრესად მეგობრული ატმოსფერო იგრძნობოდა, რაც ადრეც ყოველთვის შემინიშნავს, როცა კი მათ ვარჯიშებს დავსწრებივარ, ასეთი სულისკვეთება კი ნებისმიერ გუნდში აუცილებელია - უამისოდ წარმატება ორმაგად გაძნელდება.

**შოთა ხაბარელი** ნაკრების მზადებით და განვლილი მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილია და ამბობს, რომ გუნდში რაიმე სერიოზული პრობლემები, რაც ევროპაზე წარმატებით გამოსვლაში ხელს შეუშლით, არაა. რაც მთავარია, გუნდში სერიოზული ტრავმები არაა. რამდენიმე სპორტსმენს ზედმეტი წონა აწუხებს - ხერგიანს, კედელაშვილს, ცირეკიძეს, გუჯეჯიანს, მაგრამ უმეტესობას - იმდენად უმნიშვნელოდ, ხაბარელი ამაში პრობლემას ვერ ხედავს. ტრადიციულად, ყველაზე მეტი კედელაშვილმა უნდა დაიკლოს - 6 კილოგრამი, თუმცა ლისაბონამდე ჯერ საკმარისი დროა და თუ რეჟიმს დაიცავს, ეს არ უნდა გაუჭირდეს.

ჩვენი ნაკრები შარშან ევროპაზე დიდი წარმატებით გამოვიდა - შვიდივე სპორტსმენი შვიდეულში მოხვდა, ხუთმა კი მედალი მოიპოვა. აქედან 1 - ოქრო, ამდენივე ბრინჯაო და 3 - ვერცხლი. ხაბარელი ფიქრობს, რომ ნაკრები წლეულს უკეთაა მომზადებული, რადგან საწვრთნელი პროცესი მნიშვნელოვნად გარდაიქმნა. მაგალითად, სიახლეა ასეთი ვარჯიში - ლიდერს 5-წუთიან მონაკვეთში 5 სპორტსმენი ეჭიდავება, ანუ ყოველ მათგანს - თითო წუთი. არის ვარჯიში, როცა ლიდერი წელსზევით შიშველი ჭიდაობს - ამ დროს მას თავდაცვა ევალება და კიმონოიან მეტოქეს გდება არ უნდა დაუთმოს. მერე ამპლუები იცვლება - ლიდერი კიმონოთი შედის საჭიდაოდ, შიშველი კი უკვე მეტოქეა. ამ დროს ილეთების გაკეთება უკვე ლიდერის მოვალეობაა, რომელმაც ეს იმის მიუხედავად უნდა გააკეთოს, რომ მეტოქეს კიმონო არ აცვია და შიშველ მაჯებზე ჩავლება ძნელია...

დღეს საკმაოდ მძიმე დღეა - საკონტროლო შეხვედრები. მათი ჩვეულებრივი სავარჯიშო დღე დილის რვის ნახევარზე იწყება, როცა ილვიძებენ, 8-ზე კი მთელი გუნდი ხაზზეა მოწყობილი. ამას იქვე - სტადიონზე რამდენიმე წრეზე სირბილი მოსდევს, დილის ვარჯიში კი მოკლე, 30-მეტრიან სპრინტერულ დისტანციებზე სირბილით მთავრდება. ეს საჭიროა სისწრაფის გასავითარებლად, 9-ზე კი საუზმეა. 11 საათზე პირველი ვარჯიშია, რომელიც 2 საათი გრძელდება, 13:30 სადილია, რასაც მშვიდი საათი მოსდევს, 17-ზე კი მეორე ვარჯიში და მისი დასრულებისას - ვახშამი. თუმცა არის ხოლმე დღეები, როცა მხოლოდ ერთხელ ვარჯიშობენ. ცხადია, ეს გრაფიკიც და მენიუც სამედიცინო და სამეცნიერო შტაბების მიერაა შედგენილი, რომელთა წარმომადგენლებიც შეკრებაზე იმყოფებიან და, შეიძლება ითქვას, სპორტსმენთა ყოველ ნაბიჯს აკვირდებიან,.

მოგეხსენებათ, წლეულს სეზონის უმთავრესი შეჯიბრება ოლიმპიადაა, რამაც ძიუდოისტთა წლევანდელი საშეჯიბრო გრაფიკი რამდენადმე შეცვალა. სეზონში ორჯერ ფორმის პიკში მისვლა ძალზე ძნელია - ეს გამოფიტავს სპორტსმენებს, ბუნებრივია, რომ აქცენტს ოლიმპიადაზე აკეთებენ და ევროპისთვის იმდენად არ იტვირთებიან. სამაგიეროდ, როცა ნაევროპევს, როცა ოლიმპიადისთვის მიზანმიმართულ მზადებას დაიწყებენ და 5 ივნისიდან ისევ ბაკურიანში გაემგზავრებიან ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებაზე, შეღავათების გარეშე დაიწყებენ მზადებას.

თუმცა ამაზე მერე ვილაპარაკოთ, მანამ კი ევროპის პირველობაა, სადაც ნაკრები 9 აპრილს, გამთენიისას გაემგზავრება.

**ირაკლი თავაძე**
ბორჯომი-თბილისი
ავტორის ფოტოები

რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. U-20

## კლერმონში, ჩილესთვის

**საქართველოს ოცნლამდელ მორაგბეთა ნაკრები მომავალ წელს გასამართი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურისთვის მზადებას საფრანგეთში განაგრძობს. პატარა ბორჯღალოსნები თვრამეტწლამდელთა მსგავსად "კლერმონის" ბაზაზე დაბანაკდნენ. გუშინ კი ამავე კლუბის სათადარიგო გუნდს შეხვდნენ და 0:14 დამარცხდნენ.**

**გუშინ, საფრანგეთში ნაკრების მწვრთნელს ლევან მაისაშვილს დავუკავშირდით.**

- თამაში საინტერესო გამოდგა. უკმაყოფილო ნამდვილად არ ვართ. მართალია წავაგეთ, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ საჯარიმოებს კარში არ ვურტყამდით. თანაც, განსაკუთრებით პირველ ნახევარში, საგრძნობლად დიდ უპირატესობას ვფლობდით და ბევრი სალელოვე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მთავარი, ცხადია, შედეგი არაა. ეს საწვრთნელი შეხვედრა იყო, რომელმაც გუნდის ხარვეზები ნათლად წარმოაჩინა და დარჩენილ დროში ვეცდებით სრულად აღმოვფხვრათ. ჩილეში გამგზავრებამდე სავარაუდოდ კიდევ ერთ ამხანაგურ შეხვედრას გავმართავთ და ძირითადი შემადგენლობის თაობაზე ამის მერე ჩამოვყალიბდებით".

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ოცნლამდელთა ნაკრები ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში პირველ შეხვედრას ჯგუფურ ეტაპზე იამაიკის ნაკრებთან გამართავს. ჩვენი გინდის მიზანი ელიტაში დაბრუნებაა.

მწვრთნელებმა ლევან მაისაშვილმა და **ნიკოლოზ ჭავჭავაძემ** თან შემდეგი მოთამაშეები იახლეს:

პირველი ხაზი: **ვასილ კაკოვინი** (უნივერსიტეტი), **გიორგი ტორაძე** (აია), **გიორგი ცირეკიძე** (არმაზი), **ბექა სულუხია** (აია), **ირაკლი მირცხულავა** (დინამო), **გიორგი ჯაშიტაშვილი** (ყოჩები).

მეორე ხაზი: **ბექა ნიკოლაიშვილი** (ყოჩები), **ლადო ჩოჩიშვილი** (ყოჩები); **ალექსანდრე იორდანიშვილი** (ლელო)

მესამე ხაზი: **ვახტანგ მძინარიშვილი** (ლელო), **ვიქტორ კოლელიშვილი** (ლელო), **არჩილ კობაური** (მასი), **დავით ჩიჩუა** (აჟენი)

9: **გიორგი ჭინჭარაული** (ლელო), **გიორგი როხვაძე** (ყოჩები)

10: **ბექა წიკლაური** (უნივერსიტეტი), **ლაშა ხმალაძე** (ლელო)

12-13: **რატი ნუცუბიძე** (უნივერსიტეტი), **სანდრო იაშვილი** (ყოჩები), **გიგა კორკელია** (ლელო)

11-14: **ალექსანდრე ტუჩაშვილი** (უნივერსიტეტი), **მიხეილ წიკლაური** (ხარები), **ჯაბა კიკვიძე** (სტმ კოლეჯი, ინგლისი)

15: **ვახტანგ კავთიძე** (უნივერსიტეტი), **გოდერძი ჯოგლიძე** (ლელო)

**ბესიკ ჯანგავაძე**

| განრიგი |
|---|
| **15 აპრილი** |
| საქართველო-იამაიკა |
| **19 აპრილი** |
| საქართველო-კორეა |
| **23 აპრილი** |
| საქართველო-ურუგვაი |


## განცხადება

**ბოლო დღეებში განსაკუთრებით გაიზარდა მკითხველთა მოთხოვნა "ლელოზე", როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. ეს დასტურდება სატელეფონო ზარებით, გვთხოვენ გავზარდოთ ტირაჟი.**

**განემარტავთ, რომ მკითხველამდე გაზეთის მიტანის პროცესს თავად არეგულირებენ პრესის გავრცელების სააგენტოები, რედაქცია კი მათი შეკვეთის მიხედვით განსაზღვრავს ტირაჟს. სქემა ასეთია: მკითხველი - პრესის გამავრცელებელი - რედაქცია. ასე რომ, პრობლემის დარეგულირება პრესის გამავრცელებლებიდან უნდა დაიწყოს მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებით.**

**"ლელოზე" ხელმოწერის მსურველებს კი გაცნობებთ, რომ გაზეთის გამოწერა შეუზღუდავია. შეგიძლიათ მიმართოთ პრესის გავრცელების ნებისმიერ სააგენტოს, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. ეს სააგენტოებია: "საქპრესა", "მაცნე", "ელვა-სერვისი", "ინფოსერვისი", "პლანეტა-ფორტე", "პრესექსპრესი", "ოლიმპი", პგს...**

ლელოს რედაქცია

18-წლამდელთა ნაკრები

# სომხეთს გავუსამეთ

თბილისურ შეკრებაზე მყოფმა სომხეთის 18-წლამდელთა ნაკრებმა მესამე ამხანაგური მატჩი ჩაატარა ქართველ თანატოლებთან. **ვახტანგ ბერიაშვილის** შეგირდებმა - ჩვენ სტუმარმასპინძლობა მხოლოდ მოედნის მიღმა ვიცითო და მესამედაც უპრობლემოდ მოუგეს მეზობლებს - 32:16.

სომხეთის ნაკრები გუშინვე სამშობლოში დაბრუნდა და რევანშის აღებას მაისის დასაწყისში შეეცდება, როდესაც ჩვენი 18-წლამდელები საპასუხო ვიზიტით ჩავლენ ერევანში.

**საქართველო-სომხეთი 32:16**

საქართველო: ოქროპირიძე, ჯანგიძე, მძელური (3), კიკნაძე, მუმლაძე, ხაბაზიშვილი, თევზაძე (2), მუქთიაშვილი (2), ბეჟანიშვილი (1), ქავთარაძე (2), დარსაველიძე (3), ყაზაიშვილი (1), წითელიშვილი (6), ზუბიაშვილი (4), გეგეჭკორი (5), გოგიშვილი (3)

ჩოგბურთი

# პირველად წააგო

ამერიკის ქალაქ კარსონში 18-წლამდელ ჩოგბურთელთა პირველი კატეგორიის ტურნირი "სფრინგ ინტერნეიშენელი" მიმდინარეობს, რომელშიც 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** გამოდიოდა. ბასილაშვილი წლეულს აქამდე არ დამარცხებულა, გასულ კვირას კი ამერიკაში "ტენის ექსპრესის" ტურნირი მოიგო. კარსონში ნიკამ მოგებით დაიწყო, თუმცა მეორე წრეში მან ვერაფერი მოუხერხა მე-6 ნომრად განთესილ დომინიკელ **ხოსე ერნანდესს**, რომელიც ქართველზე ორი წლით უფროსია, ბასილაშვილმა ერთი სეტი მოიგო, თუმცა შემდეგ გამოცდილებამ და ძალამ თავისი გაიტანა - 6:3, 2:6, 2:6.

ნიკა ტურნირის წყვილთა ბადესაც დაემშვიდობა, სადაც ამერიკელ **ფილიპ პოგოცკინთან** ერთად თამაშობდა. მათ მე-4 ნომრად განთესილ ამერიკელებთან (**ბრაიტონი, ბუჩენენი**) წააგეს - 3:6, 2:6. ნიკა ბასილაშვილი რეიტინგით 244-ეა მსოფლიოში 18-წლამდელ ჩოგბურთელთა შორის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნიკოლოზ ბასილაშვილი

იუბილარი

# ჯანსუღ ბაგრატიონი 70



**ბატონო ჯანსუღ!**

დღეს თქვენი დაბადებიდან 70 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ გვსურს დაგიდასტუროთ თქვენდამი ღრმა პატივისცემა, როგორც პიროვნებისადმი, ისე იმ უდიდესი ღვაწლის გამო, რომელიც თქვენ ქართულ სპორტში მიგიძღვით, როგორც ამ სფეროს წინსვლის მრავალმხრივ შემოქმედს, მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

საქართველოში არ გვეგულება მეორე პიროვნება, რომელსაც, როგორც სპორტსმენს, შემდეგ როგორც მწვრთნელს და ბოლოს როგორც სპორტის მაღალჩინოსანს იმ დიაპაზონის ამაგი გაეწიოს ეროვნული სპორტისთვის, როგორც ეს თქვენ შეძელით.

თბილისის "ბურევესტნიკის" შემადგენლობაში თქვენ მოიპოვეთ სსრკ ჩემპიონობა, სამგზის ვერცხლის, ერთხელაც ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეთ. გახდით სპორტის საპატიო ოსტატი. მერე იყავით მშობლიური გუნდის მთავარი მწვრთნელი, შედეგზე კი ის მეტყველებს, რომ მოგენიჭათ სსრკ დამსახურებული მწვრთნელის წოდება. წარმატებით ხელმძღვანელობდით სპი-ს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას, მერე თქვენი, როგორც ორგანიზატორის ნიჭიერება მკაფიოდ გამოვლინდა თბილისის სპორტკომიტეტის თავკაცად და საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად მუშაობის პერიოდში. ღვაწლი კი ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, ღირსებისა და სოკ-ის ორდენებით დაფასდა. ამჟამად სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტი ბრძანდებით, რითაც თქვენეული ხიბლი უნარჩუნდება ამ ეროვნულ ორგანიზაციას.

და კიდევ, არ შეიძლება არ ითქვას იმ ურღვევ კავშირზე, რაც თქვენ დაამყარეთ ქართულ სპორტსა და ქართულ კულტურას შორის, როგორც ორივე სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენელმა. თქვენ საყოველთაო სიყვარულით ხართ გარემოსილი და ასე იქნება მარადის. ყოველთვის გვეგულებოდით, გვეგულებით და მუდამ გიგულებთ ჩვენი გაზეთის დიდ და ერთგულ მეგობრად.

მრავალჟამიერ, ბატონო ჯანო!

"ლელოს" რედაქცია

## ჯანო ბაგრატიონს ულოცავენ

**ჯ. ბაგრატიონს დაბადებიდან 70 წლს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით "ლელოს" რედაქციაში იუბილარისადმი მისალოცი წერილები გამოაგზავნეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა, ევროპის ქვეყნების ოლიმპიურმა კომიტეტმა, რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლეონიდ ტიაგაჩევმა, საქართველოს ხელბურთისა და ჩოგბურთის ფედერაციებმა და სხვა სპორტულმა ორგანიზაციებმა.**

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# ორი გასეირნება პრინციპულ მატჩებამდე

**სტუ/თელავი-ქუთაისი 40:15**

სტუ: გ. ტორონჯაძე, გოგალაძე (9), ქობელაშვილი (2), ა ყიფიანი (10), ჯორბენაძე (1), გ. ჩიქოვანი (6), კობახიძე (3), საჯაია (4), ი. ჩიქოვანი (4), ნიკოლაიშვილი, ტალახაძე (1), ო. ყიფიანი

ქუთაისი: შიშინაშვილი (1), თუთბერიძე, დოლაკიძე, დ. გობეჯიშვილი (1), ჯანაშია (3), სვანიძე, გ. გობეჯიშვილი (1), ჩხაიძე, ცერცვაძე (8), ნიკურაძე, ადამია, დოლიძე (1), სიხარულიძე

მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

**თბილისი-მამული 40:16**

თბილისი: გონჩაროვი, ანდრიაძე, ი. ტორონჯაძე (6), ქარდავა (9), ნივნივაძე (4), სამარლანიშვილი, ღალანიძე (5), ყაველაშვილი (5), მაისურაძე (1), ლ. გელაშვილი (1), ო. ქუთათელაძე (5), ჯიშკარიანი (3)

მამული: ხონელიძე, ბერეკაშვილი, ჩაჩანიძე, შონია, კვერნაძე (3), თეთრუაშვილი (4), გილიგაშვილი (1), ქუთათელაძე (2), სეთურიძე (1), გველესიანი (5), ლობჟანიძე

მსაჯები: თამარ არჩაია, ინა ჭკუასელი

მესამე წრის მეორე ტურში გამოკვეთილმა ფავორიტებმა მეტოქეები გაცვალეს. სტუ-"თელავმა" "ქუთაისს" ჩაუტარა გამოცდა, ხოლო "თბილისმა" ერთ დროს უშუალო კონკურენტს ამჟამად კი გვარიანად დასუსტებულ "მამულთან" წაიბურთავა.

წინა დღის კოშმარიდან სწრაფად გამოსვლა მოახერხა "ქუთაისმა", რომელმაც "თელავს" 15 გოლი გაუტანა. თუმცაღა, რა თქმა უნდა, რიონისპირელებს კვლავ აქვთ ხარვეზები და კაცმა რომ თქვას, ასეთი ახალგაზრდული გუნდისაგან ეს არც არის გასაკვირი. "ქუთაისის" ყველაზე დიდი პრობლემა დაცვაა. საერთოდ, როდესაც გუნდი შეტევაში ბურთს კარგავს, ორი გზა აქვს - ან იქვე უნდა მიმართოს პრესინგს, ან სწრაფად ჩამოვიდეს უკან და კარის მისადგომები გაამაგროს. **გია თავხელიძის** შეგირდებს კი ვერც პრესინგი გამოსდით ჯანიან და გამოცდილ მეტოქეებთან და ვერც სრული გუნდით დროულად უკან დახევას ასწრებენ ხოლმე. შესაბამისად, მეტოქეს თითქმის ყველა შეტევაში კაცმეტობის კოზირი ეძლევა და გოლი გოლზე გააქვს. ამას გარდა, ქუთათურებს პრობლემები ექმნებათ შეტევაშიც. ფიზიკური კონდიციებითა თუ კლასით ისინი "თბილისსა" და "თელავს" გვარიანად ჩამორჩებიან.

მატჩის მიმოხილვა კი ერთი სახალისო ეპიზოდის აღნიშვნით დავამთავროთ. ბოლო წამებზე ქუთაისელთა მეკარე **დავით შიშინაშვილმა** დაინახა, რომ მისი სტუ-ელი კოლეგა **გიგა ტორონჯაძე** წინ იყო გამოსული და საკუთარი კარიდან თავზე გადაუგდო ბურთი, რითაც მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

სტუ-სთან და "თბილისთან" ქუთათურების მსგავს პრობლემებს აწყდება ხოლმე "მამულიც". ამიტომ არც **რეზო ჭანტურიას** გუნდის დიდი ანგარიშით წაგება იყო მოულოდნელობა "თბილისთან". სამწუხაროდ, ავტოავარიის შემდეგ, მამულელთა თავკაც ჭანტურიას ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და შესაძლოა, მან სეზონის ბოლომდე ვერ მოახერხოს "მამულის" დამოძღვრა.

გუშინ კი "აგრარიკოსებს" კიდევ ერთი პრობლემა დაემატათ. მეორე ტაიმში, გუნდის ერთ-ერთ წამყვან ხელბურთელ **კვერნაძეს** სათამაშო ეპიზოდში თვალში მოხვდა მეტოქის თითი და სისხლი წასკდა. კვერნაძემ "ვაიმე თვალი დავკარგეს" ძახილით დატოვა დარბაზი. ის საავადმყოფოში გააქციეს. სამწუხაროდ, ხეირიანად დანახვა ვერ მოვასწარით, რამდენად სერიოზულად დაიშავა თვალი, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ იგი მხედველობას არ დაკარგავს და ეგებ ახლა მაინც გაითვალისწინოს ვინმემ, რომ ასეთი დონის ღონისძიებებზე დარბაზში ექიმის ყოლა აუცილებელია. ადრეც დავწერეთ, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა, სახელბურთო მატჩების დროს ექიმები არსად არიან ხოლმე. შეხვედრის კომისარ **თამაზ ჩხარტიშვილის** თქმით, ექიმების დაქირავება კლუბებს ევალებათ, მათ კი ფინანსური სიდუხჭირის გამო ხან მოჰყავთ მედიკოსები და ხან არა. შარშან ამის გამო ბეწვზე გადარჩა "თელავის" შეფი **დავით ქეშიკაშვილი**, რომელმაც დაძაბული მატჩის დროს, ზედმეტი ემოციებისაგან გონი დაკარგა და სანამ სასწრაფო დახმარება მოვიდა, გვარიანი შიში ვჭამეთ.

"მამული", ჩვეულებისამებრ, მხოლოდ საწყის 15-წუთიან მონაკვეთში გაუძალიანდა ფავორიტს, მერე კი უნდოდა თუ არა, მეტოქის კლასთან ვერაფერი გააწყო და დიდი ანგარიშით დამარცხდა.

დღეს მესამე ტური ორი ფრიად საინტერესო მატჩით დამთავრდება. 13 საათზე, "მამული" იმ "ქუთაისს' ეთამაშება, რომელსაც ჯერ ქულაც არა აქვს და სწორედ დღეს ილესავს კბილებს პირველი გამარჯვებისათვის. თუკი იმერლებმა დასახულ მიზანს მიაღწიეს, შანსი რჩებათ, რომ მესამე ადგილისთვის იბრძოლონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ "მამული" ორი წრით ადრე გაინაღდებს რეგულარული სეზონის მესამეადგილოსნობას.

14:30 წუთზე კი "ქართული კლასიკო" გველის სტუ-"თელავსა' და "თბილისს" შორის. აქაც ისეთი ვითარებაა, რომ გამარჯვების შემთხვევაში, სტუელები საფლეიოფოდ პირველ ადგილსა და მოედნის უპირატესობას გაინაღდებენ, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში ყველაფერი დარჩენილ 2 ტურში გადაწყდება.

**კობა ხატისაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ-თელავი | 8 | 8 | 0 | 0 | +164 | 16 |
| თბილისი | 8 | 6 | 0 | 2 | +167 | 12 |
| მამული | 8 | 2 | 0 | 6 | -135 | 4 |
| ქუთაისი | 8 | 0 | 0 | 8 | -196 | 0 |

| ბომბარდირები |
|---|
| ამირან ყიფიანი (სტუ-თელავი, 99) |
| ვანო ქარდავა (თბილისი, 70) |
| გიორგი წივწივაძე (თბილისი, 62) |

ჰოკეი

# ქართველ ჰოკეისტთა ოცნება



**გამოგიტყდებით**, თავის დროზე მაინტერესებდა, რატომ არ ჰყავდა საქართველოს ჰოკეიში საკუთარი გუნდი, რომელიც სსრკ ჩემპიონატში ითამაშებდა. როცა მეკარე კოტე ბახუტაშვილის ფოტო ვნახე ცსკა-ს ფორმაში, რაღაც იმედის ნაპერწკალი გაჩნდა, მაგრამ დიდი დრო გავიდა ოცნების ახდენამდე. ახლა უკვე ყინულის ჰოკეიში საქართველოს ჩემპიონატიც კი ტარდება და ჩვენი ჰოკეისტები უცხოელი სპეციალისტების ყურადღების ცენტრშიც კი მოექცნენ.

მოხდა ისე, რომ ჰოკეის ფედერაციის მიერ "ლაივბარში" პრესკონფერენციაზე დასწრება მე დამევალა. ვიცოდი, რომ ჟურნალისტებთან უნდა ესაუბრა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტს, ბატონ **დენის დავიდოვს**, მაგრამ თურმე ის თბილისში არ ყოფილა და მასმედიის წარმომადგენლებს ვიცე-პრეზიდენტი, აღმასრულებელი დირექტორი, ბატონი **ლაშა ცაგარეიშვილი** გაგვესაუბრა. მან თქვა, რომ ტიუმენში ახალგაზრდული ნაკრების თამაშითა და შედეგით კმაყოფილია. "ოჩაკოვოს" პრიზზე ტურნირმა კარგად ჩაიარა. ჩვენმა გუნდმა 15 გოლის გატანა შეძლო. იქაური მასმედია ძალიან კარგად აშუქებდა ქართველი ჰოკეისტების თამაშს.

ქვეყნის ეროვნული ნაკრები შეიქმნება კლუბების უძლიერესი მოთამაშეებისგან და წავა დნეპროპეტროვსკში, საერთაშორისო ტურნირზე, სადაც მეხუთე ადგილზე გასვლა უმაღლეს შედეგად ჩაითვლება.

მოგეხსენებათ, სათანადო სავარჯიშო პირობები და ადგილი ჯერჯერობით არ არსებობს. ბიჭები სპორტის სასახლის წინ, საციგურაო მოედანზე ვარჯიშობენ. ის მოედანი სტანდარტულზე ბევრად ნაკლებია და აქ ჩატარებული ვარჯიში უარყოფითად აისახება თამაშის შედეგზე. ბიჭებს, მესამე პერიოდში, უკვე დაღლილობა ეტყობათ და, შედეგად, მარცხდებიან იმ მატჩში, რომელიც შეეძლოთ მოეგოთ.

ლაშა ცაგარეიშვილმა აღნიშნა, რომ ბათუმში ჰპირდებიან საერთაშორისო დონის მოედნის აშენებას, რაც დიდად დაეხმარება ჰოკეის ფედერაციას საქართველოს ჩემპიონატის მატჩების ჩატარებაში. არის მოზრდილთა ოთხი გუნდი, შეიძლება მეზობელი ქვეყნების გუნდების მოწვევაც. წინ დიდი გეგმები და პერსპექტივებია.

ამ ოთხი გუნდიდან, ერთ-ერთის, კერძოდ კი "რუხი მგლების" მეკარე **კონსტანტინე სანიკიძე**, კაპიტნის ასისტენტი **მიხეილ დავითაშვილი** და ასევე იუნიორთა გუნდის მოთამაშე, **გიორგი ცაგარეიშვილი** პრესკონფერენციას ესწრებოდნენ.

პრესკონფერენციის დასასრულს გავესაუბრე ჭაბუკთა ლიდერს, **გიორგი ცაგარეიშვილს** და აღმოვაჩინე, რომ მას, მართალია მწირი ინფორმაცია აქვს NHL-ის შესახებ, მატჩების ნახვასაც იშვიათად ახერხებს, მაგრამ სურს კარიერის ერთი პერიოდი, "პიტსბურგ პინგვინზში" გაატაროს. ეს ძალიან კარგია, ოცნება არავის ვნებს. ვუსურვოთ ყველა ქართველ ჰოკეისტს წარმატება და წინსვლა კარიერაში.

**დავით ჩუბინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ქართველი NBA-ში

# როგორც იქნა, პლეიოფში ითამაშებს!



ზაზა ფაჩულია (მატჯვნივ) ტორონტოსთან

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსმა", როგორც იტყვიან საკუთარი თამაში იპოვნა და მისი შეჩერება არათუ აუტსაიდერებს, NBA-ს გრანდებსაც უჭირთ. მართალია, კანადური "ტორონტო" ფავორიტთა კოჰორტას არ მიეკუთვნება, მაგრამ წელს დამაჯერებლად ასპარეზობს - 15-გუნდიან აღმოსავლეთის კონფერენციაში მე-5 ადგილზეა. "ჰოქსმა" შინ სწორედ "ტორონტო რეპტორზს" აჯობა - 127:120.

ანგარიში თვალისმომჭრელია, მაგრამ შეგახსენებთ, რომ "ატლანტამ" ბოლო ხუთიდან ყველა მატჩი მოიგო და არც ერთში ჩამოსცილებია 100 ქულას: "მილუოკის" 115:96 აჯობა, "ჩიკაგოს" - 106:103, "ნიუ იორკს" - 114:109, "მემფისს" - 116:99, ხოლო "ტორონტოზე" უკვე გითხარით...

არ შეიძლება ყურადღება მატჩის ბოლო წუთებზე არ გავამახვილოთ. მთელი შეხვედრის განმავლობაში სტუმრები დომინირებდნენ და მეოთხე პერიოდს 11-ქულიანი ფორით შეხვდნენ. მაგრამ ბოლო რაუნდში "ატლანტას" კალათბურთელებმა თამაში გამოასწორეს და საფინალო სირენამდე წამი რჩებოდა როცა ტაბლოზე "ტორონტოს" სასარგებლოდ 104:107 ეწერა. ბოლო წამზე სამქულიანის ტყორცნისა და თამაშის გადარჩენის შანსი ბაიკ ბიბის მიეცა, რომელმაც შორეული სროლა ზუსტად შეასრულა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა - 107:107.

დამატებით დროში მასპინძელთა მხრიდან გადამწყვეტი კვლავ ბიბისა და ჯოშ სმიტის სამქულიანები აღმოჩნდა, რომლის შემდეგ "ატლანტა" 122:118 დაწინაურდა. დარჩენილ 29 წამში კანადელებმა სიტუაციის გამოსწორება ვეღარ შეძლეს.

ახლა მატჩის ოქმი მოვიმარჯვოთ და სტატისტიკას გავეცნოთ. შეხვედრის სნაიპერი ჯორჯიელი **ჯო ჯონსონი** გახდა - 28 ქულა, 11 პასი. მას ორი ქულით ჩამორჩა **მაიკ ბიბი** - 26 ქულა, 12 პასი. 24 ქულას გამორჩა **ჯოშ სმიტი**, ხოლო **ზაზა ფაჩულია** ერთადერთი ატლანტელი იყო, რომელიც 10 ქულას ვერ ასცდა. თუმცა არც ბევრი დაჰკლებია:16 წუთში 4-დან 3 ორქულიანი გამოიყენა, ზედ 3 საჯარიმო მიაყოლა და 9 ქულას 4 მოხსნა მიამატა. ზაზას პასივში 2 შეცდომა და 3 პერსონალური შენიშვნა იყო.

ახლა არანაკლებ საინტერესოზე - "ტორონტოს" ძლევით "ჰოქსმა" თითქმის პლეი ოფში შეაბიჯა. ახლა მხოლოდ თეორიულად შეიძლება იმაზე მსჯელობა, რომ დარჩენილ 7 ტურში შეიძლება "ატლანტას" მეცხრეადგილოსანმა "ნიუ ჯერსიმ" აჯობოს. სადღეისოდ "ჰოქსს" 35 მოგება და 40 წაგება აქვს, ხოლო "ჯერსის" - 31 მოგება და 44 მარცხი. სასწაული უნდა მოხდეს, რომ შვიდ მატჩში "ნიუ ჯერსიმ" 4 მოგებით წინ მყოფ "ატლანტას" გადაასწროს" მითუმეტეს, რომ ჯერსელებს 5 შეხვედრა სტუმრად ელით...

**ვაჟა სიმონიშვილი**




# ნიუ იორკის ტკბილი გახსენება



ზაზა, დონატელა ვერსაჩე და ელ ჰორფორდი

**თავის ვებ საიტზე, www.zaza-pachulia.com ზაზამ მორიგი დღიური გამოამზეურა. იგი სამ თემას ეხება - საკუთარ თამაშს, "ატლანტას" სწრაფვას პლეი ოფისკენ და ვერსაჩეს მოდის ჩვენებას ნიუ იორკში.**

- გუნდის საქმეები, როგორც იქნა კარგად აეწყო. ბოლოს და ბოლოს ისე ავთამაშდით, როგორც "ჰოქსს" შეჰფერის. აქამდე ამაში არაერთი მიზეზი გვიშლიდა ხელს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ "ატლანტა" წელს აღმოსავლეთის კონფერენციაში მერვე ადგილს არავის დაუთმობს, ეს კი პლეი ოფში მოხვედრას ნიშნავს. ჯორჯიელები რეგულარული ეტაპის ბარიერის დაძლევას 1999 წლიდან ცდილობენ, მაგრამ დღემდე ვერ მოახერხეს. პლეი ოფში არც მე მითამაშია. NBA-ში პირველი სეზონი "ორლანდო მეჯიქთან" გავატარე, მეორე - "მილუოკი ბაქსთან", შემდეგ ორი წელი "ატლანტას" ვეხმარებოდი, მაგრამ მომდევნო ეტაპზე ვერც ერთხელ მოვხვდი. ვფიქრობ, პლეი ოფში სულ სხვა თამაში იქნება და მას მოუთმენლად ველი.

ახლა ჩემს შესახებ. თავს მეც კარგად ვგრძნობ. სეზონის დასაწყისში არაერთი ტრავმის გადატანა მომიხდა და გარკვეული დროც გამიცდა, მაგრამ ახლა მწყობრში ვარ და ოპტიმალურ ფორმასაც ვუახლოვდები. ვეცდები პლეი ოფში მოხვედრაში ჩემი წვლილიც შევიტანო.

მესამე, რაზეც დღეს მოგითხრობთ, არასაკალათბურთო ამბავია. გასულ კვირას "ნიუ იორკთან" მატჩი დაემთხვა ვერსაჩეს მამაკაცის ტანისამოსის ჩვენებას. შანსი ხელიდან არ გავუშვი და ჩვენებას დავესწარი. იქ ყველა ლამაზად იყო გამოწყობილი. გარშემო უამრავი ვარსკვლავი ტრიალებდა. კარგად ჩაცმა მეც მიყვარს და სასიამოვნო იყო ამ ღონისძიების ნაწილად თავის გრძნობა.

მქონდა შანსი, რომ თან რამდენიმე ადამიანი წამეყვანა, მაგრამ მხოლოდ ელ ჰორფორდი ვიახლე. იგი NBA-ში დებიუტანტია, ახალგაზრდაა და ყველანაირად ვცდილობ დავეხმარო. ჩვენთან ერთად ჩვენებაზე დასწრების სურვილი ჯოშ ჩილდრესსაც ჰქონდა, მაგრამ მას სათანადო ტანსაცმელი არ აღმოაჩნდა.

მოდების ჩვენებაზე ურთიერთობა გვქონდა არაერთ ცნობილ პიროვნებასთან, მათ შორის დონატელა ვერსაჩესთან და ბასტა რეიმსთან.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

კალათბურთი. ლეგიონერი

# ათუაშვილის 18 და 16



სერგო ათუაშვილი

222 სმ. სიმაღლის ქართველმა ცენტრმა **სერგო ათუაშვილმა** ტტუ ესტონეთის ჩემპიონატის ფსკერიდან ამოიყვანა. პირველ რიგში, სწორედ ქართველი ცენტრის წყალობით მოახერხეს ტტუ-ელებმა სეზონში პირველი გასვლითი გამარჯვების მოპოვება: მეშვიდეადგილოსანი "პარნუ" მისსავე მოედანზე შეარცხვინეს - 89:68.

სერგომ მეხუთე მატჩში მესამე ორმაგი დუბლი მიითვალა. ყველაზე ეფექტური სწორედ "პარნუსთან" შესრულებული დაბლ-დაბლი აღმოჩნდა - 18 ქულა, 16 მოხსნა. ათუაშვილმა ეს ყველაფერი 30 წუთში მოასწრო და ზედ თითო პასი-ჩაჭრა-დაფარება მიამატა. სერგოს არც სროლის სიზუსტე დაენუნებოდა - 10-დან 6 ორქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. მატჩის სნაიპერი ტტუ-ელი **ილიმარ პილკი** გახდა - 26 ქულა ჩაიწერა.

ბოლოს ესტონეთის პირველობის სატურნირო ცხრილსაც გადავხედოთ. ათუაშვილის გუნდმა "პარნუს" ძლევით ბოლო, მეათე ადგილს თავი დააღწია და მეცხრეზე გადაინაცვლა. მის ანგარიშზე 26 წაგება და 6 მოგებაა. ტტუ-ზე 3 მატჩით მეტი აქვს ჩატარებული "რაკვერეს", რომელსაც 28 წაგების წილ 7 მოგება უწერია. თუკი, სერგოს თანაკლუბელები აკრეფილ სიჩქარეს არ დააგდებენ, რეგულარული ჩემპიონატის ბოლომდე "რაკვერეს" გადასწრებაც შეიძლება.

ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ტტუ-ს 3 მატჩი დარჩა, "ფაუსტოსთან" (5 აპრილს), "ველგთან" (9 აპრილს) და გიორგი ცინცაძის "ტარტუ როკთან" (11 აპრილს).

ბოლოს თემას გადავუხვევთ და დავძენთ, რომ სერგოს 18 ქულა და 16 მოხსნა ნაკრების კანდიდატობაზე სერიოზული განაცხადია...

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ნადალი ნახევარფინალშია



ნადალი ახლა ასე ზეიმობს

მაიამიში მიმდინარე მასტერსის ტურნირის ნახევარფინალში თამაშის უფლება მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** მოიპოვა, რომელმაც დაძაბულ პაექრობაში, გზიდან ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკი** ჩამოიცილა. აღსანიშნავია, რომ ეს ორი ჩოგბურთელი რამდენიმე დღით ადრე, ინდიან ველსის მეოთხედფინალშიც შეხვდა ერთმანეთს და მაშინაც თამაში ნადალის გამარჯვებით დამთავრდა, ვინც პირველად დაამარცხა ბლეიკი.

*"ახლა შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესო ფორმაში ვიმყოფები. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ასეთი განწყობა ჩემს თავდაჯერებულობაზე კარგად მოქმედებს. ჯეიმსმა თამაში ძალიან აგრესიულად დაიწყო, რომ თავიდან ძალიან გამიჭირდა. მაგრამ შემდეგ მას ალღო ავუღე და თამაშის დალაგება შევძელი, რამაც სასურველი შედეგი მომიტანა"*, - ნამატჩევს განაცხადა ნადალმა

აღსანიშნავია, რომ თითქმის ორსაათიანი შეხვედრის განმავლობაში, ესპანელმა მხოლოდ 13 უნებლიე შეცდომა დაუშვა, როცა ბლეიკს 31 შეცდომა მოუვიდა. რაც მთავარია, საფრანგეთის ღიას სამგზის ჩემპიონს 19 ბრეიკ პოინტი ჰქონდა, რომელთაგან ოთხი გამოიყენა და ეს საკმარისი აღმოჩნდა თამაშის მოსაგებად.

ნადალმა თამაში გარდატეხა მეორე სეტის მერვე გეიმში შეიტანა, როცა მეტოქის მოწოდება მოიგო და 5:3 დაწინაურდა. აქედან მოყოლებული, მან მეტოქეს მხოლოდ ერთი გეიმის მოგების საშუალება მისცა. მოგვიანებით, ბლეიკმა აღიარა, რომ სწორედ იმ ბრეიკის შემდეგ აერია თამაში.

ნადალის მომდევნო მეტოქე ჩეხი **ტომაშ ბერდიხია**, რომელმაც ორ სეტში რუსი **იგორ ანდრეევი** დაამარცხა. ახლა ზეიმის დრო არ მაქვს, ძალების აღდგენა უნდა მოვასწრო, თორემ რაფასთან სულ სხვა თამაში იქნებაო, - განაცხადა ბერდიხმა.

ნახევარფინალის საგზური თითქმის უთამაშებლად მოიპოვა სერბმა **ელენა იანკოვიჩმა**, ვინც თავადაც სიცხიანი გავიდა კორტზე, მაგრამ რუს **ელენა დემენტიევასთან** შეხვედრამ დიდხანს არ გასტანა - მეტოქემ წელის ტრავმის გამო თამაში შეწყვიტა. ფინალის საგზურისთვის იანკოვიჩის მეტოქე კიდევ ერთი რუსი, **ვერა ზვონარევა** იქნება, რომელმაც ტურნირი თავის თანამემამულე **დინარა საფინას** დაატოვებინა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

| ATP |
|---|
| **Pacific Life Open** |
| ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი |
| **საპრიზო ფონდი:** 3 770 000 დოლარი |
| **1/4 ფინალი** |
| **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9) 3:6, 6:3, 6:1; **ტომას ბერდიხი (ჩეხ, 10)**-იგორ ანდრეევი (რუს, 31) 6:4, 6:4. |

| WTA |
|---|
| **Sony Ericsson Open** |
| მაიამი (აშშ). ჰარდი |
| **საპრიზო ფონდი:** 3 770 000 დოლარი |
| **1/4 ფინალი** |
| **ელენა იანკოვიჩი (სერ, 4)**-ელენა დემენტიევა (რუს, 10) 6:1, 3:1 დემენტიევას უარი; **ვერა ზვონარევა (რუს, 19)**-დინარა საფინა (რუს, 13) 7:5, 6:4. |

# ენდი მარტო აღარ არის

ამერიკული ჩოგბურთის ლიდერი **ენდი როდიკი**, უახლოეს პერიოდში მარტოხელა ცხოვრებას გამოეთხოვება.

ჩოგბურთელის ოფიციალურ ვებგვერდზე წერია, რომ ამ დღეებში შედგა 25 წლის როდიკისა და 20 წლის ტოპ-მოდელის, **ბრუკლინ დეკერის** ნიშნობა.

ენდიმ ბრუკლინს ხელი მარტში სთხოვა. წყვილს სურდა, ეს სასიამოვნო ახალი ამბავი თავდაპირველად ნათესავებისთვის და ახლო მეგობრებისთვის ეცნობებინა, მაგრამ ცნობილი ადამიანების საზოგადოებაში ასეთი ამბები არ იმალება.

როდიკმა და დეკერმა ერთმანეთი გასულ წელს გაიცნეს და იქედან მოყოლებული, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. მათი დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის ქორწილის თარიღი.

ერთი პერიოდი, ძალიან ბევრს საუბრობდნენ როდიკისა და რუსი **მარია შარაპოვას** ახლო ურთიერთობების შესახებ. შარშან, ისინი რამდენიმე საღამოზე ერთად გამოჩნდნენ, რამაც ჭორების საფუძველი გააჩინა. ენდი კატეგორიულად უარყოფდა მარიასთან ახლო ურთიერთობებს და როგორც ჩანს, არ ტყუოდა. მისი გულისსწორი სულ სხვა ქალი ყოფილა.

**გია თვალაბეიშვილი**



ენდი და ბრუკლინი



შარაპოვასთან ერთად

ჩოგბურთი. 1/4 ფინალის წინ

# ყველანი აქ არიან



არგენტინა დევისის თასის ფავორიტია

დევისის თასის მეოთხედფინალურ მატჩებამდე ერთი კვირით ადრე, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მონაწილე გუნდების ოფიციალური განაცხადები გამოაქვეყნა. ჩოგბურთის მოყვარულებს წინ საინტერესო შეხვედრები ელით, რადგან რვავე ნაკრები უძლიერესი ჩოგბურთელებით არის დაკომპლექტებული.

გუნდები მეოთხედფინალისთვის მზადებას მაიამის მასტერსის დასრულების შემდეგ შეუდგებიან, მანამდე კი, ბუკმეიკერებმა მომავალ მატჩებზე და თასის მფლობელზე ფსონების მიღება დაიწყეს.

ყველაზე ცნობილი ბრიტანული კანტორა William Hill-ის კოეფიციენტების მიხედვით, ფავორიტად არგენტინის ნაკრები ითვლება. დევისის თასის აღებაზე ამ გუნდის კოეფიციენტი 1.75-ს შეადგენს. აიწია ესპანელების კოეფიციენტმა (2.5), ვინაიდან ამ გუნდს მეოთხედფინალურ ეტაპზე მსოფლიოს მეორე ჩოგანი, **რაფაელ ნადალი** დაემატება. მხოლოდ მესამე ადგილზეა შარშანდელი ფინალისტი რუსეთი - 6.0.

აუტსაიდერებად შვედები ითვლებიან (50.0), რომლებსაც ბუენოს აირესში, თიხნარზე ელით ურთულესი დაპირისპირება. არგენტინელებს შვედეთში შარშანდელი წაგებისთვის (1:4) რევანშის აღება მართებთ. სხვათა შორის, ეს გუნდები 2006 წელს, ასევე ბუენოს აირესში შეხვდნენ ერთმანეთს და მასპინძლებმა 5:0 გაიმარჯვეს. თუ არგენტინა და რუსეთი ნახევარფინალში გავლენ, მათი შეხვედრა არგენტინულ გრუნტზე გაიმართება, სადაც მასპინძლებს 10 წელია არ წაუგიათ. სწორედ ამიტომ აქვთ სამხრეთამერიკელებს ყველაზე დაბალი კოეფიციენტი. სხვათა შორის, არგენტინას სხვაზე მეტი მოტივაცია აქვს. მეოთხედფინალში მონაწილე სხვა შვიდი გუნდისგან განსხვავებით, მას დევისის თასი არასოდეს მოუგია.

ისე კი, რუსეთს ნამდვილად გაუჭირდება ჩეხეთის ძლევა. კარგ ფორმაშია **ტომაშ ბერდიხი**, რომელიც გუშინ მაიამის მასტერსის ნახევარფინალში გავიდა და გზად, სხვათა შორის, რუსეთის ნაკრების ორი წევრი (ტურსუნოვი და ანდრეევი) ჩამოიცილა. დევისის თასზე ჩეხეთისა და რუსეთის დაპირისპირება ყოველთვის დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ისინი რვაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და პირადი ანგარიში თანაბარია - 4:4.

დაბოლოს, თანაბრად ფასდება მოქმედი ჩემპიონის, აშშ-სა და საფრანგეთის შანსები (კოეფიციენტი - 6.5). მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამათ შორის მატჩი ვინტსონ-სალემის დარბაზში, ჰარდზე იმართება. იქ 14 5000 მაყურებელს ეტევა და ეს კორტი ფეხბედნიერია ამერიკისთვის - შარშან, მეოთხედფინალში სწორედ აქ დაამარცხა მან ესპანეთი.

**გია თვალაბეიშვილი**

**განაცხადები**

**აშშ-საფრანგეთი**

უინსტონ-სალემი

დახურული კორტი. ჰარდი

**აშშ**: ენდი როდიკი, ჯეიმს ბლეიკი, ბობ ბრაიანი, მაიკ ბრაიანი (**კაპიტანი**: პატრიკ მაკინროი);

**საფრანგეთი**: რიშარ გასკე, ჟოვილფრიდ ცონგა, პოლ-ანრი მატიო, მიკაელ ლოდრა (**კაპიტანი**: გი ფორჟე).

**რუსეთი-ჩეხეთი**

მოსკოვი

დახურული კორტი. თიხნარი

**რუსეთი**: ნიკოლაი დავიდენკო, მიხაილ იუჟნი, დმიტრი ტურსუნოვი, იგორ ანდრეევი (**კაპიტანი**: შამილ ტარპიშჩევი);

**ჩეხეთი**: ტომაშ ბერდიხი, რადეკ შტეპანეკი, ლუკაშ დლუჰი, პაველ ვიზნერი (**კაპიტანი**: იაროსლავ ნავრატილი).

**არგენტინა-შვედეთი**

ბუენოს აირესი

ღია კორტი. თიხნარი

**არგენტინა**: დავიდ ნალბანდიანი, გილერმო კანიასი, ხუან მონაკო, ხოსე აკასუსო (**კაპიტანი**: ალბერტო მანჩინი);

**შვედეთი**: რობინ სიოდერლინგი, იონას ბიორკმანი, ტომას იოჰანსონი, რობერტ ლინდსტედტი (**კაპიტანი**: მატს ვილანდერი).

**გერმანია-ესპანეთი**

ბრემენი

დახურული კორტი. ჰარდი

**გერმანია**: ფილიპ კოლშრაიბერი, ნიკოლას კიფერი, მიხაელ ბერერი, ფილიპ პეტცშნერი (**კაპიტანი**: პატრიკ კიუნენი);

**ესპანეთი**: რაფაელ ნადალი, დავიდ ფერერი, ფერნანდო ვერდასკო, ფელისიანო ლოპესი (**კაპიტანი**: ემილიო სანჩესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

**შარლოტი-კლივლენდი 114:118**

32:25, 30:33, 27:34, 25:26

შ: რიჩარდსონი (31+7 პასი), ოკაფორი (25+9 მოხსნა), უოლასი (21+7 მოხსნა), მოჰამედი (11+7 მოხსნა), ფელტონი (9+9 პასი).

კ: ჯეიმსი (29+3 ჩაჭრა), ბრაუნი (20+8 პასი), ვარეჯაო (17+12 მოხსნა), ილგაუსკასი (16+12 მოხსნა), სმიტი (13), შჩერბიაკი (11), უესტი (10+7 პასი).

**ვაშინგტონი-მილუოკი 109:110**

33:30, 28:24, 25:24, 23:32

ვ: ჯეიმისონი (18+8 მოხსნა), ბატლერი (18), არენასი (17), ბლეტჩი (15), მეისონი (12), პეოვუდი (11+8 მოხსნა).

მ: ვილანუევა (24+12 მოხსნა), ბოგუტი (20+10 მოხსნა), უილიამსი (13+7 პასი), მეისონი (12), სიმონსი (12), რედი (11).

**ატლანტა-ტორონტო 127:120 (ო)**

32:27, 24:32, 25:32, 27:16, 20:13

ა: ჯონსონი (28+7 მოხსნა+11 პასი), ბიბი (26+12 პასი), სმიტი (24+9 მოხსნა), უილიამსი (15), პორფირიდი (14+12 მოხსნა).

ტ: ბოში (24), ფორდი (23+13 პასი), ნესტეროვიჩი (21), ბარნიანი (17), პარკერი (12), დელფინო (8+11 მოხსნა), კალდერონი (8+11 მოხსნა).

**მაიამი-ნ. ორლეანი 77:106**

14:26, 27:28, 25:20, 11:32

მ: ქუინი (18+7 მოხსნა+9 პასი), ეპერნი (15), კუკი (12).

ნ-ო: უესტი (22), ჩენდლერი (20+10 მოხსნა), პოლი (14+10 პასი), სტოიაკოვიჩი (12), რაიტი (11+9 მოხსნა).

**მემფისი-ნიუ იორკი 130:114**

34:23, 40:37, 27:29, 29:25

მ: კრიტერტონი (23+9 მოხსნა), გეი (21), კონლი (18), ნავარო (16), მილერი (15), უორიკი (11).

ნ-ი: რენდოლფი (27+10 მოხსნა), კროუფორდი (24+8 პასი), ბელკმენი (11).

**დალასი-გ. სტეიტი 111:86**

29:25, 31:25, 29:19, 22:17

დ: ტერი (31+6 პასი), ჰოვარდი (28+7 მოხსნა), ნოვიცკი (18), ჯონსი (12), კიდი (5+11 მოხსნა+17 პასი).

გ-ს: ელისი (27), დევისი (20), აზუბუიკე (10+3 დაფარება).

**ბოსტონი-ინდიანა 92:77**

29:17, 20:13, 19:22, 24:25

ბ: გარნეტი (20+11 მოხსნა), ალენი (15), პოუ (14+9 მოხსნა), პირსი (13).

ი: გრეინჯერი (14+7 მოხსნა), ჯ. ო'ნილი (12), დანლივი (12), მერფი (11+10 მოხსნა).

**იუტა-მინესოტა 117:100**

29:27, 24:23, 38:22, 26:28

ი: ოქური (22+7 მოხსნა), უილიამსი (19+14 პასი), კირილენკო (13), ბუზერი (12+7 მოხსნა), პრაისი (12), კორვერი (11), პარპრინგი (10).

მ: იარიჩი (18+8 პასი), მაკენტსი (17), ფოიე (15+6 პასი), ჯეფერსონი (12), ბრიუერი (12), გომესი (11).

**სიეტლი-კლიპერსი 82:104**

22:27, 28:21, 20:21, 14:33

ს: დიურანი (30), გრინი (17), კოლისონი (12+17 მოხსნა), უოტსონი (12).

კ: ტორნტონი (21+10 მოხსნა), მაგეტი (20), ბრენდი (19), დიკაუ (13).

**ლეიკერსი-პორტლენდი 104:91**

26:31, 24:19, 23:13, 31:28

ლ: ბრაიანტი (36+13 მოხსნა+7 პასი), ფიშერი (13), ოდომი (12+8 მოხსნა), გასოლი (10+7 პასი), რადმანოვიჩი (10), ფარმარი (10).

პ: უებსტერი (23), აუთლო (23), ბლეიკი (12+10 პასი), ოლდრიჯი (11+12 მოხსნა).

## მძლეოსნობა. ვარსკვლავი

# გებრე ჩინეთში არ მიდის

ეთიოპიელ მძლეოსანთა ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი **ვოლდემესკელ კოსტრე** გამორიცხავს პეკინის ოლიმპიადაზე მისი სახელოვანი თანამემამულის, **ჰაილე გებრსელასიეს** 10 000 მეტრზე გამოსვლას. არადა, რამდენიმე დღის წინ, გებრსელასიემ გამოაცხადა, რომ პეკინში მარათონულ დისტანციაზე გამოსვლისგან თავს იკავებს, თუმცა სარბენ ბილიკს დაუბრუნდება და 10 000 მეტრზე მესამე ოლიმპიური ოქროს მოპოვებას ეცდება.

34 წლის სახელოვანმა მორბენალმა პეკინის ოლიმპიურ მარათონზე ასპარეზობისგან თავი იმის გამო შეიკავა, რომ ქალაქში ატმოსფერო ძლიერ დაბინძურებულია და ის მიიჩნევს, რომ იქ გამოსვლა მის ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედებს. შეგახსენებთ, რომ გებრემ ათენის ოლიმპიადაზე, 10 000 მეტრზე გარბენში მეხუთე ადგილი დაიკავა, რის შემდეგაც მან სარბენ ბილიკზე გამოსვლები დაასრულა და სპეციალობად მარათონი აირჩია. ცნობისთვის, მას 10 000 მეტრზე მსოფლიო ჩემპიონის ოქროს ოთხი მედალი აქვს მოპოვებული.

"გებრეს ოლიმპიური საგზურის მოპოვება ძალიან გაუჭირდება. ამ დისტანციაზე ჩვენ რამდენიმე ძალიან ძლიერი მორბენალი გვყავს, რომლებიც მას ოლიმპიურ საგზურს არ დაუთმობენ. თავის დროზე, ის სწორედ ამის გამო გადავიდა მარათონულ დისტანციაზე. რა თქმა უნდა, ჩვენ პატივს ვცემთ მის მიღწევებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის აუცილებლად მოხვდება ოლიმპიადაზე. პირიქით, ვფიქრობ, რომ ის ამას ვერ შეძლებს", - ამბობს ვოლდემესკელ კოსტრე.

ახლახანს, ეთიოპიელმა მორბენლებმა შესანიშნავად იასპარეზეს ქროსში მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც რამდენიმე დღის წინ, შოტლანდიის ქალაქ ედინბურგში ჩატარდა. იქ ოქროს ოთხივე მედალი სწორედ ეთიოპიელი მორბენლების ნადავლი გახდა. კოსტრე ამბობს, რომ ოლიმპიური ნაკრებისთვის შერჩეული ყველა მორბენალი საუცხოო ფორმაში იმყოფება და ძნელად წარმოუდგენია, რომ მათ გებრსელასიემ აჯობოს.

უფრო მეტიც, კოსტრე აცხადებს, რომ გებრემ ბრწყინვალე შედეგებიც რომ აჩვენოს, მას პეკინში წაყვანას მაინც არ უპირებს. "ჩვენ უკვე გვყავს ხუთი ისეთი მორბენალი, რომლებიც ამ დისტანციას 26 წუთზე ნაკლებში დარბიან. გებრეს კი ამ დისტანციაზე ათენის შემდეგ არ უასპარეზია. ეს კი ძალიან დიდი დროა იმისთვის, რომ რა რანგისაც უნდა იყოს, სპორტსმენმა კარგი შედეგების ჩვენება შეძლოს", - ამბობს კოსტრე.

კოსტრე ასევე დასძენს, რომ პეკინში ორ საშუალო დისტანციაზე (5 000 და 10 000 მეტრი) არ გამოვა 10 000 მეტრზე სირბილში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი **კენენისა ბეკელე**, ვინც ედინბურგში მეექვსედ შეძლო ქროსში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. ბეკელემ საშუალო დისტანციაზე დუბლის შესრულება ათენის ოლიმპიადაზეც სცადა, მაგრამ მიზნის მიღწევაში ხელი სახელოვანმა მაროკოელმა **ჰიშამ ელ გერუჟმა** შეუშალა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ავტოსპორტი. სკანდალი

# მოსლიმ ბოდიში მოიხადა

**ავტოსპორტის** საერთაშორისო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტი **მაქს მოსლი** გადადგომას არ აპირებს და როგორც ამბობს, გაარკვია, თუ ვინ არის დამნაშავე იმ სექსუალურ ორგიებში, რომლის ფოტოებიც ბრიტანულმა ტაბლოიდმა News of the World-მა გამოაქვეყნა. პრეზიდენტმა ყველაფერში ჟურნალისტები დაადანაშაულა.

შეგახსენებთ, რომ ფოტოებზე მოსლი საკონცენტრაციო ბანაკის ნაცისტ ზედამხედველად წარმოსდგა, მეძავები კი, მისი ტყვეები იყვნენ.

პრეზიდენტის ოფიციალური განცხადებიდან ცნობილი ხდება, რომ მოსლი აპირებს სასამართლოში უჩივლოს გაზეთს. გარდა ამისა, ის მადლობას უხდის იმ ადამიანებს, რომლებმაც მას მხარდაჭერა გამოუცხადეს.

"ძალიან ბევრი მხარდაჭერის შეტყობინება მივიღე, სადაც წერია, რომ ჩემს პირად ცხოვრებას არანაირი კავშირი არ აქვს ჩემს სამუშაოსთან და მე პრეზიდენტის პოსტზე მუშაობა უნდა გავაგრძელო. მათ რჩევას აუცილებლად გავითვალისწინებ", - ამბობს მოსლი.

FIA-ს პრეზიდენტს არ უარყვია ორგიის ამბავი. მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ საზოგადოებისთვის მისი ცხოვრების რამდენიმე პიკანტური დეტალი გახდა ცნობილი და ამის გამო ბოდიში მოიხადა.

"გაზეთის რეპორტაჟში ეწერა, რომ ნაცისტურ სიმბოლიკას ვიყენებდი. ეს აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს", - განაცხადა მოსლიმ, რომლის მამა, **ოსვალდო მოსლი** ბრიტანეთში ფაშისტური კავშირის დამაარსებელი გახლდათ.

მიუხედავად მხარდაჭერისა, ფორმულა 1-ში რამდენიმე ავტორიტეტულმა პიროვნებამ მოსლის საქციელი არ მოუწონა და პრეზიდენტს გადადგომისკენ მოუწოდა. ასეთები აღმოჩნდნენ ყოფილი მსოფლიო ჩემპიონები, **ჯეკი სტიუარტი** და **ჯოდი შექტერი**.

**გია თვალაბეიშვილი**

## ცურვა. მსოფლიო რეკორდი

# ტენკოკი პეკინს უმიზნებს

**ბრიტანეთის** ქალაქ შეფილდში მიმდინარე ქვეყნის მოცურავეთა ჩემპიონატზე, რომელიც ამავდროულად, ოლიმპიური ნაკრების შესარჩევი ტურნირიცაა, **ლიამ ტენკოკმა** 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა. თუმცა, ალსანიშნავია, რომ ეს დისტანცია ოლიმპიურ პროგრამაში არ შედის.

ტენკოკმა დისტანცია 24.47 წამში გაცურა და 0.33 წამით გააუმჯობესა გერმანელი **თომას რუპრატის** მიერ ხუთი წლის წინათ დამყარებული რეკორდი. ეს მსოფლიოს მე-19 რეკორდია, რომელიც ოლიმპიური სეზონის დაწყებიდან დამყარდა და მე-18 რეკორდი, რომლებიც კომპანია "სპიდოს" მიერ წარმოებული საცურაო კოსტუმებით (LZR რეისერი) მოასპარეზე სპორტსმენებმა დაამყარეს.

"სტარტამდე თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. ვიცოდი, რომ კარგ დროში გაცურვა შემეძლო. სიმართლე გითხრათ, იმის იმედიც მქონდა, რომ სარეკორდო შედეგზე ნავიდოდი. ამის საბაბს კი ის გარემოება მაძლევდა, რომ ვარჯიშებზე მუდმივად კარგი შედეგები მქონდა", - ამბობს 22 წლის ტენკოკი, ვინც მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე, 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

ცნობისთვის, ბრიტანელმა მოცურავემ მსოფლიოს რეკორდი ბოლოს 1990 წელს დაამყარა. მაშინ **ედრიან მურჰაუსმა** 100 მეტრზე ბრასში გამოიჩინა თავი.

ტენკოკი იმედოვნებს, რომ ოლიმპიურ საგზურს დაეუფლება, კარგ ფორმას პეკინის ოლიმპიადამდე შეინარჩუნებს და იქაც მოახერხებს თავის გამოჩენას. ოღონდ, ოლიმპიადაზე მისი მიზანი რეკორდის ნაცვლად, ოქროს მედლის მოპოვება იქნება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**




ლიამ ტენკოკი

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**კაროლინა-ტამპა ბეი 6:2**

2:1, 2:0, 2:1

გოლები: 1:0 ე. სტაალი-37 (კოული-28, პედიკანი-15), 1:1 სენტ ლუისი-25 (ი. იოკინენი-25, ლეკავალიე-51), 2:1 ლაროუზი-9 (ე. სტაალი-44, ლეტოვსკი-29), 3:1 ლაროუზი-10 (ტ. რუუტუ-22, კორვო-33), 4:1 ს. უოკერი-14 (საიდენბერგი-14, ფ. კაბერლე-22), 5:1 ტ. რუუტუ-10 (სამსონოვი-22, საიდენბერგი-15), 5:2 პალმერნი-20 (სენტ ლუისი-57, ლეკავალიე-52), 6:2 ლაროუზი-11 (კოული-29).

**პიტსბურგი-ფილადელფია 4:2**

1:2, 2:0, 1:0

გოლები: 0:1 პარტნელი-24 (ბრიერი-41, პრონპალი-37), 1:1 გონჩარი-12 (კროსბი-48, მალკინი-59), 1:2 ჯ. კარტერი-29 (ლეპული-26, ტიმონენი-27), 2:2 კროსბი-23 (გონჩარი-52, მარიან ჰოსა-36), 3:2 მალკინი-47 (რაიან უიტნი-28), 4:2 კროსბი-24 (გონჩარი-53, მარიან ჰოსა-37).

**ნიუ ჯერსი-ბოსტონი 3:2 (ბ)**

1:0, 0:2, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 ზუბრუსი-13 (რუპი-5, კ. უაიტი-8), 1:1 ვიდემანი-13 (კრეისი-21, ხარა-34), 1:2 ლუჩიჩი-8 (აქსელსონი-16, მეტროპოლიტი-22), 2:2 კლარკსონი-9 (რუპი-6, ზუბრუსი-24).

ბულიტები გაიტანეს: პარიზე (ნიუ ჯერსი).

**ჩიკაგო-დეტროიტი 6:2**

3:1, 2:1, 1:0

გოლები: 1:0 ბარკერი-6 (კეიტი-19, ი. პერო-5), 2:0 პენდრი-1 (ბოლანდი-13), 3:0 ლანგი-21 (ჯეისონ უილიამსი-22, ვიშნევსკი-19), 3:1 ზეტერბერგი-42 (ლიდსტრომი-59, დაცუიკი-64), 4:1 ბიიუგლენი-19 (კეინი-49, ტეუვზი-30), 4:2 მიოლები-6, 5:2 კეინი-19 (კეიტი-20, სიბრუკი-22), 6:2 ბარიში-3 (კეინი-50, პენდრი-3).

## TV სპორტი

**4 აპრილი. პარასკევი**

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** უიქენდის მატჩების ანონსი.
**12:25** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**14:15** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** სასტვენი
**16:45** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**18:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**18:40** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**20:30** FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**21:00** საფეხბურთო კლუბი.
**22:55** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**22:25** გერმანიის ჩემპიონატი დუისბურგი-კოტბუსი (LIVE).
**00:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:40** საფეხბურთო კლუბი.
**01:30** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

### SPORT 1 (უკრაინა)

**07:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ემპოლი-სამპდორია.
**08:44** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**09:10** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**09:37** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**10:35** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ცსკა-ოლიმპიაკოსი.
**12:13** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. რეინჯერსი-სპორტინგი.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ.
**18:02** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**18:29** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**19:00** ფეხბურთი. Barca TV.
**19:08** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**19:30** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**19:45** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**20:45** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
**23:35** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**23:48** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-რეინჯერსი.
**01:35** პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
**02:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
**05:35** ბიოლა. ჩემპიონთა თამაშები.
**06:34** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

### EUROSPORT

**10:30** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
**11:00** ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
**11:30** სნუკერი.
**12:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ.
**15:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები.
**16:15** მულტისპორტი.
**16:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები.
**17:45** მულტისპორტი.
**18:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები.
**19:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ.
**20:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:30** მულტისპორტი.
**21:00** სნუკერი.
**22:00** პლანეტის უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
**23:00** ტიმბერსპორტი. მსოფლიო ჩემპიოატი. გერმანია.
**00:00** პოკერი.
**01:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**01:30** ექსტრემალური სპორტი.
**02:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.

### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**13:15** ექსტრემალური სპორტი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ბილიარდი.
**17:00** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. ნოვარა (იტალია)-ციურიხი (შვეიცარია).
**18:00** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. მონტესკიავო (იტალია)-პერუჯა (იტალია).
**19:00** ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ფრისტაილი. მსოფლიო ტური. შვეიცარია.
**21:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ახალი ამბები. ოლიმპიური სპეცგამოშვება.
**22:15** საფეხბურთო ფრისტაილი. პარიზი. საფრანგეთი.
**23:00** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. ნოვარა (იტალია)-ციურიხი (შვეიცარია).
**00:00** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. მონტესკიავო (იტალია)-პერუჯა (იტალია).
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
**02:15** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ექსეტერი-დროილსდენი | 1:1 |
| **ჰოკეი** | |
| **რუსეთი** | |
| ს. იულიაევი-ლოკომოტივი | 0:3 |
| **გერმანია** | |
| ფრანკფურტი-კიოლნი | 4:4, ო.ტ. 5:4 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-იოკერიტი | 5:3 |
| **შვედეთი** | |
| ტიმრა-ჰ371 | 1:2 |

| | |
|---|---|
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ულქერი-მონტეპასკი | 65:86 |
| ოლიმპიაკოსი-ცსკა | 73:83 |
| პარტიზანი-ტაუგრესი | 76:55 |
| ბარსელონა-მაკაბი | 83:74 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მაიამი** | |
| დავიდენკო-ტიპსარევიჩი | 6:2, 6:1 |
| **WTA. მაიამი** | |
| ს. უილიამსი-კუზნეცოვა | 3:6, 7:5, 6:3 |

## ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები

**ლევერკუზენი-ზენიტი 1:4**

ლევერკუზენი: ადლერი, გრეშკო (66. სარპეი), მ. ფრიდრიხი, ჰაგი, შნაიდერი (62. ბარბარესი), როლფსი, ბარნეტა, კასრო, გეკასი, კისლინგი, ვიდალი (74. სინკიევიჩი).

ზენიტი: მალაფეევი, კრიჟანაცი, ანიუკოვი, ტიმოშჩუკი, ზურიანოვი, დენისოვი, შირლი, შიროკოვი, ფაიზულინი, არშავინი, პოგრებნიაკი.

გოლები: 0:1 არშავინი (20), 1:1 კისლინგი (34), 1:2 პოგრებნიაკი (53), 1:3 ანიუკოვი (61), 1:4 დენისოვი (64)

გაფრთხილება: 2-1; დარტყმა: 12(6)-17(6); კუთხური: 1-12; თამაშგარე: 3-3; ჯარიმა: 14-10; ბურთის ფლობა: 45%-55%

მაყურებელი: 19 500

**ბაიერნი-ხეტაფე 1:1**

ბაიერნი: კანი, ლუსიო, ლამი, იანსენი (80. ლელი), ვან ბომელი (86. ოტლი), ზე რობერტო, შვაინშტაიგერი, დემიკელისი, რიბერი, ტონი (80. კლოზე), პოდოლსკი.

ხეტაფე: უსტარი, მარიო, სინიორინო, დავიდ კორტესი, ტენა, კასკერო (73. სელესტინი), ალბინი, გრანერო (78. კორტა), უჩე (68. მანუ), დე ლა რედი, პაბლო.

გოლები: 1:0 ტონი (26), 1:1 კონტრა (90)

გაფრთხილება: 1-2; დარტყმა: 20(6)-13(3); კუთხური: 6-3; თამაშგარე: 3-0; ჯარიმა: 16-8; ბურთის ფლობა: 53%-47%

მაყურებელი: 62 000

**ფიორენტინა-ეინდჰოვენი 1:1**

ფიორენტინა: ფრაი, გამბერინი, უიფალუში, იორგენსენი, ლივერანი (76. ვიერი), სანტანა, გობი, მონტოლივო, კუჟმანოვიჩი (67. დონადელი), მუტუ, პაცინი.

ეინდჰოვენი: გომეში (60. როორდა), კრომკამპი, სალსიდო, მარსელისი, რაიკოვიჩი, სიმონსი, ედისონ მენდესი, აფელეი, კოვერმანსი (64. ლაზოვიჩი), კულინა, ფარფანი.

გოლები: 1:0 მუტუ (56), 1:1 კოვერმანსი (63)

გაფრთხილება: 0-0; დარტყმა: 10(8)-7(3); კუთხური: 4-5; თამაშგარე: 1-1; ჯარიმა: 10-17; ბურთის ფლობა: 46%-54%

მაყურებელი: 34 317

**რეინჯერსი-სპორტინგი 0:0**

რეინჯერსი: მაკგრეგორი, უეირი, ბროდფუტი, პაპაჩი, კუელარი, მაკალოხი, ფერგიუსონი, ჰემდანი, ტომსონი, დევისი, დარშევილი (72. ნოვო).

სპორტინგი: რუი პატრისიო, ტონელი, აბელი, ანდერსონ პოლგა, გრიმი, იზმაილოვი (70. პერეირინია), ვუკჩევიჩი (75. ჯალო), ჟოაო მუტინიო, რომანიოლი, ველოზო, ლიედსონი.

გაფრთხილება: 1-3; დარტყმა: 7(2)-10(3); კუთხური: 9-3; თამაშგარე: 2-5; ჯარიმა: 6-15; ბურთის ფლობა: 50%-50%

მაყურებელი: 35 000

ეროვნული ბიბლიოთეკა



ექსტრემალური სპორტი

# დაიჭირე ტალღა



სერფინგი ჰავაის კუნძულებზე დაიბადა, მსოფლიო კულტურის ნაწილი კალიფორნიაში გახდა, მაგრამ სერფერების საყვარელი ადგილი არა ამერიკის სანაპიროებზე, არამედ ავსტრალიაშია, მელბურნის ახლოს. ამ ადგილს ბელზ-ბიჩი ჰქვია, სადაც აპრილში სპორტის ამ სახეობაში ყველაზე პრესტიჟული ტურნირი - Rip Curl Pro გაიმართება.

## აბორიგენების გართობიდან ცხოვრების სტილამდე

ფილმი Pointbreak, ალბათ, ბევრს აქვს ნანახი. ფედერალური ბიუროს აგენტი (ქეანუ რივზი) ახალგაზრდულ ბანდაში შეიპარება, რომელსაც პატრიკ სუეიზის გმირი ხელმძღვანელობს. ბანკების რომანტიკული მძარცველები ყველაფერს ექსტრემალურს მისდევენ, ძირითადად, ეს არის სერფინგი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი 24 საათი დროს პლაჟზე ატარებენ. ეს არ არის გასაკვირი: ფილმის მოქმედება ხომ კალიფორნიაში ხდება. მაგრამ ამერიკელი სცენარისტები სიმართლისთვის უნდა შევაქოთ. ფინალური სცენა, რომელშიც ბანდის მეთაური იღუპება, ავსტრალიაში გადაიტანეს. გახსოვთ: ოკეანეში დაკარგული სერფერი, რომელიც თუნდაც თავისი სიცოცხლის ფასად, მთავარ ოცნებას ისრულებს - იჭერს ტალღას, რომელიც 10 წელიწადში ერთხელ, დედამიწის მხოლოდ ერთ ადგილას წარმოიქმნება.

ეს ადგილია ბელზ-ბიჩი. გასული საუკუნის 60-იან წლებამდე, ის სერფინგის სამყაროში საერთოდ არ იყო ცნობილი. ისე მოხდა, რომ ჰავაელების ძველი გართობა (20-30 აბორიგენი შორს ზღვაში გადის, ტალღას ელოდება და ბოლოს დაფაზე დგება - ამის შესახებ ჯერ კიდევ ლეიტენანტი ჯეიმს კინგი წერდა, რომელიც ორი ასეული წლის წინ, ჯეიმს კუკის ექსპედიციის წევრი იყო) მხოლოდ ამერიკაში იყო პოპულარული - იმავე ჰავაის კუნძულებზე, კალიფორნიაში... ეს დღეს ითვლება სერფინგი ექსტრემალური სპორტის სახეობად. 60-იან წლებში კი, ეს ამერიკული ახალგაზრდობისთვის ცხოვრების ნაწილი იყო. როკ-მუსიკაში "ბრიტანული შემოტევა" Beatles-ით დაიწყო, სხვა ჯგუფებით გაგრძელდა და მთელი ამერიკა დააჩოქა, რომელმაც ძველი კუმირები დაივიწყა. და მხოლოდ კალიფორნია არ ამჩნევდა არც Beatles-ს, არც Rolling Stones-ს და უსმენდა თავის მუსიკას, სტილს, რომელსაც ცნობილმა მალიბუელმა სერფერმა ლენს კარსონმა, Bel Airs-ის სიმღერების მოსმენის შემდეგ, ასეც უწოდა - surf.

იმავე პერიოდში, მხატვარი რიკ გრიფინი თავის ნახატებს მხოლოდ სერფინგისტებს უძღვნიდა. რეჟისორი ბრიუს ბრაუნი ამაზე ფილმებს იღებდა - The Endless Summer, Barefoot Adventure, Surf Crazy. თავად სერფინგი მთელს მსოფლიოში გავრცელდა და იმ წლების ვარსკვლავები - ფილ ედვარდსი, ლენს კარსონი, მიკი დორა, მაიკ ჰენსონი, რობერტ ოგასტა - სიამოვნებით ჩადიოდნენ ტაიტიში და სამხრეთ აფრიკაში, ესპანეთში და ახალ ზელანდიაში და ამერიკული გართობის პროპაგანდას ეწეოდნენ. კომპანიებმა კი, ახალი მოდა იგრძნეს და სერიოზულად დაიწყეს სპეციალური პროდუქციის შექმნა - თბილი კომბინეზონები, რომლითაც ცივ წყალშიც უპრობლემოდ შეიძლება ცურვა, დამცავი ჩაფხუტები და რა თქმა უნდა, დაფები.

70-იან წლებში კი, ცხოვრების სტილი დიდ სპორტად გადაიქცა. ამერიკაში მიხვდნენ, რომ ხალხი მზად იყო წამყვანი ოსტატების სანახავად ფული გადაეხადა. და ორგანიზება გაუწიეს რეგულარულ მსოფლიო ჩემპიონატებს და ჩოგბურთის მსგავსად, პროფესიული ტურნირების სერიას, სახელწოდებით - World Tour. მათ შორის ყველაზე პრესტიჟულია, ე.წ. სერფინგის უიმბლდონი, რომელიც არა ამერიკაში, არამედ ავსტრალიის ერთ-ერთ მივარდნილ ადგილას ტარდება.

## სამოთხე ბუჩქებში

ავსტრალიაში დაფებით სრიალი გასული საუკუნის დასაწყისში ჰავაელმა რაოა კაჰანამოკუმ შეიტანა. იმ წლებში სერფინგის მეფემ აღმოაჩინა, რომ ამ კონტინენტის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ტალღებზე სრიალის თითქმის იდეალური პირობები არსებობს. ჰავაის კუნძულებზე, კალიფორნიაში, სამხრეთ აფრიკაშიც კარგი ტალღებია, მაგრამ ავსტრალიაში რაღაც განსაკუთრებული. თურმე ეს იმის გამო ხდება, რომ ტალღებს გზად დიდი ბარიერული რიფი ხვდება, რომელიც ტალღას განსაკუთრებულ დამრეცობასა და სიგრძეს აძლევს (ამბობენ, რომ სამკილომეტრიანი სიგრძის ტალღებიც არსებობს, რომელზეც სერფერს დიდი ხანი შეუძლია სრიალი).

მაგრამ 1949 წელს, სერფინგის სამმა ენთუზიასტმა - ვიკ ტანგომ, პიტერ ტროიმ და ოუენ იეიტმენმა, მელბურნიდან 70 კილომეტრის დაშორებით, სრულიად უნიკალური ადგილი აღმოაჩინეს. ამ ტრიომ 45-წუთიანი მოგზაურობა მოაწყო იმ ფერმასთან, რომელსაც ბელზის ოჯახი ფლობდა. მათი ყურადღება ერთმა კონცხმა მიიქცია და დაფებით ხელში, ბუჩქებში გზა გაიკვლიეს. მათი წვალება ამაო არ გამოდგა: სერფერებმა ნამდვილი სამოთხე აღმოაჩინეს. არა, ოქროს ქვიშა იქ არ ყოფილა, პირიქით, მხოლოდ ქვები, მაგრამ იყო ტალღები. თანაც როგორი - მუდმივი, თანაბარი, მაღალი!

შემდეგ ეს ბუჩქები გაჩეხეს, ნაპირთან ახლოს ასფალტის გზა გაიყვანეს, სამი ქვიშის ხელოვნური პლაჟი შექმნეს და ბელზ-ბიჩი უნიკალურ კურორტად იქცა, რომელსაც სწორედ სერფინგის მოყვარულები უნდა მიეზიდა.

წელიწადში რამდენიმეჯერ, აქ სხვადასხვა დონის ტურნირები იმართება. მათ შორის ყველაზე პოპულარული - აპრილის Rip Curl Pro. მსოფლიო სერფინგის ყველა ვარსკვლავი თავს ვალდებულად თვლის ეწვიოს ამ ლეგენდარულ ადგილს. პროფები ბელზ-ბიჩზე ფულის გამო სულაც არ ჩადიან, თუმცა აქ სოლიდური საპრიზო ფონდია - 250 ათასი დოლარი. "ბელზში განსაკუთრებული ქარიზმაა", - ამბობს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი მარკ რიჩარდსი.

## ლეგენდასთან შეხება

Rip Curl Pro ცხრა დღე გრძელდება და გარდა პროფესიონალი სერფერების შეჯიბრებისა, იქ უამრავი ღონისძიება იმართება. surf-ის სტილში მომღერალი როკ-ჯგუფებიდან დაწყებული, ღია ცის ქვეშ მოწყობილი დისკოთეკებით დამთავრებული. პიკანტური გართობებიც არის - მოყვარულებს წელსზემოთ შიშველი გოგონები შედარებით დაბალ ტალღებზე დაფებით ასეირნებენ.

აქ ყველაფერი იდეალურ დონეზეა ორგანიზებული. თუ ამერიკამ 40 წლის წინ გადაიტანა სერფინგის ბუმი, ავსტრალია ახლა გადის ამ პერიოდს. 2001 წელს, ბრისბენში გამართული კეთილი ნების თამაშების დროს, სერფინგი პროგრამაში იყო შეტანილი და მან ისეთივე ინტერესი დაიმსახურა, როგორიც მაგალითად კალათბურთმა და კრივმა.

ქვეყანაში დაახლოებით 120 სერფინგ-კლუბია და ამდენივე კურორტი, სადაც დაფაზე სრიალია შესაძლებელი. Rip Curl Pro-ზე ბილეთი პრობლემას არ წარმოადგენს. საკმაოდ იაფი ღირს: 20 დოლარი დღეში და 9-დღიანი აბონემენტი - 150 დოლარი. პლაჟის ახლოს მხოლოდ ორი სასტუმროა. იქედან შეჯიბრების ჩატარების ადგილამდე მისვლა დაქირავებული ველოსიპედით არის შესაძლებელი.

ვისაც ტურნირი არ აინტერესებს და თავად სურს სრიალი, ბელზ-ბიჩი ამისთვისაც ზედგამოჭრილია. მაგრამ ეს ავსტრალიურ ზამთარში (ჩვენებური ზაფხული) არ უნდა გააკეთოთ. იმ დროს ძალიან დიდი ტალღებია და წყალიც ცივია. დანარჩენ დროს, სერფინგისთვის იდეალური პირობებია: ტალღის საშუალო სიმაღლეა 3 მეტრი, მაქსიმალური - 9 მეტრი.

ბელზ-ბიჩში დილეტანტსაც შეუძლია ჩავიდეს და ადგილზე ისწავლოს სრიალი: სკოლა Gallys Surf Coaching ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანაში. მაგრამ ასეთ დიდ ტალღებზე წონასწორობის შეკავება რომ ისწავლო, ამას დიდი დრო სჭირდება. ახალბედებს ჯერ ხმელეთზე კოორდინაციაში ავარჯიშებენ. შემდეგ პატარა ტალღებზე (სამი მეტრი) გადადიან, ორი თვის თავზე, საშუალო სიმაღლისაზე. ხოლო, როგორც პროფესიონალები ამბობენ, სერფინგის სრულყოფილად ათვისებას ორი-სამი წელი სჭირდება.

ამიტომაც, ავსტრალიურ მექაში მომზადებული ჩასვლა სჯობს. ადგილზე ეკიპირება პრობლემა არ არის. ცნობისთვის, პროფესიული დაფა 440-460 დოლარი ღირს, დათბილული კომბინეზონი - 45 დოლარი. ისე, ბელზ-ბიჩზე ფასები მაღალია. მაგრამ ავსტრალიაში სხვა ბევრი ნაკლებად პოპულარული კურორტია, რომელსაც ერთი უპირატესობაც აქვთ - იქ ჩვეულებრივი ბანაობაც შესაძლებელია. ხოლო იმ ადგილის მოძებნა, სადაც სერფით სრიალებენ, ძალიან იოლი. ეს არის საგზაო ნიშანი - ცისფერი კვადრატი, რომელზეც დაფაზე შემდგარი ადამიანია გამოსახული.

გია თვალაბეიშვილი